კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“



სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation


# საქართველოს რესპუბლიკა


შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd



ორშაბათი
3 მარტი,
2003 წელი

№58
(4437)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.


# 3 მარტი დედის დღეა. გილოცავთ!

**ფოტოწამი**



დედაშვილობა.

ლევან ლომაძის ფოტო.

**წიგნი**

## დედის ხატება

შესანიშნავი საჩუქარი მიიღო ქართულმა საზოგადოებამ: ბატონ გურამ ახალაიას იდეითა და მხარდაჭერით გამოიცა, შეიძლება ითქვას, „მცირე ანთოლოგია“ — „დედა ქართულ პოეზიაში“. წიგნის შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორია პოეტი ვაჟა ოთარაშვილი, სარედაქციო საბჭო: გენო კალანდია, ემზარ კვიტაიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, ბონდო მაცაბერი-




ძე. გამომცემელი „ბაკმი“ — ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა.

წიგნში (იგი უცხოეთში დაიბეჭდა) დედისადმი მიძღვნილი ხალხური პოეზიის უკვდავი შედევრებიდან დაწყებული თანამედროვე ქართული პოეზიით დამთავრებული ას ოთხმოცი ავტორია წარმოდგენილი თითო ლექსით.

კრებული იხსნება ივერიის ღვთისმშობლის ხატით, ამასთან ფერად ჩანართებად წარმოდგენილია ფიროსმანის, გუდიაშვილის, უჩა ჯაფარიძის, მოსე თოიძის, კორნელი სანაძის, მერაბ და ელგუჯა ბერძენიშვილების, ილია პატაშურის, თემო ნაცვლიშვილის და სხვათა დედაშვილობის თემაზე შექმნილი ნამუშევრები. წიგნის მხატვარია გიორგი წერეთელი. წიგნის გამომცემლებს უანგარო დახმარება და თანადგომა გაუწიეს ბატონებმა პაატა ბურჭულაძემ, ზვიად ცეცხლაძემ, გია მიქელაძემ, ზურაბ ცომაიამ, თენგიზ მეზურნიშვილმა, გია ლომიძემ, ილია რუხაძემ, გია ბერაძემ, გიორგი გაზდელიანმა, რუსუდან ბერიძემ.

სასიხარულოა, რომ წიგნის — „დედა ქართული პოეზიაში“ — გამოცემა სწორედ დედის დღეს დაემთხვა.

**შხამის 60 წვეთი**

## რქებდაღერილი ბიჭუკელების კურიკულუმ ვიტე

გახსოვთ ალბათ, იყო ასეთი მშვენიერი სიმღერა „როგორი ამინდი იქნება ხვალ?“ ამ ბოლო ხანს ძალაუნებურად ყოველ ცისმარე დღე მისი ჰანგი ამეკვიატება ხოლმე, ოღონდ უფრო პროზაული „დატვირთვით“ — „როგორი პოლიტიკური ამინდი იქნება ხვალ?“

ხვალ საძაგელი ამინდი იქნება. ხვალაც, ზეგაც და მას მერეც, თუ დღევანდელ სტატუს-კვოს ავიღებთ ნიშნულად.

ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში დღეს შვიდი კი არა, სამოცდაშვიდი ფერია. და ახლა ფერთა შეკრების ჟამი დგას. ოღონდ იმედი ნუ გექნებათ, რომ შემოდგომაზე „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა“ შესაბამისად მივიდეთ. გაჭირდება ასე სიმღერ-სიმღერით დაწყობა, რადგან ეს ფერები შესაბამისობითა და შესატყვისობით კი არ ლაგდება, არამედ — ვინ როგორც მოახერხებს. ვთქვათ, მწვანე მომწვანოსთან, ან ცისფერი მოცისფროსთან კი არ დაწყვილდება, არამედ ყავისფერი — მწვანესთან, ან წითელი — მოცისფროსთან და ა. შ.

ერთი სიტყვით, ჯერჯერობით, ისეთი დომხალია, სამყაროს შექმნის პირველ დღეს რომ იყო, სანამ ღმერთი გუდიდან რიგრიგობით ამოიღებდა ბნელსა და ნათელს, ხმელსა და წყალს...


იხ. მე-2 გვ.


**უკანასკნელ საათს**



**ერაყი** „Ас-Самуд-2“ ტიპის კიდევ ექვს რაკეტას ანადგურებს. მანამდე მან ოთხი ასეთი რაკეტა გაანადგურა. ატ-ტაჯის პოლიგონზე. ეს სამუშაოები ბულდოზერების მეშვეობით სრულდება.

**იაპონიის** აეროპორტებში მეორე დღეა გრძელდება ქაოსი, რომელმაც 273 ათასი კაცი დააზარალა. კომპიუტერულ ქსელში მომხდარი დაზიანების გამო გადაიდო 203 ავიარეისი, 1443 თვითმფრინავი კი დაგვიანებით გაფრინდა.




**ინტერპანორამა**

**ისრაელის** ტანკები, სამხედრო ვერტმფრენებისა და ბულდოზერების მხარდაჭერით, ღაზის სექტორში შევიდნენ და ქალაქში რამდენიმე შენობა დაანგრიეს.



**ტაივანში** მომხდარმა სარკინიგზო კატასტროფამ 17 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. შემადგენლობის ბოლო ვაგონი ხეობაში გადაიჩეხა, კიდევ ორი ვაგონი კი უფსკრულზე გადაეკიდა.



**ნიუ-იორკსა** და ვაშინგტონში მომხდარი ტერაქტების ორგანიზატორი ჰალიდ მოჰამედი დააკავეს ქალაქ რავალპინდში პაკისტანისა და ამერიკის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული რეიდის დროს და აშშ-ს გადასცეს.


გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## შხამის 60 წვეთი

# რქებდაღერილი ბიჭუკელების კურიკულუმ ვიტე

(პირველი გვერდიდან)

მაგრამ ეს დომხალი მაინც რაღაც წარმმართველ ხელს, დირიჟორის ჯოხს ექვემდებარება. ისე გამიზნულად არის მიმართული ხელისუფლების წინააღმდეგ, უმალ შეიძლება ვერც მიხვდე, რომ ყველაფერი მართულია, ყველაფერი პოლიტიკური შეკვეთით ხდება.

ებრძოლო ხელისუფლებას, დღეს ჩვენში ნიშნავს, ებრძოლო ყველა იმას, ვინც ამ ხელისუფლების მიმართ ლოიალურად არის განწყობილი, ვინც ფიქრობს, რომ ქართული საზოგადოებრიობა ხიშტით კი არ უნდა ხვდებოდეს ხელისუფლების ყოველ ნაბიჯს, რადგან იგი ხელისუფლებიდან მომდინარეობს, არამედ გონივრულად გააზრების შემდეგ უარყოს უარსაყოფი და მიიღოს მისაღები, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა არ შეიძლება ასეთი ტოტალური დაპირისპირების, ურთიერთსიძულვილის პირობებში, არ შეიძლება, რომ დღევანდელ თაობას, ვისაც ღმერთმა ამ ქართული სახელმწიფოს აშენება მიანდო, ცალ ხელში აგური ეჭიროს, მეორეში კი დანა — ერთმანეთისთვის ზურგში ჩასაცემად...

ცნობილი იეზუიტური გამოთქმა „მიზანი ამართლებს საშუალებას" თავის დროზე დროშასავით აიტაცეს ბოლშევიკებმა და რამდენი მილიონი თავიც დააგორეს კაცობრიობის „ნათელი მომავლისთვის" ბრძოლაში, ყველას კარგად მოეხსენება. კომუნისტები წავიდნენ დიდი პოლიტიკის არენიდან, მაგრამ მათი არსენალი დარჩა და მას ახლა სხვა დაეპატრონა (ჯერ არ მოსულა და უკვე ციხეებით ემუქრება ყველა სხვაგვარად მოაზროვნეს).

ამ სხვას უფრო კონკრეტული მიზანი აქვს — საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დამხობა, მის ნაცვლად მოსვლა (თუ ინგლისელთა ცხოვრებისეული დაკვირვებით ვიმსჯელებთ, ყველაზე მოჯანყე ჭაბუკები ბოლოს ყველაზე რესპექტაბელური კონსერვატორები ხდებიანო, ალბათ სავარაუდოა, რომ ამ რქებდაღერილი ბიჭუკელებისგან მას შემდეგ, როცა ყველაფერს აურ-დაურევენ, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, უფერული მოხელეები მივიღოთ) და ამ მიზნისთვის ყველაფერზე თანახმა არიან.

სწორედ მათს პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებს „რუსთავი-2"-ის პროგრამა „60 წუთი", რომელსაც მიცემული აქვს კონკრეტული შეკვეთა-დავალება: საზოგადოება დააფრთხოს და დააშინოს, შეუქმნას გამოსავლის უქონლობის, უიმედობის, მიუსაფრობა-სიმარტოვისა და განწირულების გრძნობა. ამ გზაზე იგი არაფერს და არავის ანგარიშს არ უწევს. ბატონი აკაკი გოგიჩაიშვილი და მისი გუნდი ნებისმიერ სიბინძურეზე მიდის. შეუძლიათ პატიოსან კაცს დააბრალონ მკვლელობა თვით მკვლელის „ჩაწოდებით", ქრთამის აღება — თვით მექრთამის კარნახით, გამოიყენოს კანონით აკრძალული მეთოდები და ხერხები, მიეპაროს, ჩაუსაფრდეს, ჭრას და კეროს, ამონტაჟოს როგორც „საქმეს" დასჭირდება...

ახლა „60 წუთმა" მიზანში გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" ამოიღო და მისთვის სიბინძურის გადასხმა სცადა (რადგან გაზეთმა არაერთგზის გამოიტანა თავის ფურცლებზე „60 წუთის" უკადრისი, მავნე ქმედება). თანაც მოკავშირეც იპოვა ჩვენი რედაქციის ერთი უღირსი წევრის სახით.

ერთი კია. ტელემაყურებლისთვის, საზოგადოებრიობისთვის უკვე კარგად არის ცნობილი, თუ რას წარმოადგენს ეს ტელეპროგრამა, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ „შხამის 60 წვეთს", რასი და ვისი რუპორია, რა ხერხებითა და საშუალებებით ებრძვის მიზანში ამოღებულთ. რომ მისი ყოველი „გასროლა" ემსახურება არა რაიმე ამაღლებულ, თუნდაც ისეთ ძველ, მაგრამ ნათელ და ძვირფას მიზანს, როგორიც ბატონი აკაკის და მისი თანამოსაგრეების მიერ სასაცილოდ და სათრეველად გამხდარი სამშობლოს კეთილდღეობაა, არამედ შიშის და უნდობლობის გაბატონებას.

ამისთვის კი საჭიროა ხელისუფლებისთვის ძირის გამოთხრა, თუნდაც მისი ოფიციოზისთვის — „საქართველოს რესპუბლიკისთვის" ლაფის შესხმა.

მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ლაფი და წუნწუხი თვით შემსრულებელს წუწავს თავით ფეხამდე.

ეს ყველაფერი იმიტომ მოგახსენეთ, რომ ამ წინასაარჩევნო მარათონში, როგორც აქედანვე ეტყობა, სამწუხაროდ, არავითარი პატიოსნება, ჯენტლმენობა და „თამაშის წესები" დაცული არ იქნება.

რას იზამ, ასეთია ცხოვრება, ასეთია იმ პოლიტიკური ძალების „კურიკულუმ ვიტე", რომლებიც შუბლით აწვებიან პარლამენტის ბასტიონებს.

პარლამენტში კი მოვლენები იმის შესატყვისად მდინარებს, რასაც მომავალი არჩევნების ლოგიკა უკარნახებს.

მაგალითად, 27 თებერვალს პარლამენტმა უარი თქვა ამერიკისა და საქართველოს მთავრობებს შორის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე, სამაგიეროდ, მეორე დღეს, 28 თებერვალს, მიიღო დადგენილება მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის შესახებ.

ამით ამ გადაწყვეტილებების ავტორ-გამტანებმა ორი დიდი სათავისო საქმე გააკეთეს.

პირველი. რუსეთს გაეკეკლუცნენ, ნახეთ, რა ანგარიშგასაწევი ხალხი ვართ, ამერიკის დედაც ვატირეთო (არადა, განა თვითონ არ იციან, რომ ამერიკასთან თანამშრომლობა ქვეყნის გაძლიერების ყველაზე რეალური გზაა?).

მეორე. მშვენივრად უწყიან: თუ ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის შესახებ პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება დაუყოვნებლივ აღსრულდება, ქვეყნის მაკროეკონომიკურ სივრცეში გაუთვალისწინებელი და მძიმე შედეგებია მოსალოდნელი.

ვინ ძაღლი და მამაძაღლი, რა სჯობს ხალხისთვის ხელფასის 115 ლარამდე გაზრდას (ნეტამც 1000 ლარამდე გაიზრდებოდეს), მაგრამ ჩვენი ისედაც მისულმკვდარებული, ფეხზე რის ვაინაჩრობით მორაცრაცე ბიუჯეტი ამის შედეგად ისეთ ნოკაუტს მიიღებს, ჩვენს გიორგი კანდელაკს შეშურდებოდა.

გათვლა სწორედ ამას გულისხმობს: მკვეთრად გაიზრდება ქვეყნის შიდა დავალიანება, დადგება ზედმეტი ფულის ნიშნების გამოშვების აუცილებლობა, რასაც ინფლაცია მოჰყვება და დესტაბილიზაცია ხელთ გვაქვს.

არ აღასრულებ დადგენილებას და, მიდი და ხალხს გააგებინე, რატომ არ აძლევს მას მთავრობა გაზრდილ ხელფასს, როცა პარლამენტმა ამის გადაწყვეტილება მიიღო.

ორივე შემთხვევაში ყველა პირობა შეიქმნება, გაღიზიანებული ხალხის აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის მისასევად (საკანონმდებლო ხელისუფლებამ აკი იზრუნა ხალხისთვის).

არის ასეთი შესაძლებლობა: პრეზიდენტმა ვეტო დაადოს დადგენილებას.

არადა, მისთვის როგორი გადასაწყვეტია ვეტოს უფლების გამოყენება?!

ეს ხომ გააფთრებული შეტევის კიდევ ერთი საბაბი იქნება!

ალბათ, ერთადერთი გზა რჩება: პარლამენტის ამ დადგენილების გარშემო, მისი აღსრულების მიზნით, განხილვები დაიწყოს...

წინასწარ კი ძნელია იმის დაბეჯითებით გათვალისწინება, რა მოჰყვება ამ განხილვას.

თუმცა ერთი კი უტყუარია, მოჰყვება ის, რომ წინასაარჩევნოდ უდრეკ ოპოზიციას ოქროს ქულები ჩაეწერება.

ყველაფერი სწორედ საამისოდ კეთდება, ჩვენო ძვირფასო მკითხველო, იმ ყბადაღებული „60 წუთის" „მხილებებისა" არ იყოს.

**„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია.**



## კვირა

# რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი

**— რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის" ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე, პროფესორი დავით ლორთქიფანიძე.**



### ქვეყნისთვის

— შემზრა და ცუდი ემოცია აღმიძრა ყაჩაღობის იმ საზარელმა ფაქტმა, რომელიც დედაქალაქში მოხდა. ამ მიმართებით, გასამებული გრძნობა დამეუფლა — დაუცველობა, აგრესიის შემოტევა, მესამე კი (ფონის მიუხედავად), სასიამოვნო — დანაშაულის ფაქტი უმალვე გაიხსნა და დამნაშავეები დააკავეს.

მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია ერაყისკენ, ყველა ველოდებით გადაწყვეტილებას, არ ვიცით რა მოხდება. ვფიქრობ, ამ პრობლემის მოგვარებას ჩვენი ქვეყნისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს — ერაყის საკითხის გადაწყვეტა, ვიმედოვნებ, დადებით გავლენას მოახდენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზეც.

კიდევ ერთხელ დაფიქსირდა ის, რაზეც რამდენიმე ხნის წინათ ოცნებასაც კი ვერ გავბედავდით, — ნატოში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანება თანდათან უფრო რეალური ხდება, რასაც საქართველოში გასულ კვირას ნატოს ექსპერტთა ვიზიტი და მათი განცხადებებიც ცხადყოფდა.

### ჩემთვის პირადად

— კოლეგებთან ერთად ვმუშაობ დმანისში აღმოჩენილი ახალი თავის ქალის შესწავლაზე. ეს ძალზე მნიშვნელოვანი და ინფორმატიკული მონაპოვარია.

ზურაბ წიბახაშვილის ფოტო.

## ინფორმაცია

### გერმანელთა რეკომენდაციები

საქართველოს სასაზღვრო ძალების რეფორმირებისათვის გერმანელი ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების პაკეტს გერმანული მხარე საქართველოს მთავრობას მომავალ კვირას გადასცემს. ამ მიზნით სამშაბათს საქართველოს ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი ოტო შილი. რეკომენდაციების პაკეტს იგი პირადად პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს წარუდგენს.

ერთდღიანი ვიზიტის ფარგლებში ოტო შილი შეხვდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძეს და შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს.

რეფორმა, რომელიც გერმანული მოდელით, ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით ჩატარდება, სასაზღვრო უწყების პოლიციურ სტრუქტურად გარდაქმნას ითვალისწინებს.

### რას გადაწყვეტს ირლანდიური კომპანია?

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" 5-წლიანი მართვის უფლებით ირლანდიური კომპანია ESBI-ის შესვლასთან დაკავშირებით პროექტით გათვალისწინებული 3-თვიანი გარდამავალი პერიოდი დღეს იწურება და ირლანდიური კომპანია საქართველოს ელექტროსისტემის ერთპიროვნულ მართვას შეუდგება. თუმცა არ არის გამორიცხული, ირლანდიელებმა კომპანიაში მუშაობა შეწყვიტონ: ელექტროენერგიის ტარიფში „გადაცემა-დისპეტჩერიზაციის" წილის შემცირების გამო საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები დაფინანსების შეწყვეტით იმუქრებიან.

### დახმარება შვეიცარიიდან

შვეიცარიის სასაზღვრო უწყების წარმომადგენლები ქართველი კოლეგებისათვის დახმარების გაწევის საკითხების განსახილველად, თბილისში, მარტის მეორე დეკადის დასაწყისში ჩამოვლენ.

როგორც პრაიმ-ნიუსს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გენერალ-ლეიტენანტმა ვალერი ჩხეიძემ უთხრა, კერძოდ, საუბარი შეეხება შვეიცარიის მიერ ქართველი მესაზღვრეებისათვის სპეციალური საავტომობილო ტექნიკის და სხვა მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გადაცემას.

### გაუმჯობესდება აღრიცხვიანობაც, გადახდაც

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ქუთაისში მოსახლეობის გამრიცხველიანების პროცესი დაიწყო.

ამისათვის ქუთაისში USAID-ის პროგრამის ფარგლებში 1100 უახლესი მოდელის ელექტრომრიცხველი, სპეციალური კარადები, კაბელები და სამონტაჟო გამტარები ჩამოიტანეს.

სამუშაოები ჯერ მხოლოდ ერთ უბანში — გამსახურდიას და ჭავჭავაძის ქუჩებზე მდებარე მაღლივ კორპუსებში მიმდინარეობს.

როგორც „ინტერ-პრესს" სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ტექნიკური სამსახურის უფროსმა გოჩა გამხუაშვილმა განუცხადა, გამრიცხველიანება ხელს შეუწყობს აღრიცხვიანობის პროცესის ეფექტურობის გაზრდას და მოსახლეობიდან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღებასაც გააუმჯობესებს.

### მოეწყობა პროექტის პრეზენტაცია

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურულ რეორგანიზაციაზე მომუშავე ექსპერტთა 3-კაციანი ჯგუფი პროექტის პრეზენტაციას 24 მარტს მოაწყობს.

რეფორმის პროექტი ანტიკორუფციულ ბიუროსთან იქნება შეთანხმებული. სამინისტროებისა და დეპარტამენტების შემცირებასთან ერთად, იგი აღმასრულებელ ხელისუფლებაში ხელფასების მოწესრიგების საკითხს ითვალისწინებს. ამასთან, განისაზღვრება დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების როლიც.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და ინტერ-პრესმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ოჯახი

**ლერი მირაშვილი — ეს გვარი და სახელი ბოდბის წმინდა ნინოს სავანეში გავიგონე პირველად. ეს ახალი სამრეკლო, რომელმაც კიდევ უფრო დაამშვენა იქაურობა, მისი დახმარებით აშენებულა. მერე გავიგე, მაღაროში საშუალო სკოლაც გაურემონტებია. მარტო ეს კი არა, ყოველ საახალწლოდ ფულსაც უგზავნის მასწავლებლებს. სოფელში წყალი გამოუყვანია, ულამაზესი ეკლესია აუშენებია.**

**მასზე საოცარ ამბებს ჰყვებიან, უშურველად სიკეთის გამცემს ძალიან ემადლიერებიან. იგი ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს. მისი მშობლები — ცნობილი პედაგოგები გიორგი და თამარ მირაშვილები ტკბილ სიბერეს ქვემო მაღაროში, მშობლიურ ეზო-ყურეში ატარებენ.**

მირაშვილების ეზოში შესულს, თითქოს დედაჩემიაო, ისე ღიმილით შემომეგება მასავით შავ კაბაში გამოწყობილი, საშუალო სიმაღლის, თეთრი, ქათქათა თმით დამშვენებული, სიმპათიური ქალბატონი, — მოდი, გენაცვალე, შვილო, მოდიო, — ისე ჩამიკრა გულში და ცრემლები გადმოსცვივდა, თითქოს დიდი ხნის უნახავი დედა-შვილი ვყოფილიყავით, მეც თავი ვერ შევიკავე.

ჩემი პროფესიის წყალობით რამდენ ადამიანს არ შევხვედრივარ, მაგრამ ასეთი რამ არასდროს დამმართნია.

— ლერიზე მინდა მესაუბროთ-მეთქი, — რომ ვუთხარი, დეიდა თამარს სახე გაებადრა.

— იმისმა სიცოცხლემ, ბავშვობიდან გამორჩეული იყო, მარტო თვისებებით კი არა, გარეგნულადაც — ერთხელ, ერთმა გამაჩერა და მითხრა: ამ ბავშვის ტანის დაბანილი წყალი რომ მომიტანო და მითხრა დალიე, დავლევო.

35 წელი მაღაროს საშუალო სკოლის დირექტორი იყო გიორგი მირაშვილი, ქალბატონი თამარიც იქვე ასწავლიდა მათემატიკას, დღემდე ლეგენდარულ დირექტორად იხსენიებენ ბატონ გიორგის სიღნაღის რაიონში, მისი სკოლა რესპუბლიკაში გამორჩეული იყო.

ლერის მშობლების სკოლაში არ უსწავლია. ულიანოვკის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. გამოსაშვებ გამოცდაზე მისმა დაწერილმა თემამ: „წიგნები, რომლებიც არ კვდებიან“, უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

— ენაცვალოს დედა, არც კი გადაუთეთრებია, — ამბობს ქალბატონი თამარი.

— იშვიათი შვილია, ჩვენი ჩაცმა, ჭამა, ჩვენი ჯანმრთელობა, აი, მისი უპირველესი საზრუნავი. — წყნეთში აგარაკიც კი გვიყიდა, ჯერ მისი ცოლ-შვილი იქ არც შესულა. ჩვენ ზაფხულობით 3-4 თვე იქა ვართ.

აგერ უკვე ათ წელიწადზე მეტია, ავადაა მამამისი, ლოგინსაა მიჯაჭვული. ლერი რომ არა, ამდენ ხანს ნამდვილად ვერ იცოცხლებდა.

მირაშვილის ოჯახს სტუმრიანობა არასოდეს აკლდა, ყოველთვის მიფრთხილდებოდა — დედა თავის დროზე დაასვენეთ, დააძინეთ და თქვენ გააკეთეთ ყველაფერიო, — ეუბნებოდა ნათესავ-ახლობლებს.

— დაისვენე, დედი! ხომ არ დაიღალე, დედი? — ასე იწყებს ტელეფონით ყოველდღე საუბარს.

— არა, გენაცვალოს დედა, რა დამღლის, კარგადა ვარ, — მეც ვპასუხობ და, მისი ყურადღებით განებივრებულს, ძალა კიდევ უფრო მემატება.

წელიწადში ორ-სამჯერ ახერხებს ჩამოსვლას, იმ დღეებში მაგიდა აულაგებელია ჩვენთან. მშენებელია პროფესიით. დიდ თანამდებობებზე მუშაობდა, მაგრამ ქვეყანა რომ აირია, მოსკოვში წავიდა ლერი. გარეთ „ბირჟაზე“ გადის, მოინახულებს მეზობლებს. გამოკითხავს რა ულხინთ, რა უჭირთ, სტუმრებს რომ გააცილებს, მერე მეზობლებს დაუძახებს, ერთი სიტყვით, როცა აქა მყავს ჩემი თვალისჩინი, ზეიმია ჩვენს უბანში.

აი, ამ ტახტზე უყვარს ბუხართან წამოწოლა, სიყვარულით უსვამს ხელს მუთაქას დედა თამარი, — ხანდახან, თავზე დაგვათენდება ხოლმე საუბარში, ყველაფერი აინტერესებს და ახსოვს, — მე ვფიქრობ, ასეთი ურთიერთობა იშვიათია.

ლერის გამორჩეულად უყვარს კაკლის ხეები. აი, ეს კაკალიც მისი დარგულია, მეუბნება ქალბატონი თამარი და ეზოში უკვე კარგად აშოლტილ ხეზე მიმითითებს. წყნეთშიც პირველ რიგში კაკლები დაარგვევინა.

# «ხომ არ დაიღალე, დედი!»



თამარ მირაშვილი.

მეუღლეც, მართლაც უკეთილშობილესი შეხვდა ჩემს შვილს. მიუხედავად იმისა, რომ ერთადერთი ვაჟი ჰყავთ, მე ჩემს რძალს „გმირ დედას“ ვეძახი. ლერი ცხრამეტი წლისა იყო, ცოლი რომ მოიყვანა. ჩემი რძალი იშვიათი დედა და მეუღლეა. ავლიპ ზურაბაშვილთან მუშაობდა სადისერტაციო თემაზე. შვილი რომ შეეძინა, ყველაფერი მიატოვა და ვიდრე ბავშვმა სკოლა არ დაამთავრა, არ მოშორებია. ჩემი რძალი, ალბათ, გახსოვთ, ასეთი ცნობილი პიროვნება დიმიტრი გელაშვილი, მისი ქალიშვილია. ჩემი 21 წლის გიორგი ახლა ინგლისში სწავლობს, მანამდე ვენაში სწავლობდა და სამი წელიწადი არ მენახა. ბავშვს ჩამოსვლა არ შეეძლო. ოღონდ შენ არ ინერვიულოო და მე, ლაურა და მისი ვაჟი ოთარი ერთი კვირით გაგვამგზავრა ვენაში ლერიმ.

— ყველა დედა ფიქრობს, რომ განსაკუთრებულია მისი შვილი, მაგრამ იცით, როდის ვიყავი ყველაზე ბედნიერი? მაშინ, როცა ნანი ბრეგვაძემ მითხრა, თქვენ არ იცით, რა შვილი გყავთ, ასეთი, ჩვენს საქართველოს, ოთხი-ხუთი რომ ჰყავდეს, ნამდვილად ეშველებოდაო. რა თქმა უნდა, ეს გადაჭარბებულია, ალბათ, ნანის ჩემთვის უნდოდა ესიამოვნებინაო, — დეიდა თამარს რაღაც ბზარი გაუჩნდა ხმაში. მე კი ვფიქრობდი.

მირაშვილების ოჯახის მსგავსი ოჯახები მარგალიტივითაა გაბნეული მთელ საქართველოში, სწორედაც ისინი არიან ქვეყნის ბურჯები, ასეთ ოჯახში გაზრდილი შვილები კი — საქართველოს ნათელი მომავლის საწინდარნი.

ჩვენ ვსაუბრობდით და თავზე დაგვტრიალებდა მისი მაზლის შვილი ვანიკო.

— ამ სიბერეში ეს არის ჩვენი პატრონი, — მითხრა დეიდა თამარმა.

გია და ვანო ადრე დაობლდნენ, მაზლიშვილებისთვის ყურადღება არ მოუკლიათ, დღემდე ერთი მეორის სიხარულითა და გასაჭირით მოდიან.

— ერთი ეგ არის, ძუძუ არ უწოვებია ჩვენთვის თამრიკო ძალოს, თორემ, სხვა მხრივ, დედაჩემია. აბა, რა, — ამბობს ვანიკო. ჩვენ მის ამაგს ვერასოდეს გადავიხდით, დასძენს.

— ბიძაჩემს, — მეუბნება ვანიკო, — უნდოდა მეც უმაღლესი დამემთავრებინა, მე კი მემანქანეობა ვამჯობინე და მეტროში ვმუშაობდი. მერე, ყველაფერი რომ აირია, ჩემს სოფელს დავუბრუნდი.

— ერთხელ ბიძაჩემს ვუთხარი: — სტეფანიჩ, მეც რომ უმაღლესი დამემთავრებინა, ეხლა ლერივით შორს ვიქნებოდი, მერე შენ ვინღა მოგხედავდა-მეთქი. ჩემი მოურავი ხარო, ასე მეძახის, — ეღიმება ვანოს.

ვანოს და ხათუნას მესამე შვილი რომ შეეძინათ, თამარი დაარქვეს — ჩვენს გვარ-ჯილაგში ამ სახელს არ გამოვლევთო, — სიამაყით ამბობს ქალბატონი თამარი.

— ჩემი შვილები ამაყობენ, მაღაროდან რომ არიან, — მეუბნება დეიდა თამარი, — ქვემო მაღარო, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ (კელმეჩური), ივრის ზეგანზეა დაშვებული. ისტორიამ ძნელბედობა არგუნა ხვედრად მაღაროს, შვილო. ათასგზის გადამწვარ-გადაბუგული, გაძარცვული, ნაგვემ-ნაწამები ეს მცირე ნაგლეჯი მიწისა, ზღაპრული ფენიქსის მსგავსად, ელვის სისწრაფით იკრებდა ძალას ნახანძრალთა ფერფლიდან. ქართველთა „აღდგენა-გამოხსნისათვის“ წარმოებულ ბრძოლებში, ამ სოფელს განსაკუთრებული ადგილი უკავია. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო თვრამეტზე მეტი მძაფრი შეჯახება მომხდარა მე-XVI-XVII საუკუნეებში.

ბევრი რამა აქვს მაღაროს გასახსენებელი. ამ მიწაზე ბარის ყველა ჩაკვრას წინაპართა ძვალი მოჰყვება. გომბორის დამრეც კალთებზე, დაფერდებულ უბნებში, კუშტად იმზირებიან მრისხანე ციხე-კოშკების ნაშთები. ივრისპირა ჭალებში ჩაკარგულ ოლეში, კელმეჩურის ნაკადულში (გადმოცემით 2000 წლის წინათ, პომპეუსის რომაელებმა წყურვილი რომ მოიკლეს), ყარაიის ველებიდან მქროლავი ქარის ზუზუნში, დაბორიალობენ შორეულ მოგონებათა აჩრდილები.

ოდითგან დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, შვილო, მაღაროს, — აგრძელებს თავის საინტერესო მონათხრობს დეიდა თამარი, — აქ ხდებოდა კახეთის მეფის სახალხო დალოცვა, რაც წმინდა ნინოს ბოდბის მონასტერში კურთხევით მთავრდებოდა.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ საამაყოდ მარტო სოლომონ დოდაშვილიც გვეყოფა. სოლომონს საოცარი სინაზით უყვარდა მშობლიური სოფელი. პეტერბურგში სწავლისას თან ჰქონდა მაღაროს ზღუდერის ეკლესიის ეზოდან აღებული ერთი მუჭა მიწა.

კიდევ ბევრი საინტერესო მიამბო დეიდა თამარმა, ბოლოს კი დასძინა:

— ყველგან და ყოველთვის დედას ერთი მიზანი ამოძრავებს, — შვილების ბედნიერება.

ამ ბედნიერებისათვის იღვწოდა თავაუღებლად დეიდა თამარიც. საკუთარი ძალღონის დაუზოგავად. ამიტომაც იმკის ახლა თავისი ზრუნვის ნაყოფს. მართლაც რომ ორივე შვილი გამორჩეული ჰყავს. ქალბატონი ლაურა, რომელიც რუსთავის სამშობიარო სახლში განყოფილების გამგეა, ადრე დაქვრივდა, მარტოობა მას ძმამ და დედ-მამამ გაუადვილეს. სანაქებო სპეციალისტია, მანაც კარგი შვილები დაუზარდა ქვეყანას.

„კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“, — ხომ გაგიგონია გენაცვალე, — მიღიმის დეიდა თამარი და დასძენს, კარგობენ კიდეც, დედის გულს სიხარული რომ არ მოაკლონ, მე კი გუნებაში ვფიქრობ, ქართველმა კაცმა კარგად იცის — შვილმა დედის გულისთვის ხელის გულზე ერბო-კვერცხიც რომ მოიწვას, მის ამაგს მაინც ვერ გადაიხდის.

ძალიან გამიჭირდა დეიდა თამართან განშორება. არ ვიცი, რატომ, ვსაუბრობდით და ორივეს თვალზე ცრემლი არ შეგვშრობია. აკი მითხრა კიდეც — დედაშვილობამ, მე შენ არ დაგკარგავო არასოდეს, ჩემი მესამე შვილი იქნებიო დღეიდან.

დედაჩემმა რომ იცოდა, ისე ვიშვიშით გამომაცილა ჭიშკრამდე, — რა გეჩქარება, კიდევ დარჩიო.

ბედნიერი ვბრუნდებოდი თბილისში. თითქოს დედა გამიცოცხლდა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჩემს სახლში, ყვარელში, დავტოვე დედა და ხვალ, ზეგ, ნებისმიერ დროს, რომ ჩავალ, აუცილებლად დამხვდება და ჩემს ხშირ საყვედურებზე, რატომ სამკაულები შენც არ დააგროვე-მეთქი, კვლავ თავისებური მკაცრი ტონით ამ ამბავს შემახსენებს: „როცა მდიდარმა რომაელმა მანდილოსნებმა ტრაბახი დაიწყეს თვალისმომჭრელი მორთულობით და კორნელია გრაკხს სთხოვეს, ეჩვენებინა მათთვის თავისი სამკაულები, დედამ საკუთარი შვილები წარუდგინა საზოგადოებას და დასძინა: აი, ჩემი სამკაულებიო“.

**შპან მოვიხედე, თეთრ თოვლზე შავად ჩანდა დეიდა თამარის სილუეტი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, ადამიანები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, სხვადასხვანაირად ცხოვრობენ, დედა კი ყველას ერთ ენაზე ესაუბრება. ეს არის სიყვარულისა და სათნოების, სიცოცხლისა და უკვდავების ენა. ამ ენას ერთი მასწავლებელი ჰყავს, მისი სახელია დედა!**

**გმადლობთ, დედა, შენი სინაზისთვის, შენი სიკეთისთვის, შენი წუხილისთვის და ტკივილისთვის, შენი ალერსისთვის, შენი ცრემლებისთვის, შენი სიფხიზლისთვის, და კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო ასჯერ და ათასჯერ თქმული:**

**„დაუჯერეთ დედებს და ქვეყნად არასოდეს დაიღვრება სისხლი!**
**— დაუჯერეთ დედებს და ბედნიერებას ეწევით!“**

**მარადი ანასაშვილი.**

## მსოფლიო შტრიხებში

# შენ „ბანგი“ უთხარი და...

**გაგიგიათ სიგარების ფესტივალი? ის ყოველწლიურად იმართება კუბაში. მისი მონაწილენი — 300-ზე მეტი კაცი — „აგემოვნებენ“ სასიგარე თამბაქოს ახალ სახეობებს, ათვალიერებენ თამბაქოს პლანტაციებს და ბოლოს მოილხენენ საზეიმო სადილზე, რომელზეც უხვადაა განთქმული ღვინოები და, რასაკვირველია, სიგარები.**

როგორც ამბობენ, კუბური სიგარები მსოფლიო კულტურის განუყოფელი ნაწილია. მას ჰიმნებსაც უმღერიან.

ბოლო ხანებამდე კუბურ სიგარებს ხელით, თეძოთი ახვევდნენ, ამ უჩვეულო პროფესიას მხოლოდ მამაკაცები ფლობდნენ, ქალებს, თითქოსდა მომრგვალებული თეძოების გამო, წესიერი სიგარები არ გამოსდიოდათ.

თუმც ვისაც პროსპერ მერიმეს ნოველა წაუკითხავს, ან ბიზეს ოპერა უნახავს, დაგვერწმუნება, რომ კარმენი სწორედ სიგარების ფაბრიკაში მუშაობდა და, შეიძლება ვიფიქროთ, თქმულება კაცებზე მხოლოდ ლეგენდაა.

ლეგენდა ლეგენდად დარჩეს, მაგრამ ფაქტია, რომ 1961 წლიდან, ხელისუფლებაში ფიდელ კასტროს მოსვლის შემდეგ, ახალგაზრდა ქალებს, ადრე ტურისტების მომსახურების „უძველესი პროფესიით“ რომ იყვნენ დაკავებულნი, დაევალათ სიგარების დახვევა, რათა მკვეთრად გაზრდილიყო ქვეყნის შემოსავალი.

კაპიტალიზმი უფრო სწრაფად გამოეხმაურა: შვეიცარიელმა ზინო დავიდოვმა და სხვებმა, როგორც მათ უწოდებენ, ნეგოციანტებმა, შესთავაზეს კუბის ხელისუფალთ — გამოეშვათ მათთვის განსაკუთრებული, ელიტური სიგარები, თანაც შეენარჩუნებინათ ისეთი მარკები, როგორიცაა „მონტე კრისტო“, „რომეო და ჯულიეტა“, „უბმანი პანჩი“, „რიმონ ალონესი“, „ბოლივარი“ და ამისთვის დიდი ფული მიეღოთ.

მალე სწორედ ამ დავიდოვმა გახსნა სიგარების მაღაზიები რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის ინგლისში, და მათ ზღაპრული ფასი ადევს.



ყველაზე პოპულარული მწეველი უინსტონ ჩერჩილი.

თუმცა თამბაქოს წევის წინააღმდეგ მსოფლიო გრანდიოზულმა კამპანიამ დიდი დარტყმა მიაყენა: თამბაქოთი ვაჭრობა მკვეთრად შემცირდა, შემცირდა მოთხოვნა იაფფასიან სიგარებზეც და სიგარეტებზე, მაგრამ ძვირფას „ჰავანაზე“ მოთხოვნილება ისევ მაღალია. ამას მოწმობს მეხუთე ყოველწლიური სიგარების ფესტივალი, რომელსაც ესწრება 900-მდე არცთუ ღარიბი მწეველი. მათ უჩვენებენ ახალ სიგარას „კოხიბას“, რომელიც თითქოსდა თვით კასტრომ შეიმუშავა.

სიგარის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწეველი იყო ინგლისის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი. ის ყოველდღიურად ნახევარ დუჟინ უზარმაზარ სიგარას „რომეო და ჯულიეტას“ ეწეოდა. ასეთი „ღვთიური ბანგის“ შეძენა ყველას როდი ხელეწიფება.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საუკუნის მიტანებული

# დედის დღეს გილოცავ, ბებო

რაც თავი მახსოვს, უქმად არასოდეს მინახავს: ან წინდებს ქსოვს, ან კერავს, ოჯახში ფუსფუსებს... ასე მეგონა, დაღლა არ იცოდა ბებომ, მაგრამ ახლა, ოთხმოცდაათს რომ მიუკაკანა, ვარდისფერი ლოყები გაუფერმკრთალდა, კბილები დასცვივდა, მოძრაობაც შეუნელდა. ამბობს — ძვლები გამიცვდა, დავბერდიო.

წარსული კი აქვს ერთი საუკუნის კბილა.

ყველა ბავშვისთვის ტკბილია თავისი დედულეთი. ასე იყო ჩემთვისაც. მით უფრო, ემინე ბებოს სითბო და ყურადღება არასდროს არც ერთ შვილიშვილს არ მოგვკლებია. ცამეტი წლის ყოფილა, რომ გაუთხოვებიათ. სოფელ ძამაში, მეუღლის ოჯახს, დარბაისელ დედამთილს ადვილად შეჰგუებია ელბაქიძის ქალი. ოთხი შვილი შეეძინა. ერთი ბიჭი ჩვილ ასაკში გარდაეცვალა, დანარჩენ სამს თავს ევლებოდნენ მშობლები. პაპაჩემს ოქროს ხელი ჰქონია. მის გათლილ აკვანში დღესაც იზრდებიან შვილთაშვილები, მისი ნაოსტატარი კაკლის ფიცრებისაგან შეკრული კარადა ახლაც ხიბლავს მნახველს.



— ძალიან გვიყვარდა ერთმანეთიო, — სევდიანად ამბობს ხოლმე ბებია, — ჩემი ნიკალა ოჯახის ბურჯი და ვაჟკაცი იყოო. ქალაქში წავიდოდა, პომადას და ფერ-უმარილს მომიტანდა, მოსწონდა ჩემი სილამაზე, ძალიან ვუყვარდი... ის რომ გვერდით მყოლოდა, არაფერს გამიჭირვებდაო, — და ომის მომგონს და გამჩაღებელს წყევლის.

გაჭირვება მართლაც ბევრი გამოიარა. სრულიად ახალგაზრდა ქალი იყო, მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო. ქმარი 1941 წელს გაიწვიეს ომში. ქერჩში იბრძოდა. მისი უკანასკნელი წერილი ასე იწყებოდა: „ფრონტის წინა ხაზზე ვიბრძვი. არ ვიცი, გადავრჩები ცოცხალი თუ არა. შენ იცი, ემინე, ბავშვებს მიმიხედე. თუ დავბრუნდი, ხომ კარგი. თუ არა და, მშვიდობით, არ ინერვიულოთ...“

მას შემდეგ ქმრისა აღარაფერი სმენია. არც მისი დაღუპვის ბარათი მიუღია, ამიტომაც დღემდე ელოდება პაპაჩემს. — იქნებ გამოჩნდეს, იქნებ ტყვედ ჩავარდა გერმანელებთანო, — ამით ინუგეშებდა თავს და იმედს არ იწურავდა, შვილებსაც აიმედებდა.

ეს სურათი, ამ წერილს რომ ახლავს, ქმრის უკანასკნელი სახსოვარია ბებოსათვის და ამდენად, ისე უფრთხილდებიან, როგორც ოჯახის ძვირფას რელიკვიას. ის სურამშია გადაღებული, სადაც გამწვევ პუნქტში აგროვებდნენ და ამზადებდნენ ომში წვეულებს. სწორედ იქ ეწვია ქმარს თავის პატარებთან ერთად, გამოეთხოვა, დალოცა და ეს სამახსოვრო ფოტოც ერთად გადაიღეს.

— მას მერე დაიწყო ჩემი წამებაო, — იტყვის ხოლმე, — ტყეში შეშაც მიზიდია, ოჯახში ქალის საქმეც მიკეთებია და სოფელ-ქვეყანას არც ჭირში ჩამოვრჩენილვარ და არც ლხინშიო. სამ ობოლს — თინას, ლავრენტის და სერგოს გაზრდა უნდოდა. — სად მქონდა დასვენების უფლება. მახსოვს, ერთხელ, ხაშურში გასაყიდები წავიღე. შიმშილი, სიღატაკე სუფევდა ქვეყანაში. ოთხმოცი თუმანი ავიღე და შავი პურის რიგში დავდექი. ჩემმა რიგმა რომ მოაწია, სადღა მქონდა ფული — თურმე ქურდებმა ამომაცალეს! შევიცხადე, მაგრამ ვინღა მიშველიდა. დაღონებულმა, ხელცარიელმა გავწიე შინისაკენ...

მერე სოფლიდან ქალაქში გადმოსახლდნენ, თავიდან ააწყო ყველაფერი.

ხშირად მინახავს, ჩაფიქრებული ბებია როგორ ღიღინებდა ხოლმე თავისთვის. ნაღვლიანი ხმა ჰქონდა. ერთხელ, პატარაობისას, ყური მივუგდე და გაოცებული დავრჩი:

**„აქეთ ნუში, იქით ნუში,**
**შუა ფარდა ჩამოუშვი,**
**ძია სტალინ, გეხვეწები,**
**ჩემი ნიკა გამოუშვი...“**

ასეთ გაჭირვებაში გამოზარდა სამი შვილი, რომელთაც ახლა უკვე თვითონ ჰყავთ ბადიშები და შვილიშვილები.

ბებიას პატივს სცემდა და ახლაც თაყვანს სცემს მთელი სანათესაო.

მის პატიოსნებას, ქალურ ბუნებასთან შერწყმულ პრინციპულობას, სულიერ სიძლიერეს აფასებენ და ქედს უხრიან.

ამაგდარს ყურადღებას და მზრუნველობას არ აკლებენ შვილები და შვილიშვილები, მისი საამაყო რძლები — ლიანა და გულიკო.

ახლა დათბება და ბებია გარეთ გამოვა, მზის გულზე ძვლების გასათბობად, დღეს კი დედის დღეა. მასთან, ხაშურში, შეიკრიბებიან მისი მონაგარნი და მიულოცავენ დღესასწაულს.

იდღეგრძელე, ბებო, ასე ტკბილო და თბილო, ასე ძლიერო და იმედიანო, ქმრის მოლოდინში გათეთრებულო.

კვლავაც მრავალ გაზაფხულს შეგასწროს ღმერთმა.

**ლია ჭიღლაძე.**

ფინანსები

# ინვესტორები ნერვული დაძაბულობის ზღვარზე

***გეოპოლიტიკური დაძაბულობა, რომელიც თანდათან კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება, დიდი ხანია საერთაშორისო საფინანსო ბაზრების განწყობის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად იქცა, ამ მხრივ გამონაკლისს არც გასული კვირა წარმოადგენდა, რომელიც, ერაყთან ომის მუქარის ფონზე, ნავთობის ფასის ისტორიულ მაქსიმუმთან მიახლოებით აღინიშნა.***

გასული კვირის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების აქციების ბაზარზე წამყვანი საფონდო ინდექსები თითქმის 2%-ით დაეცა მას შემდეგ, რაც გაჩნდა ინფორმაცია, რომ შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და ესპანეთი ერაყთან მიმართებაში გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუციის პროექტს წარუდგენს, რაც, ექსპერტთა შეფასებით, ზრდის ახლო აღმოსავლეთში ომის ჩქარა დაწყების ალბათობას. ახალ დოკუმენტში არ არის განსაზღვრული რაიმე ვადები სამხედრო მოქმედებების დაწყებისათვის და არ შეიცავს სამხედრო ძალის გამოყენების პირდაპირ მუქარას, მაგრამ მასში მკვეთრად არის მითითებული, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმმა არ შეასრულა გაეროს რეზოლუცია, რითაც ხელიდან გაუშვა მშვიდობიანად განიარაღების შესაძლებლობა.

როგორც მოსალოდნელია, ამ საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა გაეროს უშიშროების საბჭოში მაქსიმუმ სამ კვირაში შედგება.

ამასთან, საფრანგეთმა, რუსეთმა და გერმანიამ უშიშროების საბჭოს წარუდგინეს ალტერნატიული წინადადება, რომელიც ერაყის ეტაპობრივად განიარაღებისათვის „დროის ჩარჩოების“ დაწესებას ითვალისწინებს.

მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის გაზრდილმა აზრთა სხვადასხვაობამ კიდევ უფრო დაძაბა ერაყის „მუდმივი საფრთხის“ გამო ისედაც ნერვულ ზღვარზე მყოფი ინვესტორები, რამაც ამერიკის შეერთებული შტატების საფონდო ბაზარზე ძირითადი ინდექსების მორიგი დაცემა განაპირობა. ორშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, როგორც „ცისფერი კოჭების“, ისე მაღალტექნოლოგიების ინდექსი 2% -ით დაეცა. შესაბამისად, Dow Jones-ი 7858.24, ხოლო Nasdaq-ი 1322.38 მაჩვენებელზე განისაზღვრა.




ნიუ-იორკის საფონდო ბაზარზე ბრუნვის მოცულობამ 1.2 მლრდ აქცია შეადგინა.

დაცემის ლიდერები ტრანსპორტის, განსაკუთრებით კი ავიაკომპანიები, აღმოჩნდნენ, თუმცა დაეცა ასევე ბანკების, საბროკერო კომპანიებისა და ბიოტექნოლოგიური კომპანიების აქციებიც.

მომდევნო დღის ბაზრის განწყობა ბევრად განაპირობა მსოფლიოში წამყვანი კომპიუტერული კომპანიის Hewlell-Packard-ის საფინანსო ანგარიშმა. როგორც კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს პირველ კვარტალში კომპანიის შემოსავალმა 17.9 მლრდ. დოლარი შეადგინა, რაც ანალიტიკოსების მიერ პროგნოზირებულზე და გასული კვარტლის მაჩვენებელზე ბევრად უარესი აღმოჩნდა. ინვესტორებისათვის, რომლებიც ამ კომპანიის მოგების ზრდას ვარაუდობდნენ, ეს ინფორმცია ძალიან არასასიამოვნო სიურპრიზად იქცა.

კომპანიის წარმომადგენლების განმარტებით, შეერთებულ შტატებში მოულოდნელად დაეცა კომპიუტერული ტექნიკის გაყიდვის მოცულობა. ტექნოლოგიურ სექტორში გაურკვევლობას ნავთობის ბაზრიდან ნეგატიური ინფორმაციაც დაერთო, რაც ნავთობზე ფასების მკვეთრი ზრდით გამოიხატა.

ომის გარდუვალობის მოსალოდნელობა გაზეთმა The Woll Street Journal-მაც გააძლიერა, გამოაქვეყნა რა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი ბუში ერაყთან ომის საწარმოებლად კონგრესისათვის 95 მლნ დოლარის ოდენობის დამატებით ხარჯებზე სანქციის მიღების თხოვნას აპირებს. ოთხშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, შეერთებული შტატების აქციების ბაზარზე ძირითადი საფონდო ინდექსები კვლავ უარყოფით ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ: Dow Jones-ი 7806.98 პუნქტამდე, ხოლო Nasdaq-ი 1303.68 მაჩვენებლამდე დაეცა.

კვირის ბოლოსაკენ პოზიტიური ეკონომიკური სიახლეების ფონზე ძირითადმა ამერიკულმა საფონდო ინდექსებმა მოახერხეს სავაჭრო დღე პოზიტიურ ტერიტორიაზე დაესრულებინათ. ხუთშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, Dow Jones-ი 78.01 პუნქტით, ანუ 1%-ით გაიზარდა 7884.99-მდე, ხოლო Nasdaq-ი 20.26 პუნქტით, ანუ 1.6%-ით 1323.94 მაჩვენებლამდე.

ტრეიდერების შეფასებით, ხუთშაბათის ვაჭრობის მონაცემებზე დადებითად იმოქმედა შეერთებული შტატების ნაციონალური უშიშროების სამინისტროს ინფორმაციამაც ტერორისტული აქტების მუქარის შემცირების შესახებ.

Dow Jones-ის ინდექსში შემავალი 30 კომპანიიდან ზრდა 25 კომპანიის აქციების კოტირებებზე დაფიქსირდა. ზრდის ლიდერებად მოგვევლინნენ: McDonald's-ი, რომლის აქციები 3.4%-ით, ხოლო Intel-ის, SBC Communications-ის, Caterpillar-ისა და Ceneral Electeic-ის აქციები თითქმის 2%-ით გაიზარდა. ბრუნვის მოცულობამ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე 1.3 მლრდ. აქცია შეადგინა.

Woll Strett-ის ანალიტიკოსების შეფასებით, თებერვლის დასაწყისიდან Dow Jones-ი 169 პუნქტით დაეცა და აქედან თითქმის 133 პუნქტით, მხოლოდ გასულ კვირაში. ასე რომ, კვირისა და თვის პოზიტიურ ტერიტორიაზე დახურვისათვის „ცისფერი კოჭების“ ინდექსს პარასკევს სერიოზული რალი ესაჭიროებოდა.

კვირის ბოლო დღის ვაჭრობის მონაცემებით, Dow მხოლოდ 0.08 %-ით გაიზარდა და 7891.08 პუნქტი შეადგინა. ხოლო Nasdaq-ს იმისთვის, რომ კვირა პოზიტიურ ტერიტორიაზე დაეხურა, 25 პუნქტი სჭირდებოდა, კვირის ბოლო დღის ვაჭრობის მონაცემებით, ზრდამ 1.03%, ანუ 13.60 პუნქტი შეადგინა, რაც შეეხება თვის მონაცემებს, იგი მაღალტექნოლოგიების ინდექსმა უმნიშვნელო ზრდით დაასრულა.

* * *

**საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე** ერაყის ფაქტორი კვლავინდებურად აგრძელებს ამერიკული ვალუტის კურსზე ზეწოლას. თუმცა კვირის ბოლოს ევროპის სავალუტო ბაზარზე ევრო/დოლარის კურსი 1.0805 დონემდე გაზრდის შემდეგ, ამერიკულ სესიაზე ოდნავ შემცირდა და 1.0760 –ის დონეზე დაფიქსირდა. ფორექსის ანალიტიკოსების შეფასებით, დოლარის კურსზე დადებითად იმოქმედა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ პროგნოზირებულზე უკეთესმა მონაცემებმა და კვირის ბოლოსაკენ ძირითადი საფონდო ინდექსების ზრდამ.

* * *

**ძვირფასი ლითონების ბაზარზე** გასული კვირა ოქროზე ფასების უმნიშვნელო შემცირებით აღინიშნა. კვირის ბოლოს ერთი უნცია ოქრო 346.90 დოლარი ღირდა, ნაცვლად იმის წინა კვირას დაფიქსირებული 353 დოლარისა. თუმცა არცთუ ცოტა ხნის წინათ 6.5-წლიანი მაქსიმუმის: უნციაზე 382 დოლარის მიღწევის შემდეგ, ამ ძვირფასი ლითონის ფასმა არცთუ უმნიშვნელო კლება განიცადა. როგორც ჩანს, მართლდება ანალიტიკოსების პროგნოზი, რომ 2002 წელს ოქროზე ფასების მკვეთრი ზრდის მიუხედავად ნაკლებმოსალოდნელია ამ ძვირფასმა ლითონმა 400-დოლარიანი ზღვარი გადალახოს.

მკაცრად განსაზღვრულ მყარ დიაპაზონში მოძრაობს **პლატინისა და ვერცხლის** ფასი. გასული კვირის ბოლოს ამ ლითონების ფასმა შესაბამისად 678 და 4.58 დოლარი შეადგინა.

* * *

გასული კვირის დასაწყისში **ნავთობის ბაზარზე** ვაჭრობა ნერვულ ატმოსფეროში გაიმართა, რაც შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის მიერ შემუშავებული ერთობლივი რეზოლუციის პროექტს დაუკავშირდა. დარწმუნებულებმა იმაში, რომ ახალი რეზოლუცია ომისაკენ მოსამზადებელი ნაბიჯი გახდება, ტრეიდერებმა ნავთობის ფიუჩერსების აქტიური გაყიდვა დაიწყეს. აღგზნებულ განწყობას ნავთობის ბაზარზე მაზუთის ფასის მკვეთრმა ზრდამაც შეუწყო ხელი. ნიუ-იორკის Nymex-ის სასაქონლო ბირჟაზე მაზუთის მარტის ფიუჩერსის ფასმა გალონზე 1.467 დოლარი შეადგინა. ვაჭრობის მსვლელობისას მაზუთის ფიუჩერსის ფასი ისტორიულ მაქსიმუმზე მაღალიც კი აღმოჩნდა, გაარღვია რა წინა რეკორდი, გალონზე 1.15 დოლარი, რომელიც 1979 წლის ნოემბერში დაფიქსირდა. ექსპერტთა შეფასებით, ბოლო პერიოდში შეერთებული შტატების მაზუთის ბაზარი ზედმეტად გადახურდა, რაც გეოპოლიტიკურ დაძაბულობასთან ერთად, პირველ რიგში ცივმა, ხანგრძლივმა ზამთარმაც განაპირობა. დღის შედეგებით, ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის ნავთობის ფიუჩერსი ბარელზე 36.48 დოლარამდე, ხოლო ლონდონის საერთაშორისო ბაზარზე Brent-ის მარკის ნავთობის ფიუჩერსი ბარელზე 33.15 დოლარამდე გაიზარდა.

ერაყში ომის დაძრული მოსალოდნელობის ფონზე ტრეიდერებმა იგნორირება გაუკეთეს ოპეკის პრეზიდენტის განცხადებას, იმის შესახებ, რომ კარტელს შესაძლებლობა აქვს ყველა რეზერვის ამოქმედებით ნავთობის მოპოვების ერთობლივი კვოტა დღე-ღამეში დამატებით კიდევ 3-4 მლნ. ბარელამდე გაზარდოს, იმ შემთხვევაში თუ ერაყში სამხედრო მოქმედებების დაწყების გამო ამ ქვეყნიდან ნავთობის მოწოდება შეფერხდება.

**ის. მე-7 გვ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ახალი ნომერი

# „გაზაფხულს წინ ველარაფერი დაუდგება...“

**მოულოდნელსა და უჩვეულოს ვერაფერს გეტყვით — დადგა ახალი თვე, მარტი და კვლავაც გამოჩნდა საზოგადოებრივი ჟურნალის „ომეგას“ ახალი ნომერი (41). უჩვეულო არც ის არის, რომ ერთგული მკითხველი სულმოუთქმელად ელის ჟურნალის ახალ ნომერს, რადგან იმედოვნებს, რომ განუყრელი მეგობრებისგან ისევ ბევრ საინტერესოს შეიმეცნებს... და ვინც ასე ფიქრობს, ჩათვალოს, რომ იმედი ამჯერადაც გაუმართლდა. ან კი რა არის საოცარი — ეს ხომ „ომეგას“ მთელი შემოქმედებითი კოლექტივის უმთავრესი მიზანია, რომლის მიღწევასაც ის როსტომ ჩხეიძის თავკაცობით მუდამ ახერხებს კიდეც.**

„აი, ჩაიარა თებერვალმა და დადგა მარტი — გაზაფხულის პირველი თვე. მზემ დაგლეჯილი ღრუბლებიდან გამოიხედა და ძალაგამოლეული ზამთრის ფაფხურს იქიდან დაუწყო თვალთვალი. თრიალეთზე ჯერ ისევ დევს თოვლი და მზე ჩავა თუ არა, თითქმის ძველებურად ცივა, მაგრამ უკვე ჩანს, რომ გაზაფხულს წინ ველარაფერი დაუდგება, ის თოვლი დადნება და წყლად წავა, ტყე ფერს შეიცვლის, ყვითლად გადაიპენტებიან შინდები, ჩამომწვანებული კორდები ყოჩივარდებით მოიჩითება, გამოჩუჩუნდება ნაზამთრალი ფუტკარი... მომავალი ზამთრისთვის სამზადისიც სწორედ დღეიდან უნდა დავიწყოთ, თორემ მერე გვიანღა იქნება სინანული და თითზე კბენანი“, — ეს ერთი მოკლე, მაგრამ მრავალისმთქმელი ფრაგმენტია „ომეგას“ ახალი ნომრის მოწინავიდან.

ჟურნალის ახალ ნომერში რუბრიკით „პოლიტიკა“ დაბეჭდილია პეტრე ბორავსკის წერილი „საქართველო და კავკასიაში ისლამის აღორძინების პოლიტიკური ასპექტი“ (პანკისის ხეობაში მიმდინარე ამბების შუქზე). „პეტრე ბორავსკი 1997-2000 წლებში საქართველოში დესპანად ყოფნისას კარგად გაეცნო ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეს, ჩვენს მწვავე პრობლემებს და ამის თაობაზე მრავალი სტატიაც გამოაქვეყნა როგორც ქართულ, ისე პოლონურ პრესაში“. აღნიშნული წერილი გამოქვეყნდა პოპულარულ პოლონურ ჟურნალში „სპრავი პოლიტიჩნეს“ („პოლიტიკური პრობლემები“) 2002 წლის სექტემბრის ნომერში. „ომეგასთვის“ ის თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა.

„ფელიციასადმი ისეთი სიყვარული მაქვს, როგორც ხელმოცარულ მხედართმთავარს ქვეყნისადმი, რომლის დაპყრობაც ვერ მოახერხა...“ — ფრანც კაფკას ამ ტკივილიან სიტყვებს ამოიკითხავთ მაკა ჯიბლაძის და მაკა ჯაფარიძის ნარკვევში „ამ ერთხელ ვნახე ფრანცი მტირალი“, რომელშიც აღწერილია ფრანც კაფკას სიყვარულის ისტორია ფელიცია ბაუერისადმი. რასაკვირველია, ნარკვევი გამოქვეყნებულია „ომეგას“ მუდმივი რუბრიკით „ელვარე და ლომფერი“.

სპირიდონ კედიას ეკონომიკურ შეხედულებებს გაეცნობით სტატიით „კერძო საკუთრება — სახელმწიფოს საფუძველი“.

რუბრიკით „ბუნება მბრძანებელია“ გამოქვეყნებულია ჟურნალის ერთ-ერთი აქტიური ავტორის ბაბუა ალუდაურის „ანატორი“, რომელშიც მშვენივრად არის აღწერილი პირიქითი ხევსურეთის ნასოფლარი ანატორის ისტორია. შთამბეჭდავია ავტორისეული ფოტორეპორტაჟიც.

„საუცხოო მუხებსა და მუხის მწკრივებით შემოვლებულ ფართო სიმინდის ყანებში გზა დამებნა, მაგრამ უცებ ამ ლაბირინთიდან გამოვედი და ჩემს წინ წამოიმართა თაღებისა და ნანგრევების გროვა, რომელთა დიდებულებამ გამაკვირვა — არასოდეს და არსად ამის მსგავსი არაფერი მინახავს“ — ასე გამოხატა გეგუთის ციხე-დარბაზის ნანგრევების გრანდიოზულობით გამოწვეული გაოცება ცნობილმა შვეიცარიელმა მოგზაურმა და ხელოვნებათმცოდნემ ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ“, — ამ სიტყვებით იწყება პეტრე ვაჭარიძის სტატია „გეგუთის ციხე-დარბაზი“, რომელშიც ჩინებულად არის წარმოჩენილი ქართული საინჟინრო ხელოვნების ამ შესანიშნავი ძეგლის წარსული. პუბლიკაციის შთამბეჭდაობას აძლიერებს მურმან ჩაჩუას ფოტოები.

რუბრიკით „საოცრებათა სამყაროში“ დაბეჭდილია თამთა თაბაგარის „მღვიმის ზღაპარი“ და კახა ჯანიაშვილის ფოტოები, რომლებზეც ასახულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის მღვიმეთა ხედები. ფერადოვანი, ლაკონური, კომპოზიციურად შეკრული ფოტოსურათები ერთდროულად შეიცავენ მდიდარ ინფორმაციას და თან მთელი სისავსით, მთლეი ძალით აცოცხლებენ მღვიმეებთან დაკავშირებულ თითქმის მივიწყებულ განცდას, იდუმალების შეგრძნებას“. სალომე ოდიშარია კი ჟურნალის მკითხველებს რიწის ტბასთან დაკავშირებულ რამდენიმე ნაკლებად ცნობილ ლეგენდას აცნობს. პუბლიკაციას ერთვის ალექსანდრე სააკოვის ფოტოები.

„აღიარება-სიცოცხლეშივე“ — ასეა დასათაურებული არჩილ კეზელის სტატია. ავტორი წერს: „ამ წერილის დაწერა იმ არცთუ უსაფუძვლო ეჭვმა მიბიძგა, რომ, სამწუხაროდ, დღეს სწორედაც რომ ადვილად მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ან საერთოდ არ გაუგონიათ ბერიტაშვილის სახელი, ან დაავიწყდათ, თუ ვინ იყო, რა ცხოვრებით იცხოვრა, რა კვალი დატოვა მეცნიერებაში ივანე ბერიტაშვილმა“. ვფიქრობ, ავტორმა მიზანს მშვენივრად მიაღწია და კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, დიდი მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის უდიდესი ღვაწლი.

2002 წლის მაისში ვენაში მსოფლიო ახალგაზრდების ფორუმზე ყოფილა ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის ბორჯომის რაიონული განყოფილების გამგე, საყმაწვილო თეატრ-სტუდია „ნაცარქექიას“ ხელმძღვანელი მარინე გელაშვილი, რომელთან ინტერვიუ მოუმზადებია მარინე რევიშვილს. მასალის სათაურია „ბორჯომელების ვენის ფორუმზე“.

„კენტერბერი ერთ იმ ქალთაგანია, რომელმაც სათუთად შემოინახა მეორე ათასწლეულის ისტორიის ნაწილი. ჯეფრი ჩოსერი კი ერთი იმ მწერალთაგანია, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა მეორე ათასწლეულის ცივილიზაციის შექმნაში“, — წერს მარიკა ოძელი სტატიის დასასრულს, რომელშიც გაეცნობით ამ ქალაქის, მისი ცნობილი კათედრალური ტაძრის ისტორიას, ჯეფრი ჩოსერის მიმართებას. სტატიის სათაურია „და გავუყევი პილიგრიმების გზას“.

საინტერესოა გიორგი ჩინჩალაძის წერილი „სახალხო მუშტი-კრივები ძველ საქართველოში“.

„ომეგას“ ახალ ნომერში გრძელდება მირიან გუჯაბიძის კოლექციიდან საფოსტო ბარათების გამოქვეყნება. „მირიან გუჯაბიძის კოლექციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოხუმს. ხედები, რომლებიც ამ ციკლშია მოქცეული, ამძაფრებს ჩვენ საერთო ტკივილს, ნოსტალგიას. ბატონმა მირიანმა ადრეც აღნიშნა, რომ შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, უყოყმანოდ გაემგზავრება აფხაზეთს და დღეს, ახლა გადაიღებს იმას, რაც მას და ჩვენ ყველას ასე გვენატრება და რაც, ალბათ, ძალიან შეიცვალა“.

„ომეგას“ „წიგნის თაროზე“ ამჯერად ჯანრი ჯაშიას „შენობა“ (სივრცის შედედება) გამოჩნდა. სტატიის სათაურია „შენობა: ღმერთსმოკლებული სინამდვილე“.

რუბრიკით „პროზა“ დასტამბულია ირაკლი ლომოურის „ინგლისურის მასწავლებელი, ანუ ოცდაათი წლის შემდეგ“ (თამარ მინაშვილის ილუსტრაციები), „უცხოურ ნოველაში“ კი არტურ სელინგსის „დახმარების ხელი“, რომელიც ინგლისურიდან თარგმნა ნუცა თოფჩიშვილმა (ილუსტრაციები გივი ვაშაკიძისა).

კვლავაც მრავალფეროვნად და მრავალწახნაგოვნად არის წარმოჩენილი კულტურის, სახელოვნები თემატიკა. რუსუდან დაუშვილის წერილი „ჩვენ ქართულ სიმღერას არ ვყიდით“ მიმოიხილავს ხელოვნების მენეჯერთა სემინარის საქმიანობასა და შედეგებს.

„ქართული ტექსტილის ჯგუფის“ მიერ ორგანიზებულ და თბილისში გამართულ ტექსტილის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმს ეძღვნება ინგა ქარაიას მშვენიერი, მრავალისმეტყველი სტატია „შეხვედრა გზაჯვარედინზე“. კარგად არის წარმოჩენილი ამ ფორუმის მნიშვნელობაც, მასთან ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა მიმართებაც, პერსპექტივაც.

„მიხარია, რომ საქართველოში ის ტრადიციული კულტურა, რასაც მატყლის თელვა ჰქვია, არ არის მკვდარი და დები ქოთილაიძეების ნამუშევრები მსოფლიო სტანდარტებს უტოლდება“, — ნანული აზიკურის ეს სიტყვები გამოუტანია მზია ჭიჭიაშვილს თავისი სტატიის „ექვსი და ქოთილაიძე“ ეპიგრაფად, რომელშიც აღწერილია ამ ადამიანების საინტერესო საქმიანობა.

მართა ბალანჩივაძე სტატიაში „ივანე მაჩაბლის ნაფუძარზე“ შარშან გაზაფხულზე ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმში მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებს მკითხველებს. იქაურ მცველს როინ გოგაშვილს უთქვამს „ახალი ხალხი მოვა ქვეყნის სათავეში და აქაურობასაც მიხედავენო“. მცველმა, ალბათ, უკვე ირწმუნა და საზოგადოებამაც უნდა იცოდეს — „ახალი ხალხის“ მოუსვლელადაც გადაწყდა საქმე — საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გასული წლის მიწურულს 150 ათასი ლარი (სრული ტრანშის ნაწილი) გამოიყო მაჩაბლის სახლ-მუზეუმის აღდგენისთვის და შესაბამისი სამუშაო პროცესიც აქტიურად არის დაწყებული.




შარშან გაზაფხულზე საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა დაარსებიდან 75 წლის იუბილე იზეიმა. ამ თარიღს ეხმაურება თეა ყიფშიძე სტატიით „დაუფასებელ-შეუფასებელი საგანძური“.

რუბრიკით „თეატრალური სიახლენი“ მკითხველი გაეცნობა თამარ შაიშმელაშვილის სტატიას „სებიასიყვარულის საგალობელი“, რომლითაც ავტორი გადმოგვცემს თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის თეატრის სპექტაკლის „სებიას“ ხილვით მიღებულ შთაბეჭდილებებს. შუა საუკუნეების ებრაულ ფილოსოფოსთა და პოეტთა ნაწარმოებების ჯემალ აჯიაშვილისეული თარგმანების მიხედვით სპექტაკლი რეჟისორმა მანანა ბერიკაშვილმა დადგა. (ფოტოები ნათელა გრიგალიშვილისა).

საინტერესოდ მიმოიხილავს ლიანა მამალაძე-ანთელავა სტატიით „მე“-ს ძიებების გზა“. მხატვარ სოსო წერეთლის ხელოვნებას და მართებულად დაასკვნის: „სოსო წერეთლის შემოქმედება პატარა კენჭივით დევს იმ დიდ ტილოზე, ქართული კულტურის მოზაიკა რომ ეწოდება. მისი ფერადოვნება სმალტის ამ პატარა ნაჭრის გარეშე უფრო მწირი იქნებოდა, რადგან ერთი სხვათგან განსხვავებული ფერი დააკლდებოდა“.

„მარინე თბილელის ბრწყინვალე ნიჭი, გარდასახვის ოსტატობა, ფართო სამსახიობო დიაპაზონი და ქალური ხიბლი დღეს ქართული თეატრის და კინოს ისტორიის კუთვნილებაა“. ამ მშვენიერი მსახიობის კიდევ ერთი უკვდავმყოფი ნარკვევია ლამარა დოლონაძის „და უბრუნდება ისევ თავის წრეს...“

„ომეგას“ მკითხველს უეჭველად გაიტაცებს მსახიობ მერაბ ნინიძის და ინგა მილორავას საუბარი. რუბრიკით „ჩვენი თანამედროვე“ გამოქვეყნებული ამ მრავალისმეტყველი, საინტერესო ინტერვიუს სათაურია „თვალი ადევნეთ მოქმედებას...“

უცხოეთში მოღვაწე ქართველი მომღერლისთვის ირმა ნიორაძისთვის ჟურნალისტ ელენე იმირელს (აფხაძე) ჩამოურთმევია ინტერვიუ, რომელსაც მანანა არველაძის თარგმანით გაეცნობა „ომეგას“ მკითხველი.

კვლავაც ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიტყობთ რუბრიკაში „მოზაიკა“ და „ნაკვესები“.

ასე რომ, „ომეგას“ ახალი ნომერი (41) ტრადიციულად შთამბეჭდავია და თავის უცვლელ დევიზს — „გზად და ხიდად“ — კვლავაც სრულიად შეესატყვისება.

**ზურაბ ოიკაშვილი.**



ხალიჩებით ვაჭრობა ძველ თბილისში. დავით ერმაკოვის ფოტო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 58, ორშაბათი, 3 მარტი, 2003 წელი.

ცხელი წერტილი

# პანკისის ხეობა: ვითარება ჩაცხრა, პრობლემა კი უამრავი დარჩა...

**ალაზნის ჭალა-ტყეები თოვლს დაუფარავს. ყვარელწყლის, დუისის, ჯოყოლოს, და ბირკიანის შემდეგ, პანკისის ხეობა თანდათან ვიწროვდება,აი, ბაწარა-ბაბანეურის ნაკრძალიც, ისიც თოვლის საბურველში გახვეულა, გზა ალაზნის ჩაღრმავებულ კალაპოტს ჩასცქერის. ხადორჭესამდე ავდივართ...**

**საქართველოდან უკან მოუხედავად გაქცეული პიტერ შოუს მეშვეობით, რომლის ტყვეობიდან დახსნის ბუნდოვანი ისტორია პრესამ განსაკუთრებით აიტაცა, კიდევ ერთი სამარცხვინო „შოუ" მოგვიწყვეს. ბრიტანელი ბანკირი თავისუფალია, ქართველი კაცი კი სოფელ მატნიდან — მოკლული! ნეტა, გამოძიებას შესწევს უნარი, მთავარი დამნაშავის კვალზე რომ დადგეს?**

**პანკისში, „ციდან ცვივიან" საქართველოში დაკარგული ადამიანები.**

შეთანხმების მიხედვით, 2001 წლის იანვარში დუისიდან ახმეტის გამგებლისა და მისი აპარატის შესახვედრად ხეობის ერთ-ერთმა უხუცესმა, სადულამ მანქანით წამიყვანა საკობიანოში. ბატონი პავლე ცაძიკიძე ზემო ხალაწანში და საკობიანოში უნდა შეხვედროდა მოსახლეობას; საკობიანოში შევიტყვე, რომ ახმეტის რაიონის გამგებელი ზემო ხალაწნიდან აპირებდა გადმოსვლას.

მანქანამ გეზი ისევ დუისისკენ აიღო. სარწყავ არხთან მარჯვნივ გადავუხვიეთ და ორმოცდაათიოდე შეჯგუფებული ახალგაზრდა დავინახეთ.

უცებ, ომალოს მხრიდან სწრაფად ჩამოიქროლა სამმა თუ ოთხმა მანქანამ და ახალგაზრდების წინ გაჩერდა. მასში მსხდომი აღელვებული მამაკაცები სწრაფად გადმოვიდნენ და უცხო ენაზე აკამათდნენ. ამის შემხედვარე ბატონმა სადულამ ჩვენს მძღოლს მანქანა გააჩერებინა და თქვა, წავიდეთ და გავიგოთ, რა მოხდაო. ისინი მალევე დაბრუნდნენ და მითხრეს, ხალაწანში ვეღარ წაგიყვანთ, მდგომარეობა შეიცვალა, სჯობია უკან მივბრუნდეთო.

ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა „მდგომარეობის" შეცვლა. როგორც კი კუწახტის პოლიციის საგუშაგოს მივადექით, დუისის მხრიდან სწრაფად წამოგვეწია მანქანა და ოთხი ახოვანი, თავით-ფეხამდე შეიარაღებული წვერიანი მამაკაცი გადმოხტა. ამ დროს ახმეტის მხრიდანაც გადმოვიდნენ სახელოვანი ქისტები, ჩემი მეგობრები: ბუღდან ბალაკაშვილი და ჯოყოლოს ყოფილი გამგებელი (ახლა სკოლის დირექტორი) ვალერიან მუთოშვილი. ეს ორი მხარე რაღაცაზე კამათობდა, რაღაცაზე დავობდა. ეს დავა ლამის ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. ბუღდანი უძრავად იდგა, შეიარაღებულებს ვანო მუთოშვილი ეწინააღმდეგებოდა. ბოლოს ვანომ ხელი აუქნია და გაბრაზებით ქართულად უთხრა: წადით, თქვე ლაწირაკებოო...

მე „ბატონო ვანო", „ბატონო ვანოს" ვეძახდი და ვითომდა ვაწყნარებდი... შენობიდან გამოსულმა პოლიციის თანამშრომელმა ხელი მომხვია და გვერდით გამიყვანა, თან მითხრა, აქ რაღას უცდიდით, ვერ ხვდებით, რომ თქვენი მძევლად აყვანა უნდათო. უცებ ისე შევშფოთდი, კინაღამ ჩავიკეცე. წარმოვიდგინე ჩემი თავი ორმოში ჯაჭვით დაბმული ზამთრის ყიამეთში...

რომ არა ვალერიანი და ბუღდანი, ვერ დამიცავდნენ მარტო ქისტი თანამგზავრები, ვერ დამიცავდნენ და ტერორისტ ახმადოვების ლუკმა გავხდებოდი. ეტყობა, შეჯგუფებული ქისტებისგან ვიღაცამ მიცნო და ამიტომ დაგვედევნენ. კრიმინალების აღელვების მიზეზი კი ის აღმოჩნდა, რომ ჩემი პანკისში ასვლა დაემთხვა კახეთის სამხარეო პოლიციის მიერ ქისტი კრიმინალების დაკავებას. ჩემი მძევლად აყვანით, ალბათ, ფიქრობდნენ მათ უკან დაბრუნებას. არა მარტო ჩემი, ახმეტის გამგებლის მძევლად აყვანაც მოუსურვებიათ, რაც ვეღარ შეძლეს. წინა დღეს კი, როგორც ჩვენთვის გახდა საცნაური, ტელევიზიის პირველი და მეორე არხის ჟურნალისტები გააჩერეს. წაართვეს ვიდეოკამერები, ფირები და პირადი ნივთები, თუმცა, ორ-სამ საათში მოსახლეობის ძალისხმევით დააბრუნეს.

ეს ამბავი მაშინ არ გავახმიანე და პანკისის ხეობაზე შექმნილ საგაზეთო ციკლში არ მოვათავსე, რათა ამ დროისათვის ისედაც დაძაბული სიტუაცია უფრო არ გამემძაფრებინა.

ვსარგებლობ შემთხვევით და განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ვალერიან მუთოშვილს, რომელმაც განსაცდელს გადამარჩინა, ამასთან, სატელევიზიო ფილმის გადაღების შემდეგ, გამომშვიდობებისას, ჩვენი ჯგუფი ოჯახში მიგვიწვია, გაგვაცნო სათნო და მშვენიერი მეუღლე — დარიკო, შვილები — ზურა, ზაური და ნესტანი, ჯოყოლოელები და მეგობრობისა და სიყვარულის ნიშნად ამ ხელმოკლე ქისტმა კაცმა ერთადერთი ხბოც დაგვიძღვნა.

* * *

ზამთარმა პოლიტიკაში ხმაურიანი და მოდადქცეული პანკისის ხეობა მიაჩუმათა და ძირითადი აქცენტი მხოლოდ რუსეთისათვის „საჭირო" ჩეჩნებზე გადაიტანა.

ტანკები დღესაც დგანან იქ. მათ სიახლოვეს გაყუჩებული ხეობა ზამთარს თეთრ მდუმარებაში ჩაუძირავს. ქარი გაძარცვულ ხეთა ტოტებს აქანავებს, თითქოსდა თეთრი ქარავანი მიირწეოდეს.

ლტოლვილებმა სოფელ ყვარელწყლიდან რამდენჯერმე მოაწყვეს გაფიცვა. მიტინგის შემდეგ ოცამდე ქალმა და კაცმა შიმშილობა დაიწყო. ეზოში გაშლილი კარავი და ტრანსპარანტები „დროზე შენიშნეს" და მათ მოთხოვნებსაც ყურადღებით მოუსმინეს...



ჩვენგან შეფარებულ და შეცოდებულ მეზობლებს სხვებისთვის შესაშური თვისებები გამოარჩევთ — ურთიერთგატანა და საკუთარი მიზნების ერთგულება.

ჯერჯერობით ბუნებრივი რესურსებით გაქვთ თავი გულკეთილ პანკისელებს. სახლის საკვამურებიდან ბოლი ამოდის. ჩვენმა სტუმართმოყვარეობამ ხომ უკვე გაამეჩხერა და პირვანდელი სახე დაუკარგა დაბურულ ტყეებს. ყველას თვალწინ მოიჭრა მუხა, უთხოვარი, წაბლი თუ კაკალი, მთელს ქვეყანაში მოდებული ბრაკონიერობა არც პანკისის ხეობას ასცდა. ერთ დროს უზრუნველი და საარაკო პანკისი დღეს ყოფნა-არყოფნით დამძიმებულა.

თორღვა პანკელის იავარქმნილ ციხე-სიმაგრეში შუბლშეკრული დაიარება ამხედრებული აჩრდილი და ამაოდ ეძებს სანუგეშოს...

ქართველ მილიონერთა მეშვეობით ნამდვილად შესაძლებელია პანკისის ტურისტულ ბაზად და წალკოტად ქცევა, სპეროზიას მთის ძირში მოქცეული ხეობის აყვავება. ბაწარას უმდიდრესი ნაკრძალით, გაჩირაღდნებული ხადორის თავს გადმომდგარი ჭიუხებით, მდინარე ალაზნის სათავით, ორივე მხარეს ჩიტის ბუდეებივით შეფენილი ჩვიდმეტი სოფლით, აქაური ძირძველი მოსახლეობით კვლავაც უამრავი საიდუმლოს გამხელას ჰპირდება მნახველს პანკისი.

ჩაცხრა პანკისური მოვლენები, რომლებიც ხელოვნურად მოაწყვეს სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებმა, ბოევიკებმა და ათასი ჯურის დამნაშავეებმა, ხეობას რომ აფარებდნენ თავს.

მოსახლეობას და სამართალდამცავებს ამოსუნთქვის საშუალება მიეცა.

ახლა ის დროა, როცა ხელმძღვანელობა აანალიზებს სპეცოპერაციის შედეგებს, გეგმავს სამომავლო ღონისძიებებს...

პირველი შედეგები მართლაც რომ წარმატებულია. იმედია, პანკისის ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციის ახალი ეტაპიც გამიზნული და შედეგიანი იქნება.

ამ ქამარეულ დროში ბევრს აუღია თავზე ხელი, მრუდე გზას გაჰყოლია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც მომრავლებულა ქურდი და ყაჩაღი, კაცისმკვლელი, კონტრაბანდისტი, მაგრამ დამნაშავეთა სამყარო მაინც ჯეჯილობს უფრო მეტად „ცხელ წერტილებში" და განსაკუთრებით კახეთის მხარეში.

კახეთის შინაგან საქმეთა მთავარმა სამმართველომ უდიდესი წვლილი შეიტანა პანკისის ხეობის რთული კრიმინოგენული მდგომარეობის დაშოშმინებაში, ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციის წარმატებით ჩატარებაში.

დიახ, დღეს ძალოვანი სტრუქტურების მიერ მიღწეულ შედეგებზე ყველა საუბრობს — ქვეყნის ხელისუფლება, უცხოელი და შინაპოლიტიკური დიპლომატები, პარტიათა და ორგანიზაციათა ლიდერები.

ამჟამად პანკისის ხეობაში 14 საგუშაგოა და ტერიტორიას შინაგანი ჯარი აკონტროლებს. პატრულირება კიდევ უფრო გაძლიერდება.

ჩეჩენი მეომრების დაბრუნებას ხეობაში აღარ ელიან, მაგრამ მოარული ხმებით, გაზაფხულის დადგომისთანავე ხეობაში რუსებისგან გამორეკილი ჩეჩენი მეომრები კვლავ გამოჩნდებიან.

**მედეა მეზვრიშვილი — თელავის რაიონის გამგებელი:**

— ცნობილია, რომ პანკისმა დაძაბა მდგომარეობა სრულიად საქართველოში. ახმეტის შემდეგ ჩვენ ყველაზე ახლოს ვართ ამ ხეობასთან, და იქ არსებული სიძნელეები ჩვენს მხრებზეც გადადიოდა.

1995 წლის 2 მაისის, „მხედრიონის" ალაგმვის შემდეგ, კახეთი შედარებით დაწყნარებული რეგიონი იყო. მანამდე აქ ხომ უამრავი ყაჩაღი დათარეშობდა.

მაგრამ როგორც კი პანკისის უბედურება დაატყდა ქვეყანას და კრიმინალებმა თავი შეაფარეს ამ ხეობას, თელაველებმაც ბევრი უბედურება გადაიტანეს.

ეს დამნაშავენი დღისით, მზისით, როგორც თელავში, ასევე მის სოფლებში აწიოკებდნენ ოჯახებს, ზოგი დაჭრეს, ზოგი გაიტაცეს. ასეთი დანაშაულობები ყველაზე მეტი ყარაჯალაში იყო, არც ფშაველისთვის დაუკლიათ ხელი, ლალისყურიდანაც კი გაიტაცეს კაცი. ამას რაც მოჰყვა, ისიც ცნობილია. ამან ძალიან ააღელვა ხალხი და თავისი სიტყვა თქვა.

ჩვენი სამართალდამცავები კი, არა მარტო პანკისის ხეობაში იღვწოდნენ, აქაც აქტიურობდნენ. არ დაინდეს მომხდური და ყარაჯალაში კრიმინალების თარეში აღკვეთეს.

მიუხედავად ამისა, დღემდე კიდევ არის გავლენები.

30 დეკემბრიდან ხუთი მკვლელობა მოხდა, ეს ძველი თარეშის გამოძახილია. მთავრობის ღონისძიებების შემდეგ, დამნაშავეთა სამყარომ გეზი შეცვალა და სხვადასხვა მხარეს გადაინაცვლა.

ახლა თანდათან ვწესრიგდებით.

**ბიძინა სონღულაშვილი — პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში:**

— ჩვენთან ყველა მიმართულებით ძალზე მძიმე მდგომარეობა იყო.

ფაქტია ის, რომ პანკისი თავისი მოვლენებით, იმ დროისათვის არსებული რეალობით ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

კავკასიონის უღელტეხილებიდან ხეობაში ნებსით თუ უნებლიეთ გადმოდენილმა და მოყოლილმა მებრძოლებმა და მათ სახელს ამოფარებულმა და მიჯმასნილმა ადგილობრივმა კრიმინალებმა, ასევე საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულმა დამნაშავეებმა სერიოზული და უამრავი პრობლემა მარტო პანკისის ხეობის მცხოვრებლებს კი არ შეუქმნა, არამედ ახმეტის რაიონს და მთლიანად კახეთის რეგიონს.

პანკისის ხეობა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა.

დიდი დრო არ გვაცილებს ამ მოვლენებთან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ შესაბამისი სამსახურების, ანუ ძალოვანი სტრუქტურების ერთობლივი, ორგანიზებული ძალისხმევით, ბევრი რამ რადიკალურად შეიცვალა.

შინაგანი ძალების გადაადგილებით და ხეობის სიღრმეში ბლოკ-პოსტების გადატანით, ბევრი კრიმინალური დანაშაული აღიკვეთა.

სამწუხაროდ, ბევრი რამ გვავიწყდება. დაგვავიწყდა ერთი წლის წინათ არსებული რეალობა. დღეს ვითხოვთ გაცილებით იმაზე მეტს, რაც შესაძლებლობას აღემატება. თუმცა, მიმაჩნია, რომ დაწყებულ პროცესებს ბოლომდე მივიყვანთ.

დამატებითი ღონისძიებები ტარდება იმისათვის, რომ ზაფხულის განმავლობაში მოთარეშეები უღელტეხილებიდან და მთების ბილიკებიდან ველარ გადმოვიდნენ.

**ზაურ ზუმაშვილი — პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე კახეთის მხარეში:**

— მინდა დავიწყო 1996-97 წლებიდან, როდესაც ჩვენთან ჩანასახის სახით გაჩნდა კრიმინალური ელემენტები. მაშინდელმა ძალოვანმა სტრუქტურებმა, არ ვიცი შეგნებულად თუ შეუგნებლად, თვალი დაუხუჭეს დანაშაულობებს. ამან საფუძველი შეუქმნა დამნაშავეთა გააქტიურებას.

შემდგომში კი, როცა რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომი დაიწყო და ამის გამო ლტოლვილები შემოვიდნენ, უდიდესი სახელმწიფოების პოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა და ერთ-ერთი ძირითადი შეჯახების სასურველი ნიადაგი პანკისის ხეობაში აღმოჩნდა, კონკრეტულად კი, რუსეთისათვის ხელსაყრელი ადგილი, მისი დიდი მცდელობის შედეგი იყო ყოველივე ეს, რადგანაც საქართველოს პროდასავლური კურსი არახელსაყრელი აღმოჩნდა რუსეთის ინტერესებისათვის. ამიტომ, არა მარტო პანკისი, მთლიანად საქართველო დიდი ომის პროვოცირებას გადაურჩა. ვფიქრობ, ზუსტად ამ პერიოდში გამოჩნდა საქართველოს პრეზიდენტის უდიდესი წინდახედულება და მისმა დიდმა პოლიტიკურმა შორსმჭვრეტელობამ საქართველო ამჯერადაც გადაარჩინა.

მახსენდება 2000 წლის 26 დეკემბერი, როდესაც პანკისის ხეობის წარმომადგენლები კახეთის გუბერნატორის ხელმძღვანელობით შევხვდით პრეზიდენტს. მაშინ პრეზიდენტისადმი ხეობელების უპირველესი თხოვნა იყო, რომ ხეობაში მოსალოდნელი გართულებების შემთხვევაში, ყველა ღონისძიება განხორციელებულიყო ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის დაზარალების გარეშე. პრეზიდენტმა მათი თხოვნა პირნათლად შეასრულა, რადგანაც დღეს უკვე სიტუაცია განმუხტულია და ამ პროცესებმა უმტკივნეულოდ ჩაიარა.

დღეისათვის პანკისის ხეობა ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს, თუმცა, იმ პროცესების შემდეგ უამრავი ლაქა დარჩა და კრიმინალები მაინც შემორჩნენ.

ამას გარდა, კიდევ დარჩა უამრავი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია აქაური მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობასთან. ეს იმ დიდი საშიშროების ფონზე, დღეს უფრო თვალნათლივ გამოჩნდა.

ალბათ, იცით, რომ ეს ადგილი მცირემიწიანია. ამასთან, მიწა მწირია და ხრიოკი, სოფელი კი მიწით სულდგმულობს. ამდენად, ხეობაში მოხვედრილი ადამიანისათვის ძნელი გასარკვევი არ უნდა იყოს ის ფაქტი, თუ რამდენად მძიმე ყოფაში უხდება აქაურ კაცს ცხოვრება. მართალია, არანაირი დანაშაულისათვის ეს არ არის გასამართლებელი, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ დაუსაქმებელ, ულუკმაპუროდ დარჩენილ ადამიანებს მდგომარეობა ხშირად დანაშაულისკენ უბიძგებს. ეს საკითხები ერთმანეთშია გადახლართული და ამიტომაც საჭიროა ამ უმძიმესი პირობების მოწესრიგება.

ჩემი აზრით, გამოსავალი იქნება ის, რომ შემუშავდეს სპეციალური პროგრამა პანკისის ხეობის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

აქ ჩატარებული გლობალური ოპერაციების შემდეგ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა პანკისის ხეობა კვლავაც არ იქცეს კრიმინალურ ძალთა სათარეშო ადგილად.

ხეობაში გვაქვს გრანიტის უდიდესი საბადო, არის ფერმერული მეურნეობის განვითარების საშუალებები, საკმაოდ დიდი ხეტყის მასივები. ამ რესურსების გონივრული გამოყენებით ადამიანთა დასაქმების პრობლემა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მოიხსენიება.

საქართველოში უამრავი ჰუმანიტარული ორგანიზაცია მოქმედებს და დიდ საქმეს აკეთებს, მაგრამ თითქმის ყველა მათგანი გაურბის ჩვენს ხეობაში რაიმე პროგრამის განხორციელებას. ვფიქრობ, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ისინი შიშობენ, რომელიმე ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირი არ დაბრალდეთ. ასეთი განწყობის გამო ხეობის მოსახლეობა ზარალდება. მინდა მათი მისამართით ვთქვა, რომ ამის საშიშროება ჩვენს ხეობაში აღარ არის.

ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ. ვხედავთ, რომ ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა არ იძლევა პანკისის ხეობაში არსებული სერიოზული სოციალური პრობლემების საკუთარი ძალით გადაწყვეტის საშუალებას.

ასეთი თხოვნით ერთხელ უკვე მივმართეთ ამერიკის საელჩოს და მინდა ეს სურვილი და თხოვნა კიდევ გავიმეორო.

**ზურაბ ტუშური — კახეთის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს უფროსი, პოლიციის გენერალ-მაიორი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი:**

— პანკისში თავმოყრილი იყო კარგად შეიარაღებული ჩეჩენი და მათთან მიკედლებული არაბი, ყარაჩაელი, ლეკი და სხვა ეროვნების მებრძოლთა საკმაოდ დიდი რაზმები, რომელთა ყოფნას კარგად იყენებდნენ ქისტი თუ შემოსული კრიმინალები, რაც ხეობას ადგილობრივი თუ საერთაშორისო ტერორიზმის სერიოზულ პლაცდარმად წარმოაჩენდა. ხეობის პრობლემა შორს გასცდა მხარის თუ ქვეყნის ფარგლებს და მისი მოგვარება საერთაშორისო პოლიტიკის ინტერესების სფეროდ იქცა. პანკისის თემა იმ პერიოდისათვის არ ჩამოდიოდა საინფორმაციო საშუალებების გამოშვებებიდან, მაღალი ტრიბუნებიდან. წარმოიშვა სერიოზული საფრთხე, რომ ეს პრობლემა უცხო სახელმწიფოს ძალისმიერი ჩარევით მოგვარებულიყო. ამის დაშვება კი არ შეიძლებოდა, რადგანაც ეს გამოიწვევდა საომარი მოქმედებების ჩეჩნეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადმონაცვლებას.

პრაქტიკულად, ქვეყანა ახალი საომარი კონფლიქტის საფრთხის წინაშე იდგა.

აი, ამას გადაურჩა საქართველო... ომს, ნგრევას, გაპარტახებას.

**ჯარაფ ხანგოშვილი — დუისის საკრებულოს თავმჯდომარე:**

— რუსეთთან ურთიერთობის დამძიმების დიდი საშიშროების წინაშე იდგა საქართველო. ჩეჩენ მოთარეშეთა ყოფნა ხელზე დაიხვიეს ზოგიერთმა პოლიტიკოსმა და საქართველოს მტერმა. ყველა ინფორმაცია აქედან გაზვიადებულად გადიოდა და ამას რა შედეგიც მოჰყვა, კარგად დავინახეთ. დაიბომბა მთები, შემდეგ პანკისის შემოგარენი. ამას ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყვა.

ის. მე-9 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ფინანსები

# ინვესტორები ნერვული დაძაბულობის ზღვარზე

(მეოთხე გვერდიდან)

დასახელებული ციფრები დამოუკიდებელი ექსპერტების მონაცემებზე ბევრად მაღალი აღმოჩნდა. ოპეკის მიერ ნავთობის მოპოვების დღეღამეში კიდევ 3-4 მლნ. ბარელამდე გაზრდა, ცხადია, კომპენსირებას გაუკეთებს ერაყის ნავთობს, რომლის ექსპორტიც ბოლო პერიოდში დღეღამეში 2 მლნ. დოლარს არ აღემატება. მაგრამ რჩება საშიშროება, რომ ერაყი ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან სამხედრო იერიშის განხორციელების შემთხვევაში დარტყმებს მიაყენებს თავისი მეზობელი ქვეყნების ქუვეითისა და საუდის არაბეთის ნავთობსაბადოებს, რომლებშიც იგი ამერიკის მოკავშირეებს ხედავს.

ნიუ-იორკის ნავთობის ბირჟაზე ნავთობის ფასი გასული კვირის ოთხშაბათს, 1990 წლის ოქტომბრის შემდეგ, ყველაზე მაღალ მაჩვენებელზე დაფიქსირდა, როდესაც ქუვეითში სადამ ჰუსეინის სამხედროები იმყოფებოდნენ, ხოლო შეერთებული შტატები ერაყის წინააღმდეგ სამხედრო დარტყმებისათვის ემზადებოდა. ვაჭრობის მანძილზე WTI-ის მარკის ნავთობის ფიუჩერსები ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე ბარელზე 37.93 დოლარამდეც კი გაიზარდა, რაც სპარსეთის ყურეში ომის შემდეგ, ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს.

ომის შემდგომი წინა რეკორდი – ბარელზე 38.80 დოლარი – 2000 წლის ოქტომბერში დაფიქსირდა, ხოლო ისტორიულმა მაქსიმუმმა Nymex-ის ბირჟაზე 1990 წლის 10 ოქტომბერს მიაღწია– ბარელზე 41.15 დოლარი შეადგინა.




დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, ამ დღეს ნავთობის ფასის მკვეთრი ზრდა ორმა ფაქტორმა განაპირობა: შეერთებულ შტატებში გასული კვირის განმავლობაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგის შემცირებამ და ისევ და ისევ ერაყში ომის მოახლოებულმა საფრთხემ.

შეერთებულ შტატებში ნავთობის საგანგაშოდ დაბალი მარაგი ნავთობპროდუქტების არასაკმარისად წარმოების რისკს ბადებს, რისი დეფიციტიც ბაზარზე უკვე იგრძნობა. და ყველაფერი ეს ხდება ერაყში ომის დაძაბული მოსალოდნელობის პირობებში, რომელსაც შეუძლია ახლო აღმოსავლეთიდან ნავთობის მიწოდების შეფერხება განაპირობოს. ტრეიდერების აზრით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერაყი არ დაარტყამს შეერთებული შტატების მოკავშირე თავისი მეზობლების ნავთობსაბადოებს, რეგიონიდან ნავთობის მოწოდება მაინც შეფერხდება თუნდაც უსაფრთხოების გამო. ამასთან, თურქეთმაც დაკეტა საზღვარი ერაყთან და აკრძალა ამ ქვეყნიდან ნავთობმატარებლების მოძრაობა. ანალიტიკოსების შეფასებით, თუ შეერთებულ შტატებში ნავთობის მარაგი ახლა არ გაიზარდა, მით უმეტეს არ გაიზრდება სამხედრო მოქმედებების დაწყების პირველ ორ-სამ კვირაში. ასეთი განწყობის ფონზე ხუთშაბათს, ნავთობის ბაზარზე ვაჭრობა „გიჟურ“ ატმოსფეროში წარიმართა. დილიდან WTI-ის ნავთობის ფიუჩერსი 39.99 დოლარამდე გაიზარდა, თითქმის მიუახლოვდა რა 1990 წლის რეკორდს. ტრეიდრების შეფასებით, მძაფრი აჟიოტაჟის მიზეზი გახდა ოკლაჰომას შტატში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რეკორდულად დაბალი მარაგი, რამაც ცივი ზამთრისა და ერაყში მოახლოებული ომის პირობებში, ბაზარზე პანიკური განწყობა გააძლიერა. მაგრამ ნავთობის ფიუჩერსებმა ვერ მოახერხეს 40-დოლარიანი დონის გდალახვა, რაც მრავალი სპეკულაციური ფონდისათვის უკან დახევის სიგნალად იქცა. ვაჭრობის მონაწილეთა შეფასებით, პანიკური ყიდვა, პანიკურმა გაყიდვამ შეცვალა. სპეკულაციური ფონდები სასწრაფოდ ხურავდნენ პოზიციებს შეშინებულნი, რომ ზედმეტად გაერთვნენ აწევაზე თამაშით. ხუთშაბათის ვაჭრობის შედეგებით, ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობის ფიუჩერსი ბარელზე 37. 20 დოლარამდე დაეცა. ვაჭრობის ამპლიტუდამ 2.89 დოლარი შეადგინა პიკიდან 39.99-ფსკერამდე 37.10 დოლარი.

ლონდონის ბაზარზე ვაჭრობა შედარებით მშვიდ ატმოსფეროში გაიმართა, დღის მაქსიმალურ და მინიმალურ მაჩვენებელს შორის სხვაობა 1 დოლარით განისაზღვრა. Brent-ის მარკის ნავთობის აპრილის ფიუჩერსის ფასმა ბარელზე 33. 07 დოლარი შეადგინა.

ტრეიდრების შეფასებით, ხუთშაბათის ვაჭრობაზე მკვეთრი ცვლილებები რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ დაწია ტერორისტული აქტების მუქარის შესაძლებლობა, რომლის მოსალოდნელობაც საკმაოდ მაღალი იყო ბოლო პერიოდის მანძილზე. ამასთან, ხუთშაბათს დილით ეგვიპტის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ერაყის ხელისუფლება მზად არის დაეთანხმოს გაეროს კომისიის ხელმძღვანელის ჰანს ბლიკსის მოთხოვნას „ალ-სამუდ-2“-ის რაკეტების განადგურების თაობაზე. თუმცა თეთრი სახლის ადმინისტრაცია ამას ბაღდადის ხელისუფლების მხრიდან მორიგი „ტყუილის კომპანიად“ აღიქვამს და მისი წარმომადგენლების განცხადებით, ერაყის განიარაღებას თან სადამ ჰუსეინის ხელისუფლებიდან ჩამოშორება უნდა ახლდეს. ამასთან, ხუთშაბათს ოპეკის ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი მზადყოფნა ერაყში ომის დაწყების შემთხვევაში ნავთობის მოპოვების რეზერვების ამოქმედების შესახებ, რაც სრულ კომპენსაციას გაუკეთებს ერაყიდან ნავთობის ექსპორტს.

ეკა ლეჟავა,
„სრ“ ეკონომიკური მიმომხილველი.

კონკურსი

**შარშან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მკითხველს მოვუთხრეთ 2001 წელს დაარსებული „საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდისა (სსგფ)“ და აშშ-ში 1995 წელს ჩამოყალიბებული „პოსტსაბჭოურ სივრცეში სამოქალაქო გამოკვლევებისა და განვითარების ფონდის (სი-არ-დი-ეფ)“ შესახებ („სრ“, 2002 წლის 17 აგვისტო, კორესპონდენცია „ინტელექტს ქვეყნის სასიკეთოდ უნდა ვიყენებდეთ“). აღვნიშნეთ, რომ ამერიკული ფონდი ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერთა დასახმარებლად შეიქმნა.**

**2002 წლის აპრილში, ჩვენსავე გაზეთში, გამოცხადდა ამ ორი ფონდის ერთობლივი საკონკურსო პროგრამა – საქართველო-აშშ-ის პირველი ორმხრივი საგრანტო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ორი ქვეყნის სწავლულთა თანამშრომლობის განვითარებას ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების თითქმის ყველა სფეროში.**

# როცა საპროექტო ნამუშევრები ასე მაღალხარისხოვანია...

ერთი გარემოება საგანგებოდ უნდა გამოვყოთ: კონკურსის აუცილებელი პირობა იყო საქართველოსა და ამერიკის სამეცნიერო ჯგუფთა ერთობლივი კვლევები. ჩვენი ქვეყნის ყოველ კვლევით კოლექტივს პარტნიორად უთუოდ უნდა ჰყოლოდა ამერიკული კოლექტივი.

ხსენებულ კორესპონდენციაში მკითხველს ვპირდებოდით, რომ გავაცნობდით ამ უაღრესად მნიშვნელოვანი კონკურსის შედეგებს. გვესაუბრება სსგფ-ის პროგრამების ხელმძღვანელი **გიორგი ხოხობაშვილი.**

– კონკურსი ორიენტირებული გახლდათ 14 ნამუშევრის შერჩევაზე. სულ წარმოდგენილი აღმოჩნდა 86 პროექტი, რომელთაც საკმაოდ მკაცრი ექსპერტიზა ჩაუტარდა დამოუკიდებელ ექსპერტთა მხრივ. უფრო კონკრეტულად, ეს შემდეგს ნიშნავს: თითოეულ პროექტს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, საშუალოდ 5 ამერიკელი სპეციალისტი აფასებდა; საქართველოს მხრიდანაც მოხდა ასევე დამოუკიდებელი შეფასება და მეტი ობიექტურობისათვის მესამე, „ნეიტრალურ“ ქვეყანასაც მივმართეთ – სომხეთს.

ამრიგად, ფაქტობრივად, სამნაირი ექსპერტიზის საფუძველზე, 86-დან შეირჩა 23 ღირსეული პროექტი. ვიმეორებ, ამდენის გამარჯვება არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ ქართული პროექტების მაღალმა მეცნიერულმა დონემ განაპირობა დამატებით 9 ნამუშევრის გამარჯვება – სხვათა შორის, თვით ამერიკელთა წინადადებით. ასე რომ, სავსებით გამართლდა თქვენს პუბლიკაციაში მოყვანილი საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის თავმჯდომარის ლევან ჯაფარიძის ვარაუდი – იმედი მაქვს, „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოცხადებული კონკურსის შედეგები ობიექტურად შეჯამდება და ექსპერტიზა სათანადო დონეზე ჩატარდებაო...

**– ბატონო გიორგი, რას გვეტყოდით ამ ღონისძიების ფინანსურ პარამეტრებზე, მონაწილეებზე, გამარჯვებული პროექტების პრობლემატიკაზე?**

– კონკურსის მთლიანი დაფინანსება დაახლოებით 750 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს. 23 წარმატებული ნამუშევრიდან ყოველ მათგანს 35 ათას დოლარამდე მოუწევს. პროექტები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კვლევით დაწესებულებებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვა სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებშია მომზადებული და ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა მრავალ დარგს მოიცავს. ამერიკელთა განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი გამოიწვია მათემატიკის, თეორიული ფიზიკის, ბოტანიკის, ბიოსამედიცინო, ბიოტექნოლოგიების არაერთი მიმართულებით შესრულებულმა ნამუშევრებმა.

**– ალბათ, ჩვენს დროში ასე მოდური პრეზენტაციაც გაიმართებოდა კონკურსის შედეგების შეჯამების შემდეგ...**

– გამარჯვებული პროექტების პრეზენტაცია, მართლაც, მოეწყო შარშანდელი წლის მიწურულს. მას ესწრებოდნენ ამ ნამუშევრების ხელმძღვანელები, სსგფ-ის სამეცნიერო საბჭოს წევრები. ჩამოვიდა ამერიკული CRDF-ის დელეგაცია ამ ფონდის პრეზიდენტის გერსონ შერის მეთაურობით. აღსანიშნავია, რომ მაშინ დელეგაცია საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო. ბატონმა ედუარდმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა ფონდის საქმიანობით და თავის მხრიდან ყოველგვარი მხარდაჭერა აღუთქვა ჩვენი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

შარშანდელი ვიზიტის დროს ამერიკული მხარე ახალი ინიციატივით გამოვიდა, რომელიც ეხება უმაღლეს სასწავლებლებში რეგიონული კვლევითი ცენტრების შექმნას (რუსეთში უკვე დაუარსებიათ 16 ასეთი ცენტრი). ლაპარაკია მთელს სამხრეთ კავკასიაზე. გერსონ შერი შეხვდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის განათლების მინისტრებსა და უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, სამივე ქვეყანაში გაიხსნება ცენტრი თუ სამხრეთ კავკასიისათვის ერთი იქნება – თბილისში. ასეთი წამოწყების მთავარი იდეა გახლავთ კვლევით მუშაობაში ახალგაზრდების, სტუდენტების ჩაბმა სტუდენტური მერხიდანვე.

**– რამდენადაც ვიცი, ამერიკელებმა წლეულსაც უკვე მოასწრეს თბილისში ჩამოსვლა...**

– დიახ, 12-18 იანვარს ამერიკული ფონდის წარმომადგენლები ერთკვირიან ინტენსიურ მუშაობას ეწეოდნენ ჩვენთან ერთად. საბოლოოდ გაირკვა და დაიხვეწა გამარჯვებული გრანტების მართვის საკითხები. მარტიდან დაიწყება შერჩეული პროექტების რეალიზაცია. ის პროცესები, რაც გრანტების მომსახურებას ეხება, მაქსიმალურად არის გაიოლებული (ვიზების გაფორმება, საფინანსო პროცედურები და სხვა). ამერიკულმა მხარემ საამისოდ ყველაფერი გააკეთა.

ასეთი ტიპის საქმიანობა, ანუ საქართველოსა და ამერიკის ფონდების ერთობლივი საგრანტო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ქმედებები უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი საგადასახადო ვალდებულებებისაგან – ეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი პირობაა.

თუ ამასთან დაკავშირებით მიღწეული იქნება საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულება, ეს დიდად წაადგება მთელს ამ მოღვაწეობას და, რა თქმა უნდა, ქართულ სამეცნიერო საზოგადოებრიობასაც.

**– ბატონო გიორგი, ამერიკელებმა სი-არ-დი-ეფი 7 წლის წინათ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების სწავლულთა დასახმარებლად ჩამოაყალიბეს. ჩვენი სსგფ მხოლოდ 2001 წელს შეიქმნა, მაგრამ ამერიკელებთან კონტაქტები უფრო ადრეც ხომ გვქონდა... ეგებ მოკლედ მიმოიხილოთ ეს შვიდწლიანი პერიოდი.**

– ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებრიობა უკვე 1996 წლიდან აქტიურად ჩაება CRDF-ის მიერ გამოცხადებულ პროგრამებში. დღემდე კოოპერაციულ საგრანტო კონკურსებში გაიმარჯვა 14 ჯგუფმა, ხოლო დაფინანსებით საერთო მოცულობამ 694 300-მდე დოლარი შეადგინა. სამგზავრო-საგრანტო პროგრამით 16 ქართველმა მეცნიერმა 49 000 დოლარის ფინანსური მხარდაჭერა მოიპოვა. აქ იგულისხმებიან ახალგაზრდა მკვლევარები, ვისაც ურთიერთობა აქვთ ამერიკულ სამეცნიერო დაწესებულებებთან. ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მათ, ცხადია, კონკურსის საფუძველზე, შესაძლებლობა ეძლევათ ჩავიდნენ იქ და კვლევითი მუშაობა გასწიონ.

რეგიონული ექსპერიმენტული ცენტრების თანადგომის ამერიკული პროგრამით საქართველოსთვის შეძენილია მილიონ 191 ათასი დოლარის თანამედროვე სამეცნიერო აპარატურა; სამეცნიერო-ტექნოლოგიური შედეგების კომერციალიზაციის პროგრამით „შემდეგი ნაბიჯი ბაზრისაკენ“ დაფინანსდა კიდევ



ერთი ქართულ-ამერიკული ერთობლივი პროექტი 75 ათასი დოლარის ღირებულებისა.

ახლახან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო და ბაქტერიოფაგიის ინსტიტუტებმა გაიმარჯვეს ტერორისტული აქტებით გამოწვეული შედეგების მინიმიზაციის კვლევის კონკურსში (თითოეულს 100 ათასი დოლარი ხვდა).

**– ფონდის წარსული და აწმყო მიმოვიხილეთ... მომავლის გეგმებზე რას გვეტყვით?**

– ამერიკელთა იანვრის ვიზიტის დროს მიმდინარე წლის სამოქმედო ღონისძიებანი, მართლაც, დაისახა. პირველ რიგში ესაა საქართველო-აშშ-ის მორიგი ერთობლივი საგრანტო პროგრამა. 2003-ის მეორე ნახევარში გამოცხადდება ახალი კონკურსი, რომელიც, შესაძლოა, ორიენტირებული იყოს ჩვენი ქვეყნისათვის პრიორიტეტულად მიჩნეულ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ მიმართულებებზე. ეს იქნება წინა კონკურსისაგან განმასხვავებელი ნიუანსი.

განზრახულია, აგრეთვე, კიდევ ერთი სამგზავრო-საგრანტო პროგრამა (კონკურსი) ახალგაზრდა სწავლულთათვის.

კვლავ ამერიკული მხარის ინიციატივით, ახლო ხანში ხელი მოეწერება კონტრაქტს, რომლის საფუძველზე სსგფ ადმინისტრირებას გაუწევს სხვა ამერიკელი დონორებისაგან გაცემულ გრანტებსაც.

... რასაკვირველია, ფართო მეცნიერული საზოგადოებრიობისათვის საინტერესო იქნება უფრო ახლოს გაეცნოს ზემოთ ნახსენებ 23 „გრანტირებულ“ პროექტს. ამ საგანზე საუბარი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ლევან ჯაფარიძეს ვთხოვეთ. მას ჩვენი გაზეთის ახლო ნომერში შემოგთავაზებთ.

თამაზ ებანოიძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 58, ორშაბათი, 3 მარტი, 2003 წელი.

მოთხრობა

ელეონორა გვრიტიშვილი

# ვაგონი მიჰქრის

უკვე სადარბაზოს კიბეებზე შემომესმა ჩემი ტელეფონის ზარის ხმა და ნაბიჯს ავუჩქარე, სასწრაფოდ გავაღე ბინის კარი და ტელეფონისკენ სირბილით გავეშურე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ მოვუსწარი.

— „ნეტა ვინ იქნებოდა?“ — გული დამწყდა, — ის ხომ არ იყო?“

რამდენი ხანია მისი ხმა აღარ გამიგონია. ვიცი, მე მელოდება, უნდა, რომ პირველმა დავურეკო, მაგრამ, არა, ის ჩემგან ამას ვერ ეღირსება. „ერთხელ და სამუდამოდ ჭკუა უნდა ვასწავლო!“ — ვთქვი გულში მტკიცედ, სრულიად დარწმუნებულმა, რომ ის იყო. საკუთარი თავის კმაყოფილი გამოვბრუნდი და პერანგის ღილების შეხსნა დავიწყე. როცა მოვშილიფდი, ტელეფონის გვერდით სავარძელში ჩავჯექი და მივაყურადე ზარს, რომელსაც, აგერ უკვე სამი თვეა, ამაოდ ველოდი. ისეთ უბრალო რამეზე წავკინკლავდით, სათქმელადაც არ ღირს. ახლა კი, ორივე კახურად ვისხედით ვირებზე და იქიდან ჩამოსვლა ფიქრადაც არ მოგვდიოდა თავში არც ერთს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ის მოჩვენებითი ბზარი და წყენა სერიოზულ უკმაყოფილებაში გადაიზარდა, უერთმანეთობას შევეჩვიეთ და გაოცებით აღმოვაჩინე, რომ თუ ადრე უამისოდ სიცოცხლე ვერ წარმომედგინა, ახლა მასთან ცხოვრება ღვთის სასჯელად მეჩვენებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხანდახან მაინც მონატრება გულში მტკივნეულად გამკრავდა ხოლმე და ისე მომინდებოდა მისი ნახვა, როგორც ბრმას თვალის ახელა. ახლა, სწორედ იმ ჭკუაზე ვიყავი, რომ თუ დამირეკავდა, ისევ ვაპატიებდი ყველაფერს, ძველ წყენაზე კრინტსაც არ დავძრავდი.

ამ ფიქრებიდან ისევ ტელეფონის ზარმა გამომიყვანა. აღელვებით დავწვდი ყურმილს და უცნობი ქალის მშვიდი და სასიამოვნო ხმა შემომესმა.

— გამარჯობათ, ბატონო ვახტანგ, რა ბედნიერებაა, რომ სახლში ბრძანდებით! რამდენი ხანია გირეკავთ და ძლივს მოგაწვდინეთ ხმა.

— გამარჯობათ, ეს-ესაა ჩამოვედი, ვინ ბრძანდებით? — წარმოდგენა არ მქონდა, ვინ მირეკავდა.

— მე თქვენი მშობლიური სკოლის დირექტორი, ნათელა ფავლენიშვილი გაწუხებთ. მართალია, თქვენს დროს სხვა დირექტორი იყო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს.

— რა თქმა უნდა. რაზე შეწუხებულხართ, რით შემიძლია გემსახუროთ, — გაკვირვებიდან და იმედგაცრუებიდან ჯერ კიდევ არ გამოვსულიყავი.

— დღეს, 5 საათზე სკოლის სააქტო დარბაზში შეხვედრას ვუწყობთ თითქმის ყველა იმ ცნობილ პიროვნებას, ვინც ჩვენი კედლებიდან დაფრთიანდა. ვისაც ხმა მივაწვდინეთ, ყველა დავითანხმეთ მობრძანებაზე. იმედია, არც თქვენ გაგვაწბილებთ.

— ოო, როგორ გეკადრებათ, ქალბატონო ნათელა, ეს ჩემთვის დიდი პატივია! რა თქმა უნდა, აუცილებლად მოვალ, დიდი მადლობა! მაშ, დღეს, 5 საათზე ჩვენი სკოლის ფოიეში ვიქნები, კარგად ბრძანდებოდეთ! — და ყურმილი დავდე.

— „ნუთუ არასოდეს დამირეკავს?! — გაოცებით ვკითხე თავს, — არ დარეკავს და ნუ დარეკავს, აი დარდი, .გადავყვები თან!“ — ვთქვი ბრაზით და შხაპის მისაღებად სააბაზანოში შევედი. შეხვედრამდე ორი საათიღა იყო დარჩენილი და უნდა მომესწრო წვერის გაპარსვაც, წახემსებაც და ცოტა დასვენებაც.

ზუსტად ხუთ საათზე სკოლაში ვიყავი. იმდენი ძვირფასი და მშობლიური სახე დავინაზე ერთად, რომ სიხარულისგან გული ამიჩუყდა და, რომ არა ჩემი მსახიობის პროფესია, თავს ვერ შევიკავებდი და ცრემლებს გადმოვღვრიდი. სიყვარულით ვეხვეოდი ყველას, ჩემზე დიდებსაც, ჩემზე პატარებსაც და უბედნიერეს კაცად მიმაჩნდა თავი. ვინღა არ იყო იქ: მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი თუ ხელოვანი, სპორტსმენი თუ მეომარი, მხატვრული სიტყვის ოსტატი თუ სახელმწიფო მოხელე.

— უყურე შენ?! „იპოლიტეს გიმნაზია“ უძახე ჩვენს სკოლას. ხედავ, რამდენი სახელოვანი ვინმე გამოუჩეკია?! — გაკვირვებით მივმართე ჩემს თანაკლასელს, დამსახურებულ მეცნიერს, როცა გადავსებულ ფოიეში უამრავი ნაცნობი სახე შევნიშნე. მალე სააქტო დარბაზში მიგვიწვიეს, რომლის ნახევარზე მეტი სკოლის მოსწავლეებს შეევსოთ და ისეთი ქრიამული ედგათ, ერთმანეთის სიტყვები არ გვესმოდა. როდესაც ჩვენთვის განკუთვნილი ადგილები დავიკავეთ, სკოლის დირექტორი, უაღრესად მომხიბვლელი ქალბატონი — ნათელა სცენაზე ავიდა და ბავშვებს სიჩუმისკენ მოუწოდა. კარგა ხანს დაგვჭირდა ლოდინი, ვიდრე ისინი



ჩაცხრებოდნენ. ქალბატონმა ნათელამ დიდის ამბით წარუდგინა მათ ჩვენი თავი, ერისა და ქვეყნის წინაშე თითოეულის ღვაწლი და დამსახურებაც აღნიშნა და შემდეგ რიგრიგობით მიგვიწვია სცენაზე, დაუვიწყარი დროის გასახსენებლად, რომელიც ამ სკოლის კედლებში გავატარეთ.

გამოვიდა ერთი, გამოვიდა მეორე, მესამე, მეოთხეც, მოიგონეს თავიანთი წარსულის საინტერესო მომენტები, მაგრამ, რად გინდა! მათი ამბავი მოწვეული სტუმრებისა და სკოლის მომსახურე პერსონალის გარდა, არავის აინტერესებდა. ხანდახან უკმაყოფილოდ მოვატრიალებდით ხოლმე თავს მოსწავლეებისკენ, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ და მოურიდებელი სიცილ-ხარხარით თავიანთი საქმით იყვნენ გართული. შეწუხებული დირექტორი ალმურმოდებული ხან ერთ ჯგუფს აშოშმინებდა, ხან მეორეს აჩუმებდა, ზოგს ემუქრებოდა კიდეც, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. საქმე იქამდე მივიდა, ლამის თითოეულ მოსწავლეს თითო მასწავლებელი დააყენა თავზე. როცა ჯერი ჩემზე მოდგა, მხნედ ავედი სცენაზე. ჩემი პროფესიული ნიჭისა და გამოცდილების იმედი მქონდა, რომ მათ ყურადღებას მივიპრობდი და საკუთარი უაღრესად ონავრული წარსულით დავაინტერესებდი. მაგრამ, შენც არ მომიკვდე, სულ წყალში ჩამეყარა მთელი ის ტყავიდან ძვრომაც და არტისტული ოინბაზობაც. დიდად დამსახურებული და სახელგანთქმული ყოფილი თანასკოლელები კი შემომცქეროდნენ გაბრწყინებული თვალებით და ბედნიერი ღიმილით, მაგრამ რასაც ვამბობდი, იმ გაგანიაში ნახევარიც არ ესმოდათ.

ამ დროს კარებში თავი შემოყო „უცნობმა“, განსაკუთრებით მოზარდების მიერ დიდად აღიარებულმა მომღერალმა. თურმე ისიც ჩვენს სკოლაში აღზრდილა და დავაჟკაცებულა. მან დაგვიანებისთვის ბოდიში მოგვიხადა და მორიდებით შემოვიდა დარბაზში. „უცნობის“ დანახვაზე მთელმა ახალგაზრდობამ ერთხმად იხუვლა, ყურთასმენის წამღები სტვენა-კივილით წამოცვივდა თავისი ადგილებიდან და მისკენ გაქანდა. ვინ ვის ახტებოდა თავზე, თვალს ვერ შეასწრებდი, ყველას ხელში ბლოკნოტი ეჭირა და სტუმარს ავტოგრაფისთვის ხვეწნამუდარით უწვდიდა. ისეთი უმართავი სიტუაცია შეიქმნა, გაოგნებული დირექტორი და მისი ხელქვეითები ხელებჩამოყრილები იდგნენ და არ იცოდნენ, რა ეღონათ. მოსწავლეთა საქციელი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ყველას თვალები შუბლზე აგვასხდა და გაოცებისგან პირდაღებულებს ყბები ჩამოგვიგრძელდა. მე მიმტევებლურად მომღიმარი სცენაზე ვიდექი, სულგრძელად იხტიბარს არ ვიტეხდი და მოთმინებით ველოდი მათ ჩაცხრომას. მალე ყველა დავრწმუნდით, რომ ტყუილად გვქონდა მათი დამშვიდების იმედი და უკვე დირექტორზე გაგულისებულმა, ზოგიერთმა სახლში წასვლაც კი სცადა.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი „უცნობი“ მიხვდა, რომ ისევ მას უნდა განემუხტა სიტუაცია. ის სცენაზე ავიდა, ეს ამოდენა თავდაკარგული მასაც აიყვანა, კულისებში ვიღაცას რაღაც ანიშნა და გაისმა სიმღერის „ვაგონი მიჰქრის“ ნაცნობი რიტმები. მერე ორთქლმავალივით ჩაუდგა თავში და მატარებლის ვაგონებივით ერთმანეთს გადაბმული მოზარდები სიმღერითა და აღტყინებული როკვით სცენიდან დერეფანში გაიყვანა. მე კვლავინდებურად სცენაზე ვიდექი და სედიანი მზერით მივაცილებდი „უცნობის“ მატარებელს. როცა მორიგე მასწავლებელმა კარები ჩაკეტა, მშვიდად ამოვისუნთქე, სტუმრებისკენ ნელა შემოვბრუნდი და მწარე ირონიით მივმართე: — ვინ ხართ ხალხო, რა გინდათ აქ, ვისთვის და რისთვის მოგიწვიეს და ვის სჭირდებით თქვენ, საერთოდ?

ისინი შემცბარნი, გაოგნებულნი ხელებს შლიდნენ და არ იცოდნენ, ეცინათ თუ ეტირათ.

— ეეჰ, წავედით, ძმებო, სახლში, ჩვენი ვაგონი მესამე ჩიხში ჩარჩა. როგორც ხედავთ, ამ ცხოვრებაში ჩვენი ადგილი აღარ არის, — გულისტკივილით ამოთქვა ჭაღარა მეცნიერმა და სავარძლიდან მძიმედ წამოდგა.

— გთხოვთ, მაპატიოთ, არ წახვიდეთ, დარჩით! — გვევედრებოდა თვალცრემლიანი ქალბატონი ნათელა, — ამათ თუ არ ვჭირდებით, ჩვენ ხომ გვჭირდება ერთმანეთი? ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა გავარკვიოთ, რა ხდება ჩვენს თავს?

— სწორია! — დავეთანხმე დირექტორს, — ჩვენ, მეგობრებო, ნამდვილად გვჭირდება ერთმანეთი. მერე რაა, თუ ჩვენი ვაგონი დროებით ჩიხში დააყენეს. როცა იქნება, გამოჩნდება ვინმე ჭკვიანი კაცი, ჩაგვაბამს ძლიერ ლოკომოტივს და სულ ქშენით და გრიალით გამოგვიყვანს იმ ჩიხიდან.. მთავარია, გული არ გავიტეხოთ! აბა, ჩავკიდოთ ახლა ხელები ერთმანეთს და ჩვენი ვაგონიც გავაქროლოთ იმაზე სწრაფად, იმაზე მეტი რიხითა და რწმენით! ვაგონი მიჰქრის, მეგობრებო, ჩვენი ვაგონიც წინ მიჰქრის ახალი ცხოვრებისკენ, ახალი მწვერვალებისკენ! — შევძახე სტუმრებს მხნედ, პათეთიკურად და რიტმული ფეხაწყობით დავტოვეთ სკოლის დარბაზი.

უცნობი ისტორია

# ბრძოლა კავკასიისათვის (1942–1943 წლები)

შალვა მაღლაკელიძე შემდეგ იხსენებდა, რომ ასეთ მავნე პრაქტიკას (უწინარეს ყოვლისა, უარი, ქართველი ოფიცრებისათვის მიეცათ გერმანული სამხედრო სამხრეულების ტარების უფლება, და ამრიგად, თავიანთი უფლებებით ფაქტობრივად გათანაბრებულიყვნენ გერმანიის საკადრო პერსონალთან), მხოლოდ 1943 წლის მაისის ბოლოსათვის რომ გააუქმეს, ხშირად მივყავდით უსიამოვნებებთან, ზოგჯერ ტრაგიკულ შედეგებამდეც კი. მაგალითად, 795-ე ქართული ბატალიონის მეტყვიამფრქვევეთა ასეულის მეთაურს, წითელი არმიის ყოფილ მაიორს ს. ლომთათიძეს რომ იხსენებს, შ. მაღლაკელიძე აღნიშნავს, რომ მისთვის, პროფესიონალი კადრის მეომრისათვის, ყველაზე არასასიამოვნო და დამამცირებელი ფაქტი იყო ბატალიონის გერმანული საკადრო პერსონალის წარმომადგენლებისაგან მისთვის სამხედრო წესით სალმის მიუცემლობა.

„წითელ არმიაში მე მაიორი ვიყავი და პოლკს ვმეთაურობდი თურქმენეთში, — ჩიოდა ლომთათიძე, — ახლა მხოლოდ ლეიტენანტის ჩინი მომცეს. მაგრამ რადგან ასეა, მაშინ მომცენ ნამდვილი გერმანელი ლეიტენანტის სამხრეულები, გერმანელები უამისოდ სამხედრო წესით არ მესალმებიან“.

მხოლოდ კავკასიისათვის ბრძოლის შემდეგ, გენერალური შტაბის საორგანიზაციო განყოფილების 1943 წლის 29 მაისის ბრძანების OKX №14124/43 შესაბამისად ლეგიონერებისათვის ადრე შემოღებული წოდებები, დროებითი რომ ენიჭებოდათ დაკავებული თანამდებობების შესაბამისად, შეიცვალა მუდმივ წოდებებად მათი მფლობელების თანამდებობრივი მდგომარეობის მიუხედავად: მოხალისე, ეფრეიტორი, უნტეროფიცერი; ფელდფებელი, ლეიტენანტი, ობერ-ლეიტენანტი, კაპიტანი, მაიორი, პოდპოლკოვნიკი, პოლკოვნიკი. 1943 წლის 29 დეკემბრიდან მათ დაემატა სამი საგენერალო ჩინი: გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტანანტი და გენერალი.

ეჭვგარეშეა, რომ თუ ლეგიონერთა უფლებებს გერმანიის საკადრო პერსონალთან ჯერ კიდევ კავკასიისათვის ბრძოლამდე გაუთანაბრებდნენ, მაშინ ქართული ლეგიონის გერმანელი და ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ურთიერთდამოკიდებულებაც საბრძოლო პირობებში გაცილებით უფრო მტკიცე იქნებოდა, რაც თავის მხრივ, შესაძლებელს გახდიდა, მაგალითად, ტუაფსესთან მებრძოლი 796-ე ქართული ბატალიონის ასეულის მეთაურის ვ. ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით ლეგიონერთა ჯგუფის დეზერტირობის აღკვეთას, რის გამოც ამ ბატალიონის საგზაო-სამშენებლო ნაწილად გადაკეთების გადაწყვეტილება მიიღეს.

ქართული ლეგიონის მთავარი განმასხვავებელი ნიშნები იყო შავთეთრ-ქოლოსფერი კოკარდა ქართულ ეროვნულ ფერებში და სამკლაური ნიშანი ფიგურული ფარის სახით საქართველოს ეროვნული დროშითა და ზემოდან გერმანულად წარწერილი GEORGEN (საქართველო).

ვინაიდან ფორმალური თვალსაზრისით, ქართული და სხვა აღმოსავლური ლეგიონები წარმოადგენდნენ მოკავშირეთა ჯარების სტატუსის მფლობელ სამხედრო ნაწილებს, ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობის შუამდგომლობით 1942 წლის 14 ივლისს მათთვის დაწესდა განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშნები, რომელთაც უნდა შეეცვალა ვერმახტის გერმანელი სამხედრო მოსამსახურეების დასაჯილდოებლად განკუთვნილი სამხედრო ჯვარი და ჯვარი საბრძოლო დამსახურებისათვის. კერძოდ, თუთიის შენადნობისგან დამზადებული „მამაცობისა და დამსახურების ნიშანი აღმოსავლეთის ხალხებისათვის“ (Tapferkeits und Verdienst-Ausrekchnung fur den Ostvolker) იყოფოდა ორ ტიპად — ხმლებით („მამაცობისათვის“, ე.ი. საბრძოლო დამსახურებისათვის) და უხმლებოდ („დამსახურებისათვის“. გადაეცემოდათ ლეგიონერებს არასაბრძოლო დამსახურებისათვის), მას ორი კლასი და 5 ხარისხი ჰქონდა.

ნაპირებზე თეთრ ვიწროზოლებიანი მწვანე ლენტით სატარებელი მეორე კლასის მოვერცხლილი ნიშანი „მამაცობისათვის“ უტოლდებოდა მე-2 კლასის რკინის ჯვარს, ხოლო მუნდირის ზედა მარცხენა ჯიბესთან ქინძისთავით მისამაგრებელი პირველი კლასის მოვერცხლილი ნიშანი „მამაცობისათვის“ შეესაბამებოდა პირველი კლასის რკინის ჯვარს.



ნიშანი „მამაცობისათვის“.

ასევე, ხსენებული კლასების მოვერცხლილი ნიშნები „დამსახურებისთვის“ გაუტოლდა მეორე და პირველი კლასის „ჯვარს სამხედრო დამსახურებისათვის“. დაჯილდოების უფლება ჰქონდათ საჯარისო გაერთიანებების მეთაურებს, დაწყებული დივიზიის მეთაურიდან, აგრეთვე, ცალკე ნაწილების მეთაურებს. თანაც ორივე კლასის მოვერცხლილი ნიშნებით „მამაცობისათვის“, 1942 წლის ოქტომბრის ბოლოდან ლეგიონერებს გარდა, შეიძლება დაჯილდოვებულიყვნენ გერმანელებიც — ამ ნაწილების კადრის პერსონალის წარმომადგენლებიც, ამისათვის გერმანელ სამხედრო მოსამსახურეებს ჯერ უნდა მიეღოთ მეორე და პირველი კლასის რკინის ჯვრები.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ აღმოსავლური ლეგიონების მებრძოლთა დაჯილდოება გერმანიის სამხედრო ჯილდოებით ოფიციალურად ნებადართული იყო მხოლოდ 1944 წლის თებერვალ-მარტში, ცნობილია ქართული ლეგიონების სამხედრო მოსამსახურეთა პირველი და მეორე კლასის რკინის ჯვრებით დაჯილდოების მრავალი ფაქტი, განსაკუთრებით კავკასიისათვის ბრძოლებში წარმატებით მოქმედებისათვის.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 51.

იხ. მე-11 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პოეზია უპირველეს ყოვლისა

# მანონ ბულისკერია

## სიჭაბუკე და ლექსი ერთია



* * *

გარდაცვალებას არ ვფიქრობ, არა.
მე ახლა უფრო სიკვდილზე ვფიქრობ.
ვფიქრობ სისხლიან მიწაზე, იქ რომ
დამრჩა და ჩუმი ლოცვები ფარავს.
ვის უნდა ჩემი სიცოცხლე ახლა.
მამული ჩემგან არაფერს ითხოვს.
არვინ მართმევდეს სამშობლოს თითქოს...
ამ ლექსებს კიდე რა თავში ვიხლი...
გაჩენის დღიდან ხომ ცა მაღელვებს,
ახლა უფრორე მიწის ჟინი მაქვს.
მივდივარ განა? მხოლოდ შინ მიმაქვს
სხეული და გზად ვაკმევ სახელებს:
ბიჭვინთა... გაგრა... სოხუმი... გალი...
გიორგი... კოკა... ლევანი... ზაზა...
საცაა ჩემიც მთავრდება გზა და
გადაუხდელი მიმყვება ვალი!
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
ყველა და უფრო ყველაზე... გალი!

* * *

განთიადისას... უდროობა ფრთებს შეგასხამს და
გიადვილდება გზის გაგნება სინანულისკენ,
აგეხილება თვალები, თუ მზე გინდა ნახო!
არ გავიწყდება იქ როგორი იცის ცისკარი,
ან როგორ გიყვარს, როცა ცაა ძალიან ახლოს!
წაგეკიდება ალუბლისფერ დაისზე ფიქრი,
წაგავლებს სევდა. მწვანე ხეებს — მიწის ვარსკვლავებს
ამახსოვრდები. კედლის გემო შეგშლის საცაა.
უკანასკნელად, გაფითრებულ სახეს აგიწვავს
სიცივე (შენ კი მუდამ ფერფლად ქცევას ფიქრობდი).
ვერმომწყვდეული აგიჩემებს მოუსვენრობა.
უდროობას ხომ ყველა დარდს და ტკივილს აბარებ.
გამოტყდი რადგა, მომხრობილი მაინც მიწაა,
ცა არის მხოლოდ სევდიანი მიწის საფარი.
და უთანაგრძნე ყველა სიმაღლეს.
ნათლის ენაზე მიაგებე სარკმელს ღიმილი.
განთიადისას... უდროობამ არ დაგაბნიოს,
სინანულისკენ, გულის გარდა, სხვა გზა არ არის.
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
დილა მშვიდობისა, სარკმელო!
დილა მშვიდობისა...

* * *

„ნამდვილად მშვენიერი ლექსი ჩუმია“.
პოლ ვალერი

არც ამაღლებული განწყობილების,
აღარც ფერების,
ცის ან მიწის სურნელის გამო...
იქნებ, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით,
რომ გულწრფელი ხარ,
მე შენ პოეზია დაგარქვი!
გადაგიარონ,
მაგრამ გვერდს კი ნუ აგივლიან
(ვიცი, რომ არ გაითელები,
ასე შენი სიჯიუტე მაფიქრებინებს...
ბოლოს და ბოლოს, ცა წამოგწევს).
ნუ დალაგდები!
ნუ გამწირავ და იყავი სულ დაუვარცხნელი.
მეტი არც რა.
აბა, შენ იცი,
აწეწილ-დაწეწილი სამშობლო მაქვს და
მშვენიერი ნურც შენ იქნები!

* * *

უკეთესად ვერავინ გეტყვის,
უნდა მიხვდე და მომისმინო.
ვინ გიხმო, ვისმა მონატრებამ მოგიყვანა
მე ხომ არ ვიცი,
მაგრამ მოხვედი, როგორც ადრე ბევრი მოსულა
და ისე დარჩი, როგორც არავინ!
შენს თვალებში ლურჯი ფერია
და რას დამალავ, დედამიწის მკვიდრი ხარ... ჯერაც
არ დაგიხურავს მარტოობა გადაშლილი მუდამ,
როგორც ცა და ბიბლია.
და გახსოვს ყველა სასწაული,
რაც ნახე თუ ამოიკითხე!
ვინ გედავება?
მათ ოკეანე მხოლოდ გლობუსზე თუ უნახავთ —
და მზის დისკო უსაშველოდ მაღლა... უთხარი —
ქვეყანაზე ჩვენსგარეშე არაფერია
და ვიძირებით ფრთიან მზერაში.
ღმერთი სად არი?
რას გედავება,
ვისაც სისხლი არასოდეს აჯანყებია
და ვის მაჯაზე მეწამული შადრევანი
არ ამოჭრილა?!

* * *

არ ვიცი, თუ აქვს ამ გზას ბოლო,
უნდა დავადგა თვალი ვარსკვლავებს,
რომ მოვბრუნდე და მოვიკიდო ფეხი აქ,
სადაც ყველა ერთხელ მოსვლას იჩემებს
და „ერთხელ“ ცოტა სულაც არაა.
რა გინდა რო ქნა,
ვეღარ ვაყოვნებ სულს —
ტკივილი ცისკენ ეწევა.
შემეცილება ბოშა ახლა მე გზის სიყვარულს?
ხომ მოვდივარ და გავასწარი ხმაურს ძალიან,
ჩავიარო და...
რა თქმა უნდა,
რა თქმა უნდა, დასასრული ამ გზას არა აქვს,
ამ გზის ბოლო ისევ გზებია...

## ცხელი წერტილი

# პანკისის ხეობა: ვითარება ჩაცხრა, პრობლემა კი უამრავი დარჩა...

(მეექვსე გვერდიდან)

აქ უკვე სტაბილური მდგომარეობაა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს შინაგან ჯარს, პოლიციას. მე უპირველესად დავასახელებდი კახეთის რეგიონის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს ზურაბ ტუშურს, შინაგანი ჯარების მთავარსარდალს გია შერვაშიძეს. ისინი დღედაღამ აქ იყვნენ, თავადვე ხელმძღვანელობდნენ ყველა კრიმინალურ ოპერაციას. დიდი თანადგომა გაგვიწია პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის მხარეში ბიძინა სონღულაშვილმაც და ჩვენი რაიონის ახალმა გამგებელმა ნიკოლოზ ალავიძემ. ამ მოკლე ხანში მან ბევრი კარგი საქმე გააკეთა.

სერიოზული და ძნელად გადასაწყვეტი პრობლემების საშიშროება აღარ გვაქვს, რაც დარჩა, ალბათ, ამასაც მოევლება. ამ ბოლო დროს კიდევ მოხდა წვრილმანი ქურდობები, მაგრამ ისიც უკვე გამოვავლინეთ და საზოგადოებრივი სასჯელი დავადეთ. რაც შეეხება მოთარეშეებს, ისინი უკვე ქვეყნის ფარგლებს გარეთ არიან.

ჩვენი თხოვნაა, ინფორმაციების შეჯერების გარეშე ჟურნალისტებმა არ დაბეჭდონ წერილები და არ თქვან ყველაფერი, რაც ენაზე მოადგებათ. ეს არ შეიძლება.

შარშანდელი წელი მხარის და საერთოდ, ქვეყნის ისტორიაში შევა როგორც პანკისის პრობლემის გადაჭრის საქმეში გარდატეხის შეტანის წელი, ამიტომაც საერთო მდგომარეობის შეფასება ამ ჭრილში უნდა მოხდეს.

ბუნებრივია, პანკისის პრობლემა უეცრად არ წარმოშობილა, მან რამდენიმე წლის წინათ იჩინა თავი, რუსეთ-ჩეჩნეთის ომს უკავშირდება და სერიოზული პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოგრაფიული ვითარებით იყო განპირობებული, თუმცა, ობიექტური ფაქტორების გვერდით, არცთუ უმნიშვნელო როლს სუბიექტური ფაქტორებიც ასრულებდნენ.

2002 წელი სერიოზული გართულებით დაიწყო პანკისის ხეობაში და, საერთოდ, ახმეტის რაიონში. კრიმინოგენული ვითარებით შეწუხებულმა მოსახლეობამ აქციების გზას მიმართა. ამას დაემატა ზოგიერთი პოლიტიკური ძალისა თუ მოძრაობის ამბიციაც და პროცესებმა პრაქტიკულად უმართავი სახე მიიღეს. შექმნილი სიტუაციის განსამუხტად შინაგან საქმეთა მინისტრმა, ბატონმა კობა ნარჩემაშვილმა აიღო პირადი პასუხისმგებლობა. ქართველი ხალხის, საქართველოს წვლილი ჩეჩნების გადარჩენის საქმეში, ისტორიაში შევა, როგორც ჩეჩენი ერის დიდი მოამაგისა. უამრავმა მუსულმანურმა ქვეყანამ ლტოლვილების მიღებაზე უარი თქვა, მაგალითად, აზერბაიჯანმა, თურქეთმა და სხვამ. ქართველმა ხალხმა კი არა მარტო შეიფარა, უკანასკნელი ლუკმაც არ დაიშურა.

ყვითელ პრესაში მოვლენები შუქდებოდა არასწორად, გაზვიადებულად, ეს კი მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს. „რუსთავი-2“-ის ეთერით გადაცემულმა რეპორტაჟმა ხომ სამიზნის როლი შეასრულა და აკი მის კვალზე დაიბომბა კიდეც პანკისის შემოგარენი. ასე რომ, ყველა ჟურნალისტი, თუკი ის ქვეყნის პატრიოტია, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოს ინტერესებს.

**ასლანბეკ აბდურზაკოვი, — ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე:**

— ყველაზე მეტი ტვირთი უბრალო ხალხს აწვება. ნებისმიერი საომარი ოპერაცია ადგილობრივი ხელისუფლების საქმეა. რომელ საქმეშიც გინდათ, შეცდომები არსებობს. ყველა საკითხი, რომელიც საქართველოს საშინაო საქმეს ეხებოდა, ვცდილობდით გადაგვეწყვიტა საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად.

დესტაბილიზაციისათვის საკვები ისეც ბევრია. ჩვენ ქართველებთან ისტორიულად ბევრი საერთო გვაქვს და არ შეიძლება დავეყრდნოთ ცალკეულ კრიმინალურ შემთხვევებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ვიცი, რომ საქართველოს თავადაც ბევრი პრობლემა გაუჩნდა, მაგრამ საკუთართან ერთად სხვა ლტოლვილთათვისაც მოიცალა. ეს კეთილშობილური საქმეა.

აუცილებელია ყველა ღონისძიება ურთიერთშეთანხმებით გაკეთდეს. საერთო ძალისხმევით ჯერჯერობით ეს გამოგვდის. არიან ძალები, რომელთაც უნდათ კვლავ გამოიწვიონ დესტაბილიზაცია არა მარტო პანკისში, მთლიანად საქართველოშიც.

* * *

ჯოყოლოს ქართული საშუალო სკოლა სოფლის განაპირა ჭობიოს ხეობის შესასვლელთან აუშენებიათ.

ნაგებობა 1987 წელს ახმეტის სამშენებლო ორგანიზაციას დაუწყია. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ გაუმართავ-დაუმთავრებელი დარჩენილა და დანგრევის პირას მისულა.

უკვე თორმეტი წელია, რაც სწავლის კერა ახალ ტიპიურ შენობაში დაფუძნდა. მისი დირექტორია ხეობის გამორჩეული შვილი, ჯოყოლოს საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე **ვალერიან მუთოშვილი.**



ვალერიან (ვანო) მუთოშვილი

სადღეისოდ სკოლის ორივე კორპუსი გაეროს ეგიდით შერემონტდა, მაგრამ სასწავლო კორპუსის მესამე სართული დღემდე ავარიულია.

შარშანწინ, ძლიერი ქარიშხლის შედეგად სკოლას სახურავი მთლიანად გადაეხადა და მწყობრიდან გამოვიდა. სკოლის დირექციისა და სოფლის მოსახლეობის დახმარებით მიმოფანტული შიფერი შეგროვდა და სკოლის შენობა ხელმეორედ გადაიხურა. ამის მიუხედავად, ნაგებობაში ყველა მხრიდან ისევ ჩამოედინება წვიმისა და თოვლის წყალი.

სკოლის ქართულ სექტორზე 187 ყმაწვილი სწავლობს; რუსულზე — 70.

რუსული სექტორი სახელმძღვანელოებით უფასოდ მარაგდება, ქართული სექტორისათვის საჭირო წიგნებს თვითონვე იძენენ.

ვიდრე ვალერიან მუთოშვილი ჯოყოლოს საკრებულოს თავმჯდომარე გახდებოდა, დუმასტურის სკოლის დირექტორად მსახურობდა. არჩევნებში კენჭი იყარა და გაიმარჯვა.

ახალ არჩევნებამდე კი საკუთარი სურვილით გადავიდა ჯოყოლოს სკოლის დირექტორად და დღემდე უძღვება მას.

კაბინეტებს ვათვალიერებთ მე და ბატონი ვალერიანი. ქიმია-ბიოლოგიის, ფიზიკის, ისტორია-გეოგრაფიის, რუსულ-ინგლისურის, ფსიქოლოგიის, ლოგოპედის, ფიზკულტურისა და სამხედრო დაწყებითი სწავლების... ქართული ენის სიწმინდის კაბინეტიც კი აქვთ. აქვეა მდიდარი ბიბლიოთეკა შვიდ-რვა ათასამდე წიგნადი ფონდით.

სამწუხაროა, რომ ოთხი წელია ლტოლვილ მასწავლებლებს ხელფასი არ მიუღიათ, ლტოლვილებისათვის დაწესებული 14 ლარიც არასდროს მიუციათ მათთვის. ეს მისია კი საქართველოში გაეროს წარმომადგენლობას აკისრია.

1999 წლიდან არსებობს ჯოყოლოში ლტოლვილთა სკოლა.

ბატონი ვალერიანი მასწავლებლებსაც მაცნობს, ვენერა ქუშანიშვილი, ესილა შახგირეევა, ხუტა მახაევა, ლია ქავთარაშვილი, დოქა ზუბაევი, ძანო მუთოშვილი, ელიკო, დალი, ნადია ბორჩაშვილები, ლილი, თამარ გუმაშვილები, ეკა ტოხორაშვილი, ლეილა ხანგოშვილი, ნესტან მუთოშვილი, ლალი მარგოშვილი, ხათუნა ბორჩაშვილი და სხვები... ყველას უხარია სტუმრის დანახვა. ამბობენ: ჩვენს სკოლაში ჟურნალისტები იშვიათად მოდიანო.

ერთი სურვილი გვაქვს: რადგან ჩვენი ხეობა სრულიად მოწყვეტილია ინფორმაციულ საშულებებს, იქნებ შეგვისრულოთ თხოვნა და ყოველდღიურად „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთი ეგზემპლარი გამოგვიგზავნოთო.

**დარიკო ბორჩაშვილი — ჯოყოლოს სკოლის რუსული სექტორის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:**

— დიდ უბედურებას გადავურჩით. რუსეთისათვის კავკასიაში გაბატონების პირველი გასაღები ხომ საქართველოა და მტერმა მისი გაღება ვერ შეძლო.

საბედნიეროდ, ბინძურ პოლიტიკურ ანკესზე არ წამოვეგეთ.

**ვაჟა ცხადაძე — ჯოყოლოს სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი:**

— თუ პირფერობად არ ჩამითვლით, თქვენი გაზეთი ყოველთვის მართალ და სერიოზულ წერილებს აქვეყნებს. ამისათვის მადლობლები ვართ პანკისელები.

მოკითხვა თქვენი გაზეთის თანამშრომლებს.

* * *

**პანკისის ოპერაცია გრძელდება. თუმცა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი ძირითადი ნაწილი შესრულებულია და მსოფლიომ აღიარა პანკისის პრობლემის წარმატებით გადაჭრის ფაქტი. წინ მაინც უამრავი სამუშაოა.**

**მთავარი ის არის, რომ ჩვენი პრობლემა ჩვენივე ძალებით მოვაგვარეთ.**

**მინდა გავიმეორო, დღეს პოლიციელის ცხოვრება ბეწვის ხიდია. და არავინ იცის, სად ჩაუწყდებათ. პოლიციელთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთგულია თავისი ვალისა და ფიცისა. „ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია“, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლსა და ბუმბულსავით მსუბუქია“.**

**აი, ეს ითქმის ბატონ ზურაბ ტუშურსა და მის ამალაზე. ეს ითქმის ხეობაში მდგარ სამხედრო ნაწილებზე და მათს ხელმძღვანელებზე...**



**იზა ჯაჭვაძე,**
„სრ“ სპეც. კორ.
ახმეტა — პანკისი — თბილისი.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## ლიტერატურული წიაღსვლები

# «მივალ გურიაში, მარა...»

## ანზორ ერქომაიშვილს

**„წინ, მეეტლევ!“ — ასე იწყება გალაკტიონის ლექსი „გურიის მთები“ და ამ ტემპს ამლიერებს სტრიქონის მომდევნო მუხლები: „ეგ ცხენები გააქანე, გააქანე!“ ასეთი სწრაფი დინებით ჩავდივართ ლექსის ბოლომდე, რომელიც დასაწყისს ეხმიანება: „მაშ, გარეკე ეგ ცხენები, სადმე შორს, შორს წაიყვანე, გამაქანე, გამაქანე!“ და ლექსს ერთ დინამიკურ ტირადად ჰკრავს. თექვსმეტმარცვლიანი მაღალი შაირია, ქართულ მეტრიკაში გამორჩეული ჩქარი რიტმი.**



XIX საუკუნის ათიანი წლების პირველ ნახევარში, როცა ლექსი დაიწერა, გალაკტიონი არაერთხელ მიმართავს ამ საზომს („მე და ღამე“, „მესაფლავე“, „ქალი და ხელოვნება“, „დგება ნაზი შემოდგომა“ და სხვა), მაგრამ არსად იგი ისე კარგად არ არის მორგებული ლექსის შინაარსსა და განწყობილებას, როგორც ამ შემთხვევაში; პოეტი გურიისკენ მიისწრაფვის, საქართველოს იმ კუთხისკენ, რომელიც ცეცხლოვანი ტემპერამენტით არის სავსე. მიიჩქარის და სული წინ უსწრებს. „გურიის მთებში ცნობილი გურული ლექს-სიმღერის კოდია ჩადებული: **„მივალ გურიაში, მარა სულმა წინ-წინ გეიპარა“**. ერთგან პოეტი ამ გამოთქმის მოდელსაც მიმართავს: „მიწვდა გურიაში, მარა... („აკაკი წერეთელი“).

გალაკტიონისთვის ერთნაირად ძვირფასია ლიხს იქითა და აქეთა საქართველო: ქუთაისი და თბილისი, მტკვარი და რიონი. ლექსში „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რომელიც სრულიად საქართველოს ჰიმნია, ყველა კუთხეა დასახელებული, მაგრამ მათი ჩამოთვლა, უმეტეს ხელნაწერებში, გურიით იწყება: „მიყვარს მრავალ ჭირნახული ის გურია და სვანეთი“. მრავალ ჭირნახული გურია, მისი სისხლიანი ისტორია, არაერთხელ აქვს დაფიქსირებული, „სახრჩობელები გურიაში“, ვკითხულობთ ერთ ჩანაწერში (XII, 585), „გურიის მდინარეებად დაღვრილი შურისძიება“, — წერია ლექს „მომავალის“ ვარიანტში.

გურიასთან დიდი სიახლოვე აკავშირებს: „ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზეთის მეფეების შერვაშიძეთა გვარიდან — ჩემი დიდედის, გურული ქალის, ბერიძის დედა იყო შერვაშიძის ასული. ამგვარად, ჩემში არის სამნაირი ქართული სისხლი: აფხაზის, გურულისა და იმერელის“ (XII, 276).

... ეს თუ ჰქონდა მხედველობაში, როცა ერთ-ერთი შეხვედრის დროს მხარზე ხელი გადამდო და მითხრა: „გურულები ვართ ჩვენ, ძამიკო, გურულები!“

ლექსიკოლოგიური ჩანაწერები (XII, 487) გურიიზმებითაა სავსე: „დანასისხლად გადამტერებულნი“, „ადადღანდა“, „ჩონგურ-ჩონგურ კეკეჩია, შენ ქე სჭამ და მე ქე მშია“, „აგია ჩემი ბრალი ახლა?“ „არ იგდება“, „ეს ასი წლის კაცი უნათლავ ბაღანასავით ჩააგდეს მიწაში“, „ან ჩემდა, ან მაგისდა, ან მისდა“...

ერთსტროფიანი ლექსიც აქვს:

**გზად გურულ ქალს ვეუბნები,**
**რომ გზაც ვარდით ნაფერია,**
**ის ყურს მიგდებს, მერე მკაცრად**
**ამბობს: „მაი აფერია“ (VII, 146).**

ამ გამოთქმას ხშირად იმეორებს: „უკანასკნელი სტრიქონები შეუცვლიათ, მაგრამ „მაი აფერია“, როგორც გურულები იტყვიან“ (XII, 466), ლექსებშიაც იყენებს გურულ ლექსიკას: „პატარა სახლი, როგორც **ნალია,** თვით სასახლეზე იდუმალია, სტუმართმოყვარე იმედით დაცხა გურული **ოდა**, მეგრული ფაცხა“.

გურული იუმორის ნიმუშებიც მოაქვს: „პროლეტარიატი ღელავს — იტყვიან გურიაში, როდესაც ხალხი ვისმეს უცდის“, „გაუმარჯოს ერთობას, ხელში მომცემ ხელთოფას“, „ცოციალისტი“ — ამბობდნენ ხალხში სოციალისტებზე“ (XII, 489).

გურიის მთები — პოეტისთვის ასეთი მშობლიური და საყვარელი სხვა ლექსშიაც არის გაცხადებული. იგი სონეტია **„აგერ ღობიდან გიცქერს კამური“**. კამური ვაზის ჯიშია, რომელიც გურიაში ხარობს: **„გურიის მთებში მე შემხვედრია იგი, ლამაზი და საამური“.** სონეტის ერთ რითმაში ისმის: **მწყურია — კამურია.**

თორმეტტომეულში სონეტს თარიღად კითხვისნიშნიანი 1992 წელი უზის. ეს თარიღი, მართლაც, საეჭვოა, 1914 წლის კრებულში შეტანილი სონეტი „ლაურა“, თუმცა პეტრარკას სონეტების ადრესატის სახელს ატარებს, მხოლოდ ზოგიერთი ნიშნით ჰგავს სონეტს, „აგერ ღობიდან გიცქერს კამური“ კი ტიპიური სონეტია და თავისი ახალი პოეტიკით უნდა სცილდებოდეს პირველი წიგნის ფარგლებს.

საგულისხმოა, რომ იგი პირველად 1957 წელს დაიბეჭდა. ჩვენი ყურადღება იმ გარემოებამაც მიიქცია, რომ „აგერ ღობიდან გიცქერს კამური“, საერთოს პოულობს „არტისტულ ყვავილებში“ შესულ ლექსთან „ედგარი მესამედ“, „ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი... და ჩვენს საოცარ გზაზე ლენორა“ და „აგერ ღობიდან გვიქცერს კამური“. „გურიის გზებზე მიდივართ ორნი, ვიგრძენით მაღლა აფრენა ყორნის“. ლენორა, ედგარ პოს ლექსის „ყორანის“ პერსონაჟია. ეს ტექსტუალური დამთხვევაც იმის მანიშნებელია, რომ სონეტი გვიანდელია და გურიის მთებისადმი ინტერესი გალაკტიონს შემოქმედების ახალ ეტაპზეც გადაჰყვა.

მთის გრძნობა განსაკუთრებით ორგანულია გალაკტიონისთვის. ყრმობიდანვე იტაცებდა იგი. გასცქეროდა კავკასიის შორეულ მთებს: „ბავშობიდანვე ის სიშორე მტანჯავდა ერთი, ლაჟვარდოვანნი მიტაცებდნენ ნაქერალები და ვკითხულობდი, ვოცნებობდი, ვმღერდი თუ ვწერდი, მდევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ ის მწვარვალები“.

შორეული მთები დაბინდულ ქლიავისფერია: **„გინახავთ თქვენ ფერი დაბინდული ქლიავის, ეს ჩემი სამშობლო მთებია“** („დაბრუნება“)! მაგრამ გურიის მთები გალაკტიონისთვის შორეული და დაბინდულ ქლიავისფერი არ არის. „გურიის საზღვართან დავიბადე“, — წერს ავტობიოგრაფიაში. ეს მთები ახლოდან ჩანდა და მწვანე იყო. ამიტომ მწვანე მთებიც უყვარს. ერთ ამდროინდელ ლექსს „მწვანე ზოლი მთის“ დაარქვა. თუ დაბინდულ ქლიავისფერი მთები მასში სევდიან განწყობილებას აღძრავს, მწვანე მთები, პირიქით, გუნებას ახალისებს.

გალაკტიონის „გურიის მთები“ შეხვედრის სიხარულია, ილიას „ყვარლის მთებს“ — განშორების სიმძიმილი. ამის შესაბამისად, პირველის რიტმი აჩქარებულია, მეორესი — ნელი და მძიმე: „მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა“. ილიაცა და გალაკტიონიც კანონის უზენაესობით იცავენ ამ წესს.

... მიჰქრის ეტლით გურიისკენ და პოეტი გაჰყურებს სიცოცხლით სავსე სოფლებს:

**ვხედავ სურებს, ვხედავ დაფნარს,**
**ვხედავ მდუმარ ნასაკირალს;**
**ვხედავ სოფლებს სიცოცხლისას,**
**განახლების თვალით მზირალს.**

სიტყვა დაფნა, საიდანაც წარმომდგარია სოფელ დაფნარის სახელწოდება, ლექსში კიდევ ორჯერაა ათამაშებული: **„დაფნის ბუჩქთა მწვანე ჩარჩო“** და „მსურს, რომ დაფნით გადავხლართო მძიმე ფიქრთა ოკეანე“.

დაფნა, დაფნის გვირგვინი, „პოეზიის ლაჟვარდ ცრემლით სველი დაფნის ფოთოლი“, „ნელი დაფნის ფოთოლი“, „მწველი დაფნის ფოთოლი“, მუდამ თან სდევდა ეს ფიქრთ. „არტისტულ ყვავილებში“ პირდაპირ თქვა: „შენ გელის დაფნა, შენ დიადი დიდება გელის“, სიცოცხლის ბოლოს კი მწარედ ამოიკვნესა: „დაფნის ნაცვლად გვთავაზობენ ანწლებს და მივყვებით და მივყვებით ამ წლებს“. ასე რომ, ამ სიტყვის ხშირი ხმარება „გურიის მთებში“ შემთხვევითი არ არის — იგი დაფნის გვირგვინზე ფიქრის დასაწყისია...

მრავლისმეტყველი სახეა „მდუმარე ნასაკირალი“. იგი 1905 წლის მოგონებაა, როცა გურიის შეიარაღებულმა ძალებმა ნასაკირალის ფერდობებზე სასტიკად დაამარცხა ამ კუთხის ასაკლებად ჩამოსული ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიცია. ამ დროს გალაკტიონი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა და, ალბათ, მწვავედ განიცადა ნასაკირალის ამბები. ახლა ნასაკირალი დადუმებულია, „ვით გრიგალის შემდეგ ტყე-ველი“ (ამ სათაურით იმავე ხანებში სხვა ლექსიც დაუწერია). „მდუმარე ნასაკირალი“ აბობოქრებული ნასაკირალის გახსენებაა. ამ ხალხის გმირული შემართების გამოხატულება:

**არსად, არსად არ არსებობს**
**ბრძოლის ჟინი, ბრძოლის ქარი,**
**არსად, ისე არ გადმოხეთქს**
**უკმარობის ნიაღვარი.**

„უკმარობის ნიაღვარი“ — ზუსტი დახასიათებაა გურული ხასიათისა. „ისინი ვერ შეურიგდებიან ისტორიულ თანდათანობას“... — წერს გრიგოლ რობაქიძე. მათ ბუნებაშია „არისტოკრატული სიამაყე“ (ესეც გრიგოლ რობაქიძის სიტყვებია), ჯანყი და „არა დათმობის გზა საზიზღარი“ (ლექსი „ნასაკირალთან“). მდუმარე ნასაკირალი კი ნარნარი და მომხიბლავია. „განსაცვიფრებელია გურიის ნელი სირბილე“: იქ ვერ მონახავთ ვერც ერთ „მყვირალა“ ფერს, იქ ვერ იხილავთ ვერც ერთ უხეშ ხაზს. იქ ყოველი ნაკვთი რბილია, ნაზი, მჩატე, ნარნარი. თვითონ მთებიც კი გურიაში მკაცრი ნატეხობით კი არ არის ამართული, არამედ ხავერდოვანი სირბილით“ (გრიგოლ რობაქიძე).

ამ ხავერდოვანი მთების ჰიმნია „გურიის მთები“!

დგას პოეტი ნელი სირბილით სავსე სიმყუდროვეში და უეცრად სიმღერის ხმა ესმის: „ჩუმად! ვილაც მღერის, მთაზე, რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში. არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“.

თავისებურია გურული სიმღერა, ყველა სხვა კუთხისა და ქვეყნის სიმღერებისგან გამორჩეული.

„ხმებს შორის არაჩვეულებრივი კონტრასტულობაა. ახასიათებს ხმოვანების სიმძაფრე, ჰარმონიულ ვერტიკალებში დისონანსების სიჭარბე, ყოველი ხმა დამოუკიდებელია და განსხვავებული“ (ეთერ ლონდარიძე, „გურული მუსიკალური ფოლკლორი“). „ნათელ სივრცეში აიჭრა სამი მიმინო სხვადასხვა ფერის, დასცილდნენ ერთმანეთს, სხვადასხვა მხარეს გაჭრილნი, კვლავ მიეტანენ ერთურთს, დაქანდნენ ქვემოთ დიდი სისწრაფით და შეაქვავდა ერთმანეთს სამი ხმა, ერთ ხმად ქცეული“ (ელგუჯა ბერძენიშვილი, „ხასანბეგურა“).

... „იმდენად რთულია გურული სიმღერების პოლიფონიურობა, რომ მათი მოსმენა თვით ბახსაც კი აღაფრთოვანებდა“, წერს ამერიკელი დირიჟორი გრინბერგი.



განსაკუთრებით საოცარია კრიმანჭული — „მოჭიხვინე თეთრი კვიცი, შორით ნასროლი ქამანდი გუნდიდან“ (ელგუჯა ბერძენიშვილი) და მისი მთქმელი — „კრიმანჭულის დროს ცას რომ ახედავს“ (ლადო ასათიანი).

ერთი ამერიკული ჟურნალის შეკითხვაზე — რა ახალი მუსიკა მოისმინა ბოლო წლებში, ცნობილმა კომპოზიტორმა იგორ სტრავინსკიმ უპასუხა: **„იოდლი, რასაც საქართველოში კრიმანჭული ეწოდება, იყო საუკეთესო, რაც კი ოდესმე მომისმენია“.**

რთული, პოლიფონიური სიმღერების გვერდით გურიაში გავრცელებულია ლირიკული, მელოდიური, ჩონგურული სიმღერები, რაც ასევე მოსწონს გალაკტიონს: „ჩონგურს დამღერდა ქალი გურული და მას ხმა ჰქონდა ანდამატური“ (... „სანაპიროზე, ზვირთების ხმაზე“).

ყველგან მიმზიდველია გურული სიმღერა — ნადში, ქორწილში, ლხინში, საერთოდ, სცენაზეც, მაგრამ განსაკუთრებით წარმტაცია, როცა ტყის სიჩუმეში მიმავალი მგზავრი თავისთვის ჩაიკრიმანჭულებს. სწორედ ეს მოძახილი ისმის „გურიის მთებში“.

... და კიდევ ერთი „არსად“

**და არსად მთელს ქვეყანაზე**
**არ ჰკოცნიან ისე ვნებით,**
**ისე ცეცხლით, ისე ჟინით და**
**იმგვარი გატაცებით,**
**ვერსად ისე ვერვინ გაგხვევს**
**გამოუცნობ ცეცხლის ტბაში,**
**როგორც ლერწამქალწულები**
**აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში.**

გურიის ლამაზ ქალებზე სხვაგანაც უწერია. „ერთხელ მერიით თუ ხიდისთავით“ (გურიის სოფლებია!) პოეტისთვის მზისფერთვალება ქალს ქინძისთავით ხალათი შეუკრავს და ამ უბრალო ქინძისთავს, რომელმაც, პოეტის ფანტაზიით, იგი მრავალ ხიფათს ააცდინა, ეფერება და ულოლიავებს „ვამბობდი: არის მზისფერთვალება ქალი, პოეტი რომ ებრალება“.

ჩანაწერებში ვკითხულობთ: „მატარებელში შემხვდა ორი კარგი ქალიშვილი. ერთი დონის ბასეინიდან, მეორე გურიიდან“ (XII. 331).

ამრიგად: გამორჩეული გურული სიმღერა („არსად ისე არ მღერიან“) ქედუხრელი ხალხი („არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარობის ნიაღვარი“) და გურული ლერწამქალწულები (და არსად მთელს ქვეყანაზე არ ჰკოცნიან ისე ვნებით) — ამდენი „არსად“ — ყველგან სიამოვნების მომგვრელი, აღმატებული შინაარსით, გალაკტიონის არც ერთ სხვა ლექსში არ გვხვდება. ასეთი აშკარად გამოკვეთილი აღტაცებული ლექსი გალაკტიონს არ დაუწერია! განა დარდი და კაეშანი ამ დროს უცხო იყო მისთვის? ხომ აქვე წერს: მსურს, რომ დაფნით გადავხლართო მძიმე ფიქრთა ოკეანე?! და მარადმწვანე დაფნით გადახლართა, ჩამოიშორა ეს მძიმე ფიქრები.

საერთოდ, გალაკტიონი შემოდგომის პოეტია, მისი მრუმე ფერებით დასევდილი („ო, ენკენისთვე ეპარება დარდივით მდელოს“), მაგრამ ამჟამად — გაზაფხულივით ლაღი, ამ წარმტაცი ქვეყნითა და ხალხით შთაგონებული მიჰქრის გურიისაკენ და ერთი სული აქვს, ვიდრე მის მწვანე მთებს მიუალერსებდეს („საალერსოდ ისევ მიწვევს გაზაფხულის მთები მწვანე“)...

„გურიის მთები“ გალაკტიონის ადრინდელი შემოქმედების ნაყოფია. მასში არც „ნიკორწმინდას“ ჩუქურთმებია და არც „ეფემერის“ მაგიური ძალა იგრძნობა. საერთოდ, არ ჩანს ლექსის ჯადოქარი.

მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი თვალს არ სჭრის, სმენას არ იტაცებს, საზომი ტრადიციულია, რითმები — ჩვეულებრივი, ევფონია — შეუმჩნეველი, ტროპები — თითო ოროლა. ერთგან ლერმონტოვის რემინისცენციაა „მწირიდან“: „ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი, რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი“. ამას არც მალავს. ოლია ოკუჯავასადმი გაგზავნილ ბარათში (1915 წ.) ვკითხულობთ: „ცა ისე იყო მოწმენდილი, რომ უნებურად რომაშოვივით ლერმონტოვის სიტყვები გავიმეორე“:

მაგრამ „გურიის მთები“ ძლიერი ლექსია! ის ძლიერი ფესვია, წერს პოეტი თავისი ლექსების ლაკონიურ დახასიათებაში („... გამოდიხარ სცენაზე“). მისი სიძლიერის განმსაზღვრელია აზრის ლოგიკა, ემოციური მუხტი, ერთად შენივთული ბუნება და ადამიანი, ფორმისა და შინაარსის თანხმობა, კომპოზიციური მთლიანობა (ერთი და იმავე რითმით იწყება და თავდება, თავშიაც და ბოლოშიაც სტრიქონები მუხლნაკლულია). ყურადღებას იქცევს სიტყვათა მრავალგზისი ტრადიციული განმეორებანი: „კიპაროსი ისე ღელავს, ისე ღელავს, ისე ღელავს, ისე ტოკავს, ისე ტოკავს, როცა ქარი გადათელავს“. თითქოსდა, თვალწინ გვიდგას ქარით მოქანავე კვიპაროზის ხე.

„გურიის მთები“ პოპულარული ლექსია, დიდი სიყვარულითა და ექსპრესიითაა დაწერილი. ისეთივე სადა, ლაღი, სხარტი და მკვრივია, როგორც ხალხური სტრიქონები, რამაც იგი შთააგონა:

... „მივალ გურიაში, მარა სულმა წინ-წინ გეიპარა“...

**აკაკი ხინთიბიძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

უცნობი ისტორია

# ბრძოლა კავკასიისათვის (1942–1943 წლები)

(მერვე გვერდიდან)

ბიალა პოდლიასკში მდებარე ქართული ლეგიონის მოსამზადებელ ბანაკში სამხედრო ტყვეთა ბანაკებიდან ჩასულ მომავალ ლეგიონერებს ყოფდნენ ასეულებად, ოცეულებად, ათეულებად და იწყებოდა მათი სწავლება, პირველ ეტაპზე რომ ითვალისწინებდა საერთო ფიზიკურ და სამწყობრო მომზადებას, აგრეთვე, გერმანული ბრძანებებისა და წესდებების შეთვისებას.

სწავლების დაწყებითი კურსის დამთავრების შემდეგ ახალწვეულნი გადაჰყავდათ ჩამოსაყალიბებელ ბატალიონებში, სადაც ისინი ღებულობდნენ სტანდარტულ ჩაცმულობას, აღჭურვილობას და იარაღს და გადადიოდნენ ტაქტიკურ მომზადებასა და იარაღის მატერიალური ნაწილების შესწავლაზე.

ბატალიონი შეიარაღებული იყო სამი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხით (45 მმ), 15 მსუბუქი და მძიმე ნაღმტყორცნით, 52 ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევით, შაშხანებითა და ავტომატებით. იარაღს ძირითადად ნადავლი საბჭოთა შეიარაღების საწყობებიდან ღებულობდნენ.



ქართული ლეგიონერის კოკარდა და სამკლავური ნიშანი.

ჯარისკაცების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება მთავრდებოდა ფიცის დადებით (ქართულ ლეგიონში, მესამე რაიხის სხვა მოხალისეთა ფორმირებებისაგან განსხვავებით, ფიცს სდებდნენ არა პირადად რაიხის კანცლერის, ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლის ადოლფ ჰიტლერის წინაშე, არამედ ქართული მიწის წინაშე) და ბატალიონის დროშის გადაცემით. ამის შემდეგ ბატალიონები იგზავნებოდა ფრონტზე, ხოლო გამოთავისუფლებულ ბანაკებში იწყებოდა ახალი ნაწილების ჩამოყალიბება.

ასე, მაგალითად, 1942 წლის შემოდგომაზე ფრონტზე გაგზავნილი აღმოსავლური ლეგიონების „პირველ ტალღაში“ იყო ქართული ლეგიონის 795-ე და 796-ე ბატალიონები, 1943 წლის ზაფხულში მას მიჰყვა „მეორე ტალღა“, რომელშიც იყო 4 ქართული (797-ე, 709-ე, 799-ე და 822-ე საველე ბატალიონი. და ბოლოს, „მესამე ტალღა“ 1943 წლის მეორე ნახევარში. მასში შედიოდა ორი ქართული ბატალიონი (823-ე და 824-ე).

ამასთან, ინტერესმოკლებული როდია აღინიშნოს, რომ პოლონეთში შექმნილი ქართული ლეგიონის ბატალიონებს 1943 წლის 26 მაისიდან ენიჭებოდათ საკუთარი სახელები. ქართული და გერმანული წყაროების შედარებით შესაძლებელი გახდა ბატალიონების ნუმერაციისა და სახელწოდებების დადგენა: 795-ე – „შალვა მაღლაკელიძე“; 797-ე – „გიორგი სააკაძე“; 798-ე – „მეფე ერეკლე II“, 799-ე – „დავით აღმაშენებელი“; 822-ე – „თამარ მეფე“; 823-ე – „შოთა რუსთაველი“, 824-ე „ილია ჭავჭავაძე“ (796-ე ბატალიონი ჯერ კიდევ 1943 წლის დასაწყისში კავკასიის ფრონტზე ტუაფსესთან ლეგიონერთა ჯგუფის დეზერტირობისათვის დაშალეს). პოლონეთში შექმნილი რვა ქართული ბატალიონიდან კავკასიისათვის ბრძოლაში მონაწილეობდა ორი პირველი – 795-ე და 796-ე ბატალიონები, რომლებიც მიერთებული იყო ვლადიკავკაზ-თბილისისა და ტუაფსე-სოხუმის მიმართულებით მებრძოლ გერმანულ დივიზიებთან.

* * *

თუმცა ქართული ლეგიონის ბატალიონების ჩამოყალიბების ძირითადი ცენტრი პოლონეთში იყო, სადაც სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის საორგანიზაციო განყოფილების ბრძანებით, 1942 წლის გაზაფხულიდან იგზავნებოდნენ „ჩრდილოეთისა“ და „ცენტრის“ არმიათა ჯგუფების ნაწილების მიერ დატყვევებული ქართული ეროვნების მებრძოლები, ხოლო 1942 წლის 9 მაისის ბრძანებით გადაწყდა „სამხრეთის“ არმიათა ჯგუფში აღმოსავლური (მათ შორის ქართული) ლეგიონების კიდევ ერთი ცენტრის შექმნა.

გერმანიის სარდლობის ასეთი გადაწყვეტილება იმით აიხსნება, რომ გერმანიის ჯარების საგაზაფხულო შეტევის შედეგად სწრაფად იზრდებოდა კავკასიის ხალხების წარმომადგენელ სამხედრო ტყვეთა რაოდენობა. მათ შორის საბჭოთა ეროვნული დივიზიებიდანაც, რომლებიც ძირითადად დისლოცირებული იყვნენ ფრონტის სამხრეთ უბანზე. ამის შედეგად აღმოსავლური დივიზიების ფორმირების ერთადერთი ცენტრი პოლონეთში ვერ აუდიოდა სხვადასხვა ეროვნების სამხედრო ტყვეების მოზღვავებას. ამას გარდა, მიზანშეუწონლად მიიჩნევდნენ ადამიანთა ასეთი მასის ტრანსპორტირებას დასავლეთში იმისათვის, რათა მათგან სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბების შემდეგ, ისინი ისევ გადაესროლათ ფრონტის სამხრეთ უბანში, სადაც 1942 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში იგეგმებოდა მოხალისეთა ბატალიონების ფართო გამოყენება.

აღმოსავლური ფორმირების ახალ ცენტრს, ფრონტზე დიდი დანაკარგების გამო დაშლილი 162-ე ქვეითი დივიზიის შტაბის ბაზაზე რომ შეიქმნა, სათავეში ჩაუდგა ვერმახტის ერთ-ერთი ყველაზე საიდუმლოებით მოსილი და საინტერესო პიროვნება – აბვერის ოფიცერი, პოლკოვნიკი (1942 წლის 6 სექტემბრიდან გენერალ-მაიორი), დოქტორი ოსკარ რიტერ ფონ ნიდერმაიერი – ახლო აღმოსავლეთისა და რუსეთის საქმეების ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილი სპეციალისტის რეპუტაციით რომ სარგებლობდა.

როგორც მკვლევარებს მიაჩნიათ, ო. ფონ ნიდერმაიერმა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში სახელი გაითქვა თავისი სადაზვერვო ექსპედიციებით ავღანეთში, რომლის მიზანი იყო ავღანელების მიმხრობა ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ ასაჯანყებლად, 1918 წლის მაისში მან გადამწყვეტი გავლენა მოახდინა გენერალ ე. ლიუდენდორფის გადაწყვეტილებაზე, საქართველოში გაეგზავნა გენერალ კრესს ფონ კრესსენშტეინის სამხედრო მისია.

**გიორგი მამულია,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

თარგმნა
**ვალიკო სიმონიშვილმა.**

(გაგრძელება იქნება).

თაობა

# საგზურს ოჯახი, სკოლა და „თელა“ გასცემს

გიორგი ტყეშელაშვილი ჯერ 10 წლისაა. მზარდი და კარგი მომავლის ბიჭია. მას ასეც ახასიათებენ სკოლა და საქართველოს სპორტული და სამეჯლისო ცეკვების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე.

– 2001 წლიდან დადის სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სანიმუშო სტუდია „თელაში“. ამ ხნის განმავლობაში გიორგი მრავალ კონკურსში და შეჯიბრებაში მონაწილეობდა, პატარებს შორის არის არა მარტო საქართველოს, კავკასიის ჩემპიონიც, საქართველოს ნაკრების წევრი. ჩვენი ფედერაცია მას დადებითად ახასიათებს.

იმის დასტურად, რომ მან არაერთხელ მოუტანა საქართველოს წარმატება, მისი გამარჯვების აღსანიშნავად შეჯიბრების დასასრულს არაერთხელ აღმართულა საქართველოს დროშა, შესრულებულა ჩვენი ქვეყნის ჰიმნი, ყოველივე კი ამ პატარა ბიჭუნას მომავალი გამარჯვებისათვის მზადების სტიმულს აძლევს. მისი თაობის ასეთი წარმატების მქონე ყმაწვილები ყოველთვის ხვდებიან საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს ახალგაზრდობის დეპარტამენტის ყურადღების ცენტრში.

გიორგი მე-4 კლასის ხუთოსანი მოსწავლეა, მას თბილისის 149-ე საშუალო სკოლის დირექტორი მერი აფხაზავა, მისი კლასის ხელმძღვანელი ნანა შარიქაძე და თანაკლასელები კარგად ახასიათებენ, ცეკვებში მისი მეწყვილე თათია ქუთათელაძეც.

მაჩვენებლები? საინტერესოა! ჩამოგითვლით: გიორგი ტყეშელაშვილი შარშანწინ თუ მე-5 ადგილზე გავიდა, შარშან თბილისის ღია რეიტინგულ ტურნირზე „ელეგია“ მე-2 ადგილი დაისაკუთრა. საქართველოს ღია პირველობაზე კი პირველობა არავის დაუთმო და შარშანვე პირველ ადგილზე გასულმა საქართველოს თასი მოიპოვა, თბილისის ღია რეიტინგულ ტურნირზე მოზარდებსაც გაეჯიბრა და მეორე ადგილზე გასულს თბილისის თასი გადაეცა. შარშან მისი სახელობის დღეს, გიორგობაზე შეჯიბრებაში პირველობა არავის დაუთმო. ბაქოში გამართულ ტურნირში, სადაც „ჩინარის“ თასზე გაიმართა შეჯიბრი, მე-3 ადგილი ირგუნა.



წარმატებას კვლავ წარმატება მოჰყვა და 7 ცეკვის შესრულებით შარშანვე კავკასიის თასზე გამართულ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გავიდა. პირველობა არავის დაუთმო თბილისის იმ ტურნირზეც, სადაც 8 ცეკვა შეასრულა.

მისი ასაკის მოზარდისათვის გამარჯვებები, რაც ჩამოგითვალეთ, არც ისე ცოტაა, დიდ მიღწევად ითვლება. შედეგიც კარგია: კავკასიის თასზე გამართულ შეჯიბრებაში ოქროს მედალი მიიღო, ხოლო თბილისის ღია რეიტინგულ ტურნირზე – ვერცხლის მედალიც.

აბა, რა შეცვლის გამარჯვებით მიღწეულ სიხარულს, როცა სხვადასხვა ქვეყნისა და ქალაქების 80-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს და იქ საქართველოდან გიორგი ტყეშელაშვილსაც ასახელებენ, ბიჭს, რომელიც მეწყვილესთან თათია ქუთათელაძესთან ერთად სხვადასხვა ასაკთან შეჯიბრებაში მუდამ გამარჯვებული გამოდის.

ყველა შეჯიბრი კი იმ გრანდიოზული ასპარეზობისათვის მოსამზადებლად იყო მიმართული, რომელსაც შემდეგ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ დარბაზი მასპინძლობდა, სადაც ერთდროულად 3 ტურნირი – აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონატი გაიმართა. ტურნირში მასპინძლებთან ერთად რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის და სომხეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. როცა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გიორგი ტყეშელაშვილი და თათია ქუთათელაძეც ავიდნენ.

– „თელას“ კეთილმოწყობილ დარბაზში ხშირად იმართება შეჯიბრებები.

საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით წლეულს პირველად გაიმართება „დიდი მუზარადის“ გათამაშება. ის 6 ტურად მოეწყობა, გამოვა 12 საუკეთესო წყვილი. გიორგი სერიოზულად ემზადება „დიდი მუზარადის“ თასის მოსაპოვებლად. რაკი გამარჯვების სურვილი აქვს, მიაღწევს კიდეც. მას კი საოცრად ბეჯით და მოწესრიგებულ ყმაწვილად ახასიათებენ სკოლის დირექტორი, მასწავლებლები და თანატოლები, თვითონ ცეკვის ჯადოქარი „თელას“ ხელმძღვანელი თენგიზ გაჩეჩილაძეც.

**წარმატება** მისი გაბედულების ნაშიერია, რომელიც გიორგის არ აკლია. **დიდება** ამ 10 წლის ყმაწვილს უკვე აქვს. **წესრიგის** მოყვარულ გიორგის დრო კი გონივრულად აქვს განაწილებული, წესრიგია აღზრდის საფუძველი, ეს კი მას ოჯახიდან მოსდევს...

სამშობლოს ჭრილობას, ისე, როგორც თითოეული ჩვენგანი, გიორგიც გულის სიღრმეში განიცდის, გრძნობს და ცდილობს თავისი მოქმედებით, სწავლითა და ცეკვის სიყვარულით გაიქარვოს. აკეთებს იმას, რაც მის ასაკს შესწევს, აქვს დანახვის, ფიქრისა და შეგრძნების საკუთარი მანერა, მას უკვე არჩეული აქვს მომავლის რეალური გზა...

**ნათელა ფაილოძე.**

მსოფლიო შტრიხებში

## ბორბალს გამოგონება არ სჭირდება!

და ეს თუნდაც იმიტომ, რომ სლოვენიაში არქეოლოგთა ჯგუფმა აღმოაჩინა ყველაზე უძველესი ბორბალი.

ექსპერტების აზრით, ქვეყნის დედაქალაქის შემოგარენში გათხრების დროს ნაპოვნი ბორბალი 5350 წლიდან 5100 წლამდე უნდა იყოს. ამის გამო ის ასი წლით უხნესი გამოდის, ვიდრე ადრე შვეიცარიასა და გერმანიაში ნაპოვნი.



ბორბალი დამზადებულია კოპიტისა და მუხისაგან. მისი რადიუსი 70 სანტიმეტრია, სისქე კი – 10 სანტიმეტრი.

## წახალისება ტკბილეულით

უნგრეთის პოლიციამ გადაწყვიტა იმ მძღოლების წახალისება, ვინც უსაფრთხოების ქამრებს ხმარობენ, ან ბავშვები მათი ავტომანქანების სპეციალურ საბავშვო სკამზე სხედან. პოლიციელები მათ გადასცემენ კანფეტებს. ეს კამპანია უნგრეთის პოლიციის ახალი პოლიტიკის ერთ-ერთი პუნქტია, რითაც ცდილობენ მძღოლთა სიფხიზლის ამაღლებას.

პოლიციელების განცხადებით, ჯარიმები სათანადო ეფექტს არ იწვევს – მძღოლები უსაფრთხოების ქამრებს არად აგდებენ. ამიტომაც გადაწყვიტეს „მათრახიდან“ „თაფლაკვერზე“ გადასვლა იმ იმედით, რომ ის უფრო ეფექტური იქნება საგზაო დარღვევებთან ბრძოლაში.

## განა რეკორდი არაა?

32 წლის მოსკოველმა ქალბატონმა ლარისა სოვრინამ უჩვეულო რეკორდი დაამყარა – ბოლო წელიწადნახევარში მან ოთხჯერ გათხოვება მოასწრო ისე, რომ თაფლობისთვის გასვლასაც კი არ უცდიდა და ახალ საქმროს ეძებდა. მას მიაჩნია, რომ ეს მისი ხუმტურიანი ხასიათის ბრალია.



ამ დღეებში ლარისამ მეხუთედ „იფსკვნა“ ჯვარი. ბედის ირონიით, ამჟამად მისი ახალი საქმრო რაიონულ მმაჩის ბიუროს 45 წლის თანამშრომელი აღმოჩნდა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ორშაბათი
### 3 მარტი

09.00, 12.00, 15.00, 20.00 "მოამბე" 09.10 მულტსერიალი "ბელფეგორი" 09.35 მხ. ფილმი "ალორძინების ეპოქის ადამიანი" 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 "ცირკი" 13.55 "თბილისი და თბილისელები" 14.25 ურავს ირმა გიგანი 15.15 მხ. ფილმი "ორი ღამე კლეოპატრასთან ერთად" 16.30 კალათბურთი. თბილისი "დინამო" - ბათუმის "ბასკო". შესვენებისას - "რამპა" 18.00 ტელევიზიის ოქროს ფონდიდან – "ხანუმა" 18.20 სატ. ფილმი "დიდის ხელი" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "მრავალჟამიერ" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 მღერის ირმა სოხაძე 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 22.55 ირმა სოხაძე (გაგრძელება) 00.00 მხ. ფილმი "ამელი"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 მოგზაურობა სასიტყვეში 21.00 ჯანმრთელობა 21.30 დოკ. ფილმი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "კაპიტანი ფრაკასი"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "მედისონის სკოლა" 19.05 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 20.05 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "ახალგაზრდა ამერიკელები" მთ. რ-ში: ჰარვი კაიტელი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 ალსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "კოსმოსის ტყვეობაში" 10.20 მხ.ფ. "მაცდურის დღიური" 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "მფარველი ანგელოზი" 22.40 "ბურთი და მოედანი" 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "დიდი იმედები" 01.30 ღამის ფილმი

12.00 ინდური მხ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი "მრბოლელი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "დიკ ტრეისი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "განკიცხულნი"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.00 რუსული ენის გაკვეთილი 11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 "ვარსკვლავები გვამცნობენ" 13.00 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 13.30 მხ. ფილმი "უპატიებელი" 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ექსტრაორდინალური 20.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები 21.30 პორტრეტი ნაბიჯებით 22.00 მუსიკალური პაუზა 22.30 ინდური კინო. მხ. ფილმი "დიახ მე შენ მიყვარხარ"

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით ქართული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "პიკის საათი" მთ. როლ-ში ჯეკი ჩანი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 უცხოური 00.00 ფილმი ბრავო "[illegible]" მთ. როლში ტობი მაგუაირი 01.40 ფილმი ღამურა "[illegible]" მთ. როლ-ში ტაკეში კიტანო 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მხ. ფილმი "წრფილნი" 11.45, 12.45, 17.50, 18.25, 21.55, 23.50 მუსიკა 12.00 მულტფილმი "კასპერი-მოჩვენებების შობა" 1-ლი ნ. 13.00 დოკ. ფილმი "ფოტორობოტი" მე-2 ს. 13.50 მარიონეტების ფილმი "ჯონსი" 1-ლი ს. 14.10 "ტელესიმი" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.45 "მსოფლიო ფეხბურთი" 15.15 დოკ. სერიალი "ცხოვრებისეული გამოცდილება" 1-ლი ს. 16.00 მხ. ფილმი "ჯოჯოხეთში მიმავალი მატარებელი" 18.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" მე-6 ს. 18.40 მულტფილმი "ალექსი" მე-12 ს. 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 126-ე სერია 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი" 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ.ფილმი "წარმატების ფორმულა" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ.ფ. "მადა"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 მულტფილმი "აბა, დამიჭირე!" 10.00 საბავშვო ფილმი "ჰეიდი" 1 სერია 12.15 ისტორიული ფილმი "რაინი" 14.50 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტფილმი 17.35 კომედია "ადამიანი რეპტილია" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.20, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.35 დოკუმენტური ფილმი 20.00 დრამა "ელეში" 22.50, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.55, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 "ალტერნატივა" საავტორო გადაცემა 01.00 დრამა "მკაცრი ადამიანები" 03.30 თრილერი "ინსტინქტი"

**VII არხი**

09.25 "აჩიკუდა" 09.45 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.25 სპორტი 10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა მელოდია 11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 12.00 "ობიექტივი"-სტუმარი (განმეორებით) 12.50 კომპიუტერული ტექნიკა 13.40 დისნეი და მისი მეგობრები 14.00 კომპიუტერული თამაშები 14.15 მობილურები 18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.35 კომპიუტერული ტექნიკა 20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 20.55 კომპიუტერული თამაშები 21.10 "ლა-ლა-ლა" 22.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 22.25 "კინოკლუბი " - "ელ სიდი" . 1 სერია. ისტორიული. როლებში: სოფი ლორენი 00.20 მობილურები 01.10 "ბიორითმი" - ოლეგ გაზმანოვი

## სამშაბათი
### 4 მარტი

07.30 ალიონი 09.45 "ზოოპარკი" 09.55 მხ. ფილმი "ამელი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 "ლერერის შოუ" 15.15 მხ. ფილმი "ბრიტანიკი" 16.55 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ავიაშოუ" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 "და არს მუსიკა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 "სათავეებთან" 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი "კაპიტანი ფრაკასი" მე-2 ს.

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ამბები ჩვენზე 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ასპარეზი 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "უსახო კაცი"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 19.30 პერეკროსტოკი 20.05 სერიალი " დატყვევებული გულები" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "გამოუსწორებელი თაღლითები" მთ. რ-ში: მაიკლ კეინი. 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.35 "ბურთი და მოედანი" 10.50 მხ. ფილმი "მფარველი ანგელოზი" 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10 მხ.ფ. "დიდი იმედები" 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა 15.20, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 16.20 მულტფილმი 17.30 მულტფილმი 20.00 მხ.ფ. "გაუმარჯოს რესპუბლიკას" 22.00 დიალოგი 23.45 ძველი კინო - მხ. ფილმი "სიცოცხლე" 01.10 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "განკიცხულნი" 15.30 მხ. ფილმი "დათვი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "მოწყდი ვარსკვლავებს" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "განკითხვის დღე"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.00 რუსული ენის გაკვეთილი 11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 მუსიკალური კოლაჟი 12.30 სალონი 14.00 ტელესერიალი "ჩრდილოეთი-სამხრეთი" 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ტელესერიალი "ჩრდილოეთი-სამხრეთი" 20.00 მსოფლიო სპორტი 23.00 სტუდია "ეკონომისტი" 00.00 მხ. ფილმი "ცხრა ნახევარი კვირა"

08.00 ტოროლა 11.00 განმ. უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "პატარა" მთ. როლ-ში ბრიუს უილისი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო "წვრილი წითელი ხაზი" მთ. როლ-ში შონ პენი 01.40 ფილმი ღამურა "საიდუმლო მასალები" მთ. როლ-ში დევიდ დუხოვნი 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.55, 23.50 მუსიკა 10.00 მულტფილმი "ალექსი" მე-12 ს. 10.30 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი" 12.45 მხ.ფ. "წარმატების ფორმულა" 14.20 "ტელემეტრი" 14.45 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 15.15 დოკ. სერიალი "ცხოვრებისეული გამოცდილება" მე-2 ს. 15.45 მხ. ფილმი "მადა" 18.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.35 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი" 22.15 მხ. ფილმი "ბედის შემობრუნება" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "წითელი აგენტი"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.30 დოკუმენტური ფილმი 10.00 საბავშვო ფილმი "ჰეიდი" 2 სერია 12.15 დრამა "მკაცრი ადამიანები" 14.00 დოკუმენტური ფილმი 14.25 კომედია "მაფიაზე დაქორწინებული" 16.15 მულტფილმი 17.30 სათავგადასავლო ფილმი "ამაზონი ცეცხლის ალში" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.25 «Ï ðåññ-ï àï üå» 19.20, 22.55, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.35 დოკუმენტური ფილმი 20.00 კომედია "ვირთხების რბოლა" 22.40 «Ï ðåññ-ï àï üå» 22.50 "გალერეა" 23.05, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.10, 01.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.15 "რა არ ხდება" საავტორო გადაცემა 23.30 დოკუმენტური ფილმი 01.00 თრილერი "შესანიშნავი" 02.35 დოკუმენტური ფილმი 03.30 მხატვრული ფილმი "ჰავანა"

**VII არხი**

09.10 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.50 "ბედნიერი ერი" 09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) მელოდია 11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 12.00 მობილურები 12.45 "ბიორითმი" - ოლეგ გაზმანოვი . 13.05 აუდიო-ვიდეო-ტელე 13.45 კომპიუტერული თამაშები 13.50 დისნეი და მისი მეგობრები 14.15 კომპიუტერული ტექნიკა 18.20 კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 20.05 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა 20.45 კომპიუტერული თამაშები 20.55 "ღამის კაპრიზი" - თემა: ნარკომანია. 21.55 მობილურები 22.45 "კინოკლუბი" - "ელ სიდი" მე-2 სერია. ისტორიული. როლებში: სოფი ლორენი 00.35 აუდიო-ვიდეო-ტელე 01.10 "ბიორითმი" - ოლეგ გაზმანოვი .

## ოთხშაბათი
### 5 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.15 მხ. ფილმი "კაპიტანი ფრაკასი" 11.25 დოკ. სერიალი "პალიტრა" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 "ნაშუადღევს" 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი "ეგვიპტოლოგიის პიონერები" 15.15 მხ. ფილმი "ჯადოქარი" 16.45 დოკ. სერიალი "შინაური ცხოველების ველური ცხოვრება" 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ისტორიანი" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 "შვილები" 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი "ორმაგი სიცოცხლე"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 და არს მუსიკა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 წარსულის ტერიტორია 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "თბილისი ჩემი სახლია"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "მედისონის სკოლა" 19.05 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 20.05 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "გოტიკა" მთ. რ-ში: გებრიელ ბირნი. 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი "გაუმარჯოს რესპუბლიკას" 12.05, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა 12.20 ლიტერატურული - სილუეტი (განმ.) 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10 მხ.ფ. "სიცოცხლე" 14.30 დოკ. ფილმი 15.20, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 16.20 მულტფილმი 17.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. "როგორ გახდე პრინცესა" 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "გვირაბი" 01.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "განკითხვის დღე" 16.30 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "მოჩვენება და ბნელეთი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "შეთქმულების საიდუმლო"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.00 რუსული ენის გაკვეთილი 11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 მუსიკალური კოლაჟი 12.30 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 სცენის ოსტატები 20.30 მულტფილმი 21.00 მსოფლიო სპორტი 22.00 თინეიჯერი 23.00 მხ. ფილმი "მისისიპის აჩრდილები"

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით რუსული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "ფემინისტი ქალი" მთ. როლ-ში პენელოპა კრუზი 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართულ-უცხოური მუსათეული 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 ჩაძირობანა 00.00 ფილმი ბრავო "ღამეები ბუგის სტილში" მთ. როლ-ში ჯულიანა მური 01.40 ფილმი ღამურა "კავშირი" მთ. როლ-ში ჯენიფერ ტილი, ჯინა გერშონი 03.50 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 14.20, 17.50, 19.50, 21.55, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი." 12.50 მხ. ფილმი "ბედის შემობრუნება" 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.15 დოკ. სერიალი "ცხოვრებისეული გამოცდილება" მე-3 ს. 15.45 მხ. ფილმი "წითელი აგენტი" 18.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.40 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.00 ქართ. დოკ. ფილმი "სტალინი - მეორედ მოსვლა" 22.00 "ტელემეტრი" 22.15 მხ.ფილმი "უსახო" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "ჩაშლილი საქმე"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 დოკუმენტური ფილმი 10.00 მხატვრული ფილმი "მარადიული სიყვარულის ისტორია" 12.15 ისტორიული ფილმი "მაცისტი ველურების წინააღმდეგ" 13.30 დოკუმენტური ფილმი 14.00 კომედია "ნიღაბი" 16.15 მულტფილმი 17.30 მელოდრამა "ვალსი" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.20 "პრესდაიჯესტი" 19.25, 22.50, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.35 დოკუმენტური ფილმი 20.00 მისტიკური დრამა "საამური ცხოვრება" 22.40 "პრესდაიჯესტი" 23.00, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.05, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.10 "ალტერნატივა" საავტორო გადაცემა 01.00 მხატვრული ფილმი "ჯეკნაიფი" 03.30 თრილერი "ვენდეტა"

**VII არხი**

09.15 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით 11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 12.00 კომპიუტერული ტექნიკა 12.45 "ბიორითმი" - ოლეგ გაზმანოვი . 13.05 მობილურები 13.50 დისნეი და მისი მეგობრები 14.10 კომპიუტერული თამაშები 14.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე 19.00 "აჩიკუდა" 19.40 მობილურები 20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.00 კომპიუტერული თამაშები 21.05 "ლა-ლა-ლა" 22.00 კომპიუტერული ტექნიკა 22.30 მელოდია 22.50 "კინოკლუბი " - "პირადი მცველი ქალიშვილისათვის". საფრანგეთი-პოლონეთი 1997 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ-მაჩეკ შუშინსკი როლებში: ბოგუსლავ ლინდა, ცეზარ ბანდურა 00.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 01.25 "ბიორითმი" - ოლეგ გაზმანოვი.

## ხუთშაბათი
### 6 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ბელფეგორი" 10.15 მხ. ფილმი "ორმაგი სიცოცხლე" 11.45 დოკ. სერიალი "მოდა ყველასათვის" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.00 "ნაშუადღევს" 14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი "წყვილები და დუეტები" 15.15 მხ. ფილმი "ქალები და მამაკაცები" 16.40 ფილმი-ბალეტი "კარმენი" 17.25 რამპა 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ჯანმრთელობა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 "საქართველო არის ესე" 22.10 "სატელევიზიო ჟურნალის ისტორია" 22.35 ტელესერიალი "ძილის წინ" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი "დედოფალი მარგო" 02.15 ქართული ენის გაკვეთილი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 ჰიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "საგანგებო მდგომარეობა 2"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "დატყვევებული გულები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.15 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.40 სერიალი "მედისონის სკოლა" 19.05 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 20.05 სერიალი "დატყვევებული გულები" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "ფანტომასი სკოტლენდ-იარდის წინააღმდეგ" 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.35 მხ. ფილმი "როგორ გახდე პრინცესა" 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები 13.10 მხ.ფ. "გვირაბი" 14.30 დოკ. ფილმი 15.20, 18.00 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 16.20 მულტფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.30 კონცერტი 21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით) 22.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "მზის დევნაში" 00.55 მხ.ფ. "ჰადსკერის ხელქვეითი" 02.10 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "შეთქმულების საიდუმლო" 14.30 მხ. ფილმი "სიჩქარე" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "რეალობა იკბინება" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "გოძილა"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.00 რუსული ენის გაკვეთილი 11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 მუსიკალური კოლაჟი 12.30, 22.00 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "ერთი ერთზე" 20.30 მულტფილმი 21.00 მსოფლიო სპორტი 23.30 მხ. ფილმი "რობინ ჰუდი. ქურდების პრინცი"

08.00 ტოროლა 11.00 განმ. ქართულ-უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა" 19.00 ინფორმატორი 19.15 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 მუსათეული მიქსი 22.00 ინფორმატორი 22.30 მუსიკა 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო "დიდი უსიამოვნებანი" მთ. როლ-ში ტიმ ალენი, რენე რუსო 01.45 ფილმი ღამურა "ვამპირები 2" მთ. როლში ჯონ ბონ ჯოვი 03.45 პაუზის გარეშე

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა 10.00 მულტსერიალი "ალექსი" 10.30 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 11.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი." 12.45 მხ. ფილმი "უსახო" 14.15 "ტელემეტრი" 14.45 "ევროპის სტადიონებზე" 15.15 დოკ. სერიალი "ცხოვრებისეული გამოცდილება" 15.45 მხ. ფილმი "ჩაშლილი საქმე" 18.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.40 მულტსერიალი "ალექსი" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 20.00 დოკ. ფილმი "მე რომ თქვენ მიყვარდეთ მარტო ეს არ მინდა" 1-ლი ნ. 21.00 მხ. სერიალი "ვი. აი. პი." 22.00 "ჩემი ქვეყანა" 22.15 მხ. ფილმი "კოლეჯი" 00.20 მხ. სერიალი "თოჯინების ველი" 00.45 მხ. ფილმი "დარტყმის ზონა"

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 მუსიკა 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 09.15 დოკუმენტური ფილმი 10.00 საბავშვო ფილმი "ოქროს კულულები" 11.25 დოკუმენტური ფილმი 12.20 თრილერი "ვენდეტა" 14.20 ისტორიული ფილმი "დაკები" 16.15 მულტფილმი 17.20 კომედია "იტალიელების არაჩვეულებრივი თავგადასავლები რუსეთში" 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.20, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.30 "პირისპირ" საავტორო გადაცემა 20.30 მელოდრამა "წარმატების ფასი" 22.45, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.00 დოკუმენტური ფილმი 01.00 ფანტასტიკური თრილერი "სასიკვდილო კავშირი" 03.30 მხატვრული ფილმი "სამოქალაქო სარჩელი"

**VII არხი**

09.10 მელოდია 09.25 "აჩიკუდა" 09.45 მობილურები 10.10 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით 11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 11.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 12.10 "ბიორითმი" - ოლეგ გაზმანოვი . 12.30 აუდიო-ვიდეო-ტელე 13.00 დისნეი და მისი მეგობრები 13.20 კომპიუტერული თამაშები 13.40 კომპიუტერული ტექნიკა 18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.40 აუდიო-ვიდეო-ტელე 20.20 კომპიუტერული თამაშები 20.25 ღამის კაპრიზი" - თემა: "სირცხვილია". 21.25 მობილურები 22.10 რაგბი - ზე12 - ბრიზბენი - კანბერა 23.40 "კინოკლუბი " - "ოცნება არ ვნებს". საფრანგეთი 1990 წელი. ტრაგიკომედია. რეჟისორი: პიერ რიშარი. როლებში- პიერ რიშარი [illegible] 01.05 კომპიუტ-[illegible] 01.35 "ბიორითმი" - ოლეგ გაზმანოვი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პარასკევი
### 7 მარტი

**07.30** ალიონი **09.45** მხ. ფილმი **"დედოფალი მარგო"** **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** "ნაშუადღევს" **14.05** "მხოლოდ კლასიკა" **15.15** მხ. ფილმი **"ქალები და მამაკაცები"** **16.35** დოკ. სერიალი "პალიტრა" **17.10 50-50 17.45** "ზუმი" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" **18.30** ბასტი-ბუბუ **18.50** "ენა დედაა ერისა" **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.50** "მრავარსახეობა" **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.00** "დღის ბოლოს" **00.00** მხ. ფილმი **"შესანიშნავი"**

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** საქართველო არის ესე **21.00** დოკ. ფილმი **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** ჰიტ. პარადი **22.20** მხ. ფილმი **"ამფეთქებელი"**

**07.00** მუსიკა **07.30** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ვის უნდა ოცი ათასი? **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **18.00, 21.00, 02.20** კურიერი **18.15** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **18.40** სერიალი **"მედისონის სკოლა"** **19.05** სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** **20.05** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** ხალხის პირისპირ **22.50** ღამის კურიერი **00.20** მხ. ფილმი **"საბედისწერო ქალი"** მთ. რ-ში: ანტონიო ბანდერასი **02.30** მხ. ფილმი **"მუმია ბრუნდება"** მთ. რ-ში: ბრენდონ ფრეიზერი **04.30** კლასიკა

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35** მხ. ფილმი **"მზის დევნაში"** **12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10** მხ. ფილმი **"ჰადსკერის ხელქვეითი"** **14.30** დოკ. ფილმი **15.20, 18.00** დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** **16.20** მულტფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.30** "ნათელი სახეები" **20.00** მხ.ფ. **"უიღბლოთა კლუბი"** **22.00** დიალოგი **00.55** მხ. ფილმი **"სახელგანთქმული"** **02.10** ღამის ფილმი

**12.00** მხ. ფილმი **"გოძილა"** **14.30** მხ. ფილმი **"სიჩქარე 2"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"გენერალი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"მაშველი"** **23.30** მხ. ფილმი **"რაშია საქმე დოკ"**

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **11.00** რუსული ენის გაკვეთილი **11.30** ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** მუსიკალური კოლაჟი **12.30, 22.00** სალონი **14.00** ექიმი გვირჩევს **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **18.30** რუსული ენის გაკვეთილი **19.00** ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** "მომავალი" **20.00** ტელესერიალი **"ჩრდილოეთი-სამხრეთი"** **21.30** კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება **22.30** "გამარჯობა" **23.15** ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი **"ურჩხული"**

**08.00** ტოროლა **11.00** განმ. მიქსი მუსათეული **11.45** მუსიკა **13.00** SMS შოუ **16.00** ფილმი **"ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი"** **19.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** რუსული მუსათეული **22.00** ინფორმატორი **22.30** პაპარაცი **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** ფილმი ბრავო **"ზღვარზე"** მთ. როლ-ში სილიენ მერფი, ტრიშა უესლი **02.15** ფილმი ღამურა **"ხანგრძლივი კოცნა ძილის წინ"** მთ. როლ-ში ჯინა დევისი, სამუელ ლ.ჯექსონი **03.45** პაუზის გარეშე

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.55, 23.40** მუსიკა **10.00** მულტსერიალი "ალექსი" **10.30** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **12.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** **12.35** მხ. ფილმი **"კოლეჯი"** **14.15** "ჩემი ქვეყანა" **14.45** დოკ. ფილმი "მე რომ თქვენ მიყვარდეთ მარტო ეს არ მინდა" 1-ლი ნ. **15.15** დოკ. სერიალი "ცხოვრებისეული გამოცდილება" **15.45** მხ. ფილმი **"დარტყმის ზონა"** **18.00** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **18.40** მულტსერიალი "ალექსი" **19.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **20.00** დოკ. ფილმი "მე რომ თქვენ მიყვარდეთ მარტო ეს არ მინდა" მე-2 ნ. **21.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** **22.00** "ტელემეტრი" **22.15** მხ. ფილმი **"უკვდავანი"** **00.20** მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** **00.45** მხ. ფილმი **"უცნაური რომანი"**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.30** დოკუმენტური ფილმი **10.00** საბავშვო ფილმი **"ადგილების შეცვლა"** **12.15** ფილმი-კატასტროფა **"რვაფეხა"** **13.50** დოკუმენტური ფილმი **14.00** დრამა **"პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი"** **15.50** დოკუმენტური ფილმი **16.15** მულტფილმი **17.30** კომედია **"ბრილიანტის პოლიციელი"** **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.20** «Ï ðåñ-ï àï üå» **19.25, 22.55, 00.40** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **19.40** დოკუმენტური ფილმი **20.00** სათავგადასავლო ფილმი **"ექვსი დღე და შვიდი ღამე"** **22.40** «Ï ðåñ-ï àï üå» **22.50** "გალერეა" **23.05, 00.45** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **23.10, 00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **23.15** "ალტერნატივა" საავტორო გადაცემა **01.00** მხატვრული ფილმი **"ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება"** **02.35** დოკუმენტური ფილმი **03.30** თრილერი **"მხედარი გვიახლოვდება"**

VII არხი

**09.15** მელოდია **09.35** "აჩიკუდა" **10.00** კომპიუტერული ტექნიკა **10.40** "ბიორითმი" - ოლეგ გაზმანოვი . **11.00** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **11.45** მობილურები **12.25** დისნეი და მისი მეგობრები **12.50** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **13.25** "მელოდია" **13.50** კომპიუტერული თამაშები **14.00** "მელოდია" **14.10** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.30** ამინდის პროგნოზი **19.35** ჰოროსკოპი **19.40** კომპიუტერული თამაშები **19.45** "ობიექტივი" -სტუმარი **20.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **21.00** მელოდია **21.30** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.10** რაგბი - ზე12 - ველტნგტონი -კეიპტაუნი **23.40** "კინოკლუბი " - **"ფანატი"**. ა.შ.შ. **1994** წელი. ცხოვრებისეული. რეჟისორი: მარტინ სკორცეზე. როლებში-რობერტ დენირო უესლი სნაიპსი **01.35** სპორტი **01.40** მობილურები **02.20** ბიორითმი" - ოლეგ გაზმანოვი

## შაბათი
### 8 მარტი

**08.00, 20.00, 00.45** მოამბე **08.15** "ზოოპარკი" **08.30** მხ. ფილმი **"შესანიშნავი"** **10.00** დილის პაემანი **11.05** "მხიარული კარუსელი" **11.35** მულტსერიალი "ბელფეგორი" **12.00** "ვიცი" **12.30** "მეტრო" **13.05** კვალი **13.35** სამეჯლისო ცეკვები **14.25** "საქართველო, დრო, მოვლენები" **15.15** მხ. ფილმი **"ულამაზესი"** **17.05** საწინდარი **17.40** რეალური სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.45** "თბილისის დროით" **19.05** "ენერგია" **19.35** "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" **20.35** სერიალი **"ქალები ზღვისპირეთში"** **21.25** "ფორტუნა" **22.00** ლიანა ისაკაძე **22.50** მხ. ფილმი **"ლიფტიდან ხელმარცხნივ"** **02.30** ღამის ჯაზი

**19.00** მულტფილმი **19.30** ორატორი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** "ახლო ხედი" **21.00** დოკ. ფილმი **21.40** მხ. ფილმი **"ალორძინების ხანის ადამიანი"** **00.05** ჰიტ-პარადი

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.20** მულტსერიალი **10.50** სერიალი **"ათასწლეული"** **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.45** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი **"კოლომბო"** **18.00, 01.00** კურიერი **18.20** სერიალი **"კოლომბო"** **18.45** სერიალი **"სახლი ძველ უბანში"** **19.15** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **20.05** სერიალი **"ჩინელი პოლიციელი"** **21.00** **კურიერი** P.S. **22.00** **ფსიქო**. მხ.ფ. **"ზაფხულის ვერტიკალზე"**. **00.15** მხ.ფ. **"დიდი ლუკმა"** მთ. რ-ში: ბრედ პიტი **02.15** ღამის ჯაზი

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35** მხ. ფილმი **"უიღბლოთა კლუბი"** **12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30** მუსიკა **12.40** მხ. ფილმი **"სახელგანთქმული"** **15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **15.20** დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** **16.30** მულტფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** გასართობი პროგრამა – მუსიკალურ ტალღაზე **01.30** მხ.ფ. **"სამი სეზონი"** **02.40** ღამის ფილმი

**12.00** მხ. ფილმი **"მაშველი"** **13.30** მხ. ფილმი **"რაშია საქმე დოკ"** **15.30** მხ. ფილმი **"უკიდურესი ზომები"** **17.30** მხ. ფილმი **"ვინ დაასმინა კურდღელი როჯერი"** **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი **"მამაცი გული"** **00.20** მხ. ფილმი **"ბნელი ისტორიები"**

**10.30** მულტფილმი **11.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **12.00** რუსული ენის გაკვეთილი **12.30** ინგლისური ენის გაკვეთილი **13.00** სალონი **14.30** ექიმი გვირჩევს **15.30** დოკ. ფილმი **16.00** ლაბირინთი **18.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს **19.00** რუსული ენის გაკვეთილი **19.30** ინგლისური ენის გაკვეთილი **20.00** თინეიჯერი **21.00** ცეროდენა ვარსკვლავები **22.00** "და ღმერთმა შექმნა ქალი" **22.30** საოცარი პირამიდა **23.30** თეატრალური შეხვედრები **00.30** მხ. ფილმი **"კარმენი"**

**09.00** განმ. რუსული მუსათეული **10.00** ტოროლა **13.00** განმ. უცნობი **14.00** SMS შოუ **17.00** ფილმი **"ოპერაცია "საილო"** მთ. როლ-ში დენი გლოვერი **19.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** უცხოური მუსათეული **22.00** ინფორმატორი **22.30** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** ფილმი ბრავო **"დათვის კოცნა"** მთ. როლში სერგეი ბოდროვი **01.50** ფილმი ღამურა **"ვირტუალობა"** მთ. როლ-ში დენზელ ვაშინგტონი **03.45** პაუზის გარეშე

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45** მუსიკა **10.00** მულტსერიალი "ალექსი" **10.30** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **12.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** **12.45** მხ. ფილმი **"კანონის დამცველი"** **14.15** "ტელემეტრი" **14.45** დოკ. ფილმი "მე რომ თქვენ მიყვარდეთ მარტო ეს არ მინდა" მე-2 ნ. **15.15** დოკ. სერიალი "ცხოვრებისეული გამოცდილება" **15.45** მხ. ფილმი **"უკვდავანი"** **18.00** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **18.40** მულტსერიალი "ალექსი" **19.00** გადაცემა "საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. ფილმი "მე რომ თქვენ მიყვარდეთ მარტო ეს არ მინდა" მე-3 ნ. **21.00** დოკ. მუს. ფილმი "შერილ ქროუ -როკ ვარსკვლავი" **22.00** მარიონეტების ფილმი **"ყორჩაღები"** 1-ლი ს. **22.15** კლუბი ყაზბეგი: 1. მხ. ფილმი **"დედამ ჯარისკაცის ჩექმა ჩაიცვა"** 77-83-28 2. მხ. ფილმი **"წნეხის ქვეშ"** 77-83-29 3. მხ. ფილმი **"მსხვერპლშეწირვა"** 77-83-30 **00.20** მხ. ფილმი **"ქარის ცხენი"**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.15** მულტფილმი **10.30** საბავშვო ფილმი **"პატარა პრინცესა"** **12.15, 16.15, 19.20** "სამყარო მშვენიერია" ბავშვები და ხელოვნება **12.25** დოკუმენტური ფილმი **13.00** მელოდრამა **"გაიცანით, ჯო ბლექი"** **16.25** მულტფილმი **17.25** კომედია **"მეხუთე ელემენტი"** **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "ყველანი ვართ პატარები" **19.40** ფანტასტიკა **"მოჩვენებებზე მონადირენი"** **21.20** "ქართული კინო" საავტორო გადაცემა **23.00** «Ñëî âî » საავტორო გადაცემა **00.40** დრამა **"პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი"** **03.30** ისტორიული ფილმი **"პატრიოტი"**

VII არხი

**17.10** მობილურები **17.50** მელოდია **18.00** რაგბი - **6** ერი - ირლანდია -საფრანგეთი **18.45** "აჩიკუდა **19.45** "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **19.50** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.25** "ღამის კაპრიზი" **21.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **21.45** "კინოკლუბი " - **"ცისფერი უფსკრული"** ა.შ.შ. **1991** წელი. სათავგადასავლო. როლებში: ჟან რენო **00.25** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი. **02.15** კომპიუტერული ტექნიკა

## კვირა
### 9 მარტი

**08.00** მოამბე **08.15** "ზოოპარკი" **08.25** მხ. ფილმი **"ლიფტიდან ხელმარცხნივ"** **10.00** "დილის პაემანი" **11.05** "დიდი დასვენება" **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** "სპა" **12.35** "პრეს-სტუდია" **13.25** მოსკოვი-თბილისი **13.55** "ღამის ჯაზი" **14.25** არათბილისური ამბები **15.00** საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე **15.15** სპექტაკლი "სამანიშვილის დედინაცვალი" **16.35** დოკ. სერიალი "კონტაქტი" **16.55** მულტსერიალი "ბელფეგორი" **17.20** საკვირაო გამოფენა **17.35** "ეძიე ქალი" **18.00** ტაიმ-აუტი **18.20** "ჩემპიონი" **18.50** "ეკოდაიჯესტი" **19.25** "ჩვენი მისამართია" **20.00** ტაიმ-აუტი **20.55** ტელესერიალი **"72 საათი"** **21.45** "ამბობენ" **22.15** მუსიკალური ოქტაგონი **23.00** კინოდარბაზი – **"სამშობლოს სახელით"** **00.30** ტაიმ-აუტი **01.00** მხ. ფილმი **"სიკვდილი ჰოლივუდში"**

**19.00** მხიარული კარუსელი **19.30** დიზაინი **19.50** მრავალსახეობა **20.30** ვიცი **21.00** მაღალი მოდის სამყარო (დოკ. ფილმი) **21.50** ვარსკვლავები გვამცნობენ **22.00** შვიდეული **23.00** მხ. ფილმი **"ჯონი მნემონიკი"** ჰიტ-პარადი

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.20** მულტსერიალი **10.50** სერიალი **"ათასწლეული"** **11.50** სიმფსონები **12.50** მხ.ფილმი **14.35** ველური ბუნება **15.05** მხ. ფილმი **17.00** სერიალი **"კოლომბო"** **18.00, 00.40** კურიერი **18.20** სერიალი **"კოლომბო"** **18.45** სერიალი **"სახლი ძველ უბანში"** **19.15** ველური ამბები **20.00** სერიალი **"ჩინელი პოლიციელი"** **21.00** კურიერი **22.25** ჩვენი ეზო **21.45** "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"ჰიპნოზის ქვეშ"** 8 77 45-79-25 ჯოდი ფოსტერი, ჯონ ლიტგი. **"რამდენიმე დღე"** 8 77 45-79-26, სანდრინ ბონერი, დენიელ ტეი **"ლურჯი წვერი"** 8 77 45-79-27 რიჩარდ ბარტონი, პეკელ უელი **23.50** მხ.ფ. **"ნათლია 3"** მთ. რ-ში: ალ პაჩინო, ენდი გარსია **02.00** კლასიკა.

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.20** აღსავალი **08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50** მუსიკა **08.30** ახალი ამბები **09.00** მხ. ფილმი **"სამი სეზონი"** **10.20** მულტფილმი **12.30** გადაცემა - მურადა (განმეორებით) **13.00** გასართობი პროგრამა – მუსიკალურ ტალღაზე **19.30** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"უგროშოდ ბევერლი ჰილზე"** **22.00** ტელე-სინე-ვიდეო **23.00** მხ.ფ. **"ხასიათი"** **01.00** ღამის ფილმი

**12.00** მხ. ფილმი **"მამაცი გული"** **15.15** მხ. ფილმი **"გონება და გრძნობა"** **17.15** მხ. ფილმი **"კლდე"** **19.00** ინდ. მხ. ფილმი **"სიყვარულის მაგია"** **22.00** მხ. ფილმი **"ხმელთაშუა ზღვა"** **00.10** მხ. ფილმი **"მუშკეტერი"**

**11.00** ცისკრის ზარები **11.05** ტელესერიალი **"ჩრდილოეთი-სამხრეთი"** **12.00** თეატრალური შეხვედრები **13.25** თბილისური ოჯახები **14.10** მხ. ფილმი **"ბრიუსი სუპერმენის წინააღმდეგ"** **16.00 - 18.00** რელიგიის საათი **18.00** დოკ. ფილმი **19.00** კითხვების კორიანტელი **19.20** მუსიკალური კოლაჟი **20.00** შეხვედრა ვარსვლავთან **20.20** მოგზაურობა ბავშვობაში **20.40** თავისუფალი მიკროფონი **20.50** თქვენი აზრით **21.00** ტელესერიალი **"ჩრდილოეთი-სამხრეთი"** **22.00** "იდენ-ტვ" **22.30** საოცარი პირამიდა **23.30** მხ. ფილმი **"დოლორეს კლეიბორნი"**

**10.00** ტოროლა **13.00** განმ. უცხოური მუსათეული **14.00** SMS შოუ **17.00** ფილმი **"უკან დედამიწაზე"** მთ. როლ-ში კრის როკი. **19.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30** ვიდეორადიო **21.00** ქართული მუსათეული **22.00** ინფორმატორი **22.30** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** ფილმი ბრავო **"ესაუბრე მას"** მთ. როლ-ში ლეონორ უოტლინგი **01.40** ფილმი ღამურა **"დეტოქსიკაცია"** მთ. როლ-ში სილვესტერ სტალონე **03.45** პაუზის გარეშე

**09.30** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45** მუსიკა **10.00** მულტსერიალი "ალექსი" **10.30** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **11.00** გადაცემა "საუბრები სტუდიაში" **12.00** მულტფილმი "კასპერი-მოჩვენებების შობა" მე-2 ნ. **13.00** რუს. მხ. ფილმი **14.45** დოკ. ფილმი "მე რომ თქვენ მიყვარდეთ მარტო ეს არ მინდა" მე-3 ნ. **15.15** მხ. ფილმი **"დედამ ჯარისკაცის ჩექმა ჩაიცვა"** **17.00** მხ. ფილმი **"ქარის ცხენი"** **19.00** გადაცემა "ბელისიმო" **19.30** გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი" **20.00** გადაცემა "ოსტატები" **20.40** დოკ. სერიალი "ფოტორობოტი" მე-3 ს. **22.00** მარიონეტების ფილმი **"ყორჩაღები"** მე-2 ს. **22.15** მხ. ფილმი **"ბილიარდომანები"** **00.20** მხ. ფილმი **"სიღრმეში"**.

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.15** საავტორო გადაცემა საბავშვო ფილმი **"მელი"** **10.45** "ყველანი ვართ პატარები"" **11.00** «Ñëî âî » საავტორო გადაცემა **12.10** ისტორიული ფილმი **"პატრიოტი"** **14.45** სათავგადასავლო ფილმი **"მოუხელთებელი შურისმაძიებლები"** **16.15** მულტფილმი **17.25** სათავგადასავლო ფილმი **"გატაცება 60 წამში"** **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20** დოკუმენტური ფილმი **20.00** კომედია **"წმინდანი"** **22.30** «Í î âî ñòè â âî ñêðåñåíüå» **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.30** «Í î âî ñòè â âî ñêðåñåíüå» **01.00** მელოდრამა **"პრინცესა ფეტვის მარცვალზე"** **03.30** მელოდრამა **"თუნუქის თასი"**

VII არხი

**16.50** "ლა-ლა-ლა" **17.40** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **18.00** ევროპული ფეხბუთი **19.00** "აჩიკუდა" **19.50** კომპიუტერული თამაშები **20.00** ავტოტრეკინგი **20.35** "კინოკლუბი " - **"ნათლიმამა-1"** ა.შ.შ. **1972** წელი. სათავგადასავლო .რეჟ-ფრენსის ფორდ კოპოლა როლებში: ალ პაჩინო **23.25** კომპიუტერული თამაშები **23.30** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი. **00.20** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა **01.20** კომპიუტერული ტექნიკა

## [illegible]



**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი**
რუსთაველის 25. ტ.99-65-66

07.03 (18.00) ბადრი მაისურაძის (დიდი თეატრი, მოსკოვი) გასტროლი. ჯუზეპე ვერდი "ბალ-მასკარადი". ოპერა ოთხ მოქმედებად. [illegible] - თამაზ ჯაფარიძე.

09.03 (12.00) ჯაკომო პუჩინი "ტოსკა". ოპერა სამ მოქმედებად. [illegible] - გიორგი ჟორდანია.

*ფასი 2-5 ლარი.*

**[illegible]**
[illegible] "[illegible]" [illegible].
[illegible]: 93-11-06

08.03, 09.03 (14.00) საბავშვო ზღაპარი "ყველაზე დიდი სასწაული". დამდგმელი რეჟისორი _ ავთანდილ ვარსიმაშვილი.

06.03 (19.00) ევრიპიდე, ჟან ანუი "მედეა". დამდგმელი რეჟისორი _ გოჩა კაპანაძე.

07.03 (19.00) ავთანდილ ვარსიმაშვილი "პროვოკაცია". დამდგმელი რეჟისორი _ ავთანდილ ვარსიმაშვილი.

05.03 (19.00) ფედერიკო გარსია ლორკა "სისხლიანი ქორწილი". დამდგმელი რეჟისორი _ გოჩა კაპანაძე.

08.03, 09.03 (19.00) ჯოზეფ ოზბორნი "კომედიანტები". დამდგმელი რეჟისორი _ ავთანდილ ვარსიმაშვილი.

*ფასი 5 ლარი.*

მუნიციპალური „მეტეხის თეატრი"

**თეატრი "ძველი სახლი"**
**თბილისის მუნიციპალური**
**"მეტეხის თეატრი"**
მეტეხის აღმართი №1 ტ.77-04-64

თეატრი "ძველი სახლი"

04.03, 08.03 (18.00) თეოდორ დოსტოევსკი "იდიოტი". დამდგმელი რეჟისორი - სანდრო მრევლიშვილი.

05.03 (18.00) აზიზ ნესინი "მომკალ-მომკალ..." დამდგმელი რეჟისორი - ლევან კუჭაიძე.

07.03 (18.00) რევაზ კლდიაშვილი "როსტომ მანველიძე" (დავით კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით). დამდგმელი რეჟისორი - სანდრო მრევლიშვილი.

*ფასი 2-3 ლარი.*

**თეატრალური სარდაფი**
რუსთაველის გამზ. 42. ტ. 99-95-00

03.03 (20.00) თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა სპექტაკლი. ედე ფილიპო. "ცილინდრი". დამდგმელი რეჟისორი - გიორგი სავანელი.

04.03 (20.00) რალფ კნიგი "ET SETERA". დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე.

05.03 (20.00) ნანა ჯანელიძე "FM-90-იანი, ხმა ადამიანისა". დამდგმელი რეჟისორი - ნანა ჯანელიძე.

06.03, 07.03 (20.00) ნინო ბასილია "თაგვი". დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე.

08.03 (20.00) ჟან-ჟაკ ბრიკერი, მორის ლეგასი "ინსტინქტი". დამდგმელი რეჟისორი - ოთარ ეგაძე.

09.03 (20.00) ბომარშე "ფიგაროს ქორწინება". დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე.

*[illegible] 5 [illegible].*

**[illegible]**
[illegible]. [illegible] [illegible]. 10

შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლები

07.03, 08.03 (18.00) ლაშა თაბუკაშვილი "მერე რა, რომ სველია სველი იასამანი". დამდგმელი რეჟისორები _ რობერტ სტურუა, დავით ხინიკაძე.

09.03 (18.00) უილიამ შექსპირი "ჰამლეტი". დამდგმელი რეჟისორი _ რობერტ სტურუა.

*[illegible] 5-10 [illegible].*

**ვაკის სარდაფი**
ჭავჭავაძის. 32. ტ. 91-27-78

01.03-07.03 (20.00) უილიამ შექსპირი "ვენეციელი ვაჭარი". დამდგმელი რეჟისორი - ლევან წულაძე.



**კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი**
მარჯანიშვილის ქ. 8 95-55-00

07.03 (18.00) იასმინა რეზა "ART" "ხელოვნება". დამდგმელი რეჟისორი - თემურ ჩხეიძე.

02.03 (18.00) ჟან მასინი "მაყურებლისათვის ამის ნახვა აკრძალულია". დამდგმელი რეჟისორი - დათო დოიაშვილი.

09.03 (18.00) მიხეილ ბულგაკოვი "პილატე". დამდგმელი რეჟისორი - თემურ ჩხეიძე.

*ფასი 2-5 ლარი.*

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ადამიანი დროში

# მადლობა... არასპორტული საქციელისთვის

**გასული საუკუნის 60-იან წლებში მრავალმა ქართველმა კალათბურთელმა ჩაწერა სახელოვანი ფურცლები ჩვენი ქვეყნის სპორტულ მატიანეში. ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა გახლდათ ამირან სხიერელი, 1965 წლის ევროპის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონთა თასისა და საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, საკავშირო ჩემპიონატების ოქროსა და ბრინჯაოს მედალოსანი, რომელიც 1941 წლის 21 იანვარს ონში დაიბადა.**

**ბატონ ამირანს ამას წინათ ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში შევხვდი. იგი ეროვნული ჩემპიონატის თითქმის ყოველ მატჩს ესწრება და თავგადაკლული ქომაგობს თბილისის „დინამოს".**

**— სხვაგვარად როგორ შემიძლია, — მითხრა ბატონმა ამირანმა. — ჯერ ერთი, რომ ჩემი სიყმაწვილის საუკეთესო წლები ამ გუნდში გავატარე. ესეც არ იყოს, დღეს „დინამოს" მთავარი მწვრთნელია ყოფილი თანაგუნდელი და მეგობარი ლევან მოსეშვილი, ხოლო კლუბის პრეზიდენტი გახლავთ ჩემი ვაჟიშვილი — ამირან სხიერელი.**

**— რით დაიწყო თქვენი სპორტული ბიოგრაფია?**

— რომ გითხრათ, პატარაობიდანვე სპორტით ვიყავი გატაცებული-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ჩემი მეგობრები ჭიდაობაზე დადიოდნენ, მაგრამ ვერაფრით გადამიბირეს. მეშვიდე კლასში ვიყავი, უცებ რომ ავიყარე ტანი. ფიზკულტურის მასწავლებელმა ტიტე ბერიშვილმა კალათბურთის სექციაში ჩამწერა. იქიდან „მოვიწამლე" სპორტით და ეს სიყვარელი დღემდე შემომრჩა.

**— დიდ კალათბურთში ვინ დაგაკვალიანათ?**

— მახსოვს, 1957 წელს რაიონის გუნდის შემადგენლობაში საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე ვითამაშე სოხუმში. ეტყობა, მაშინ მოვეწონე მწვრთნელებს, რადგან ორი წლის შემდეგ ონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, ცნობილმა მოჭიდავემ შურა მაისურაძემ თბილისში ჩამომიყვანა და „დინამოს" მთავარ მწვრთნელს გიორგი ავალიშვილს მიმაბარა. დილის 8 საათზე მივდიოდი მაშინდელ ლენინის დარბაზში სავარჯიშოდ. 10 საათიდან იქაურობა ძირითად შემადგენლობას ეთმობოდა. ახალგაზრდები ტრიბუნებიდან ვადევნებდით თვალს მათს წვრთნას და მთავარ გუნდში მოხვედრაზე ვოცნებობდით.

**— როდის აისრულეთ გულის წადილი?**

— გიორგი ავალიშვილმა 1960 წელს საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში რამდენჯერმე მათამაშა ძირითად შემადგენლობაში. უფრო სტაბილურად 1961 წლიდან დავიმკვიდრე ადგილი მას შემდეგ, რაც „დინამოში" მთავარ მწვრთნელად მოვიდა ოთარ ქორქია, ქართული კალათბურთის ბერმუხა, რომელსაც წლების განმავლობაში როგორც თბილისის „დინამოსთვის", ისე საბჭოთა ნაკრებისთვის მოჰქონდა სახელი და დიდება.

**— საკალათბურთო კარიერაში ყველაზე მეტად რომელი გამარჯვება დაგამახსოვრდათ?**

— განსაკუთრებით 1962 წელს ჟენევაში ევროპის ჩემპიონთა თასის მოპოვება მინდა გამოვყო. მერვედფინალსა და მეოთხედფინალში რუმინელებსა და თურქებს ოთხივე შეხვედრა მოვუგეთ. ყველას გასაკვირად, ნახევარფინალში ცსკა-ც დავჯაბნეთ ორივე მატჩში. მერე გავიგეთ, მადრიდელებს ჩვენი ფინალისტობა რომ შეუტყვიათ, თურმე, წინასწარ ზეიმობდნენ გამარჯვებას.

ჟენევაში რომ ჩავედით, იქ ერთ პატარა სასტუმროში დავბინავდით. მატჩის დაწყებამდე კარგა დრო იყო დარჩენილი. მე და რამდენიმე თანაგუნდელი სასტუმროს წინ ვისხედით და ვსაუბრობდით. ვხედავ, ერთი ქალბატონი მოდის ორ გოგონასთან ერთად, რომ მოგვიახლოვდა, სიმღერა წამოიწყო ქართულად: „ორი ქოთანი ვიყიდე, ვაი, ვაი, ყურიანი და უყურო, ვაი, ვაი". იყო ჩვენი ჭაბუკობისას ასეთი სიმღერა. იმ ქალს გოგონებიც აჰყვნენ. გაოგნებულები ვუყურებდით ბიჭები ერთმანეთს. მერე ეს ქალი გამოგვემცნაურა. გერმანელი ყოფილა, დმანისში უცხოვრია და შემდეგ ჟენევაში გადასახლებულა ოჯახთან ერთად. ჩვენი ჩასვლის ამბავი გაზეთებით შეუტყვია და მოგვაკითხა. გამომშვიდობებისას გვითხრა, დღევანდელ მატჩზე ბევრნი მოვალთ თქვენს საქომაგოდ და, იმედია, არ შეგვარცხვენთო.

ტრავმის გამო „რეალთან" არ მითამაშია, ამიტომ უფრო მეტი საშუალება მქონდა, თვალყური მედევნებინა როგორც გულშემატკივრის რეაქციისთვის, ისე ორთაბრძოლისთვის. თავიდან გამაყრუებელი ყიჟინითა და შეძახილებით თითქმის მთელი დარბაზი „რეალს" ქომაგობდა. მერე, ჩვენი ბიჭების ლამაზი თამაში რომ იხილეს, მაყურებელთა ნახევარზე მეტი „დინამოს" უჭერდა მხარს.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ესპანელებიც დავჩაგრეთ და დამსახურებულად მოვიპოვეთ ევროპის ჩემპიონთა თასი.

**— სხვაც ბევრი გექნებათ ტკბილად მოსაგონარი...**

— რამდენიც გნებავთ. აი, თუნდაც 1968 წელი, როცა თბილისის „დინამომ" საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა, მომდევნო წელს კი ზედიზედ ვძლიეთ კიევის არმიის სასპორტო კლუბს, მოსკოვის „დინამოს", კიევის „სტროიტელს" და საკავშირო თასი დავიმსახურეთ. ორი წლით ადრე მესამე ადგილი დავიკავეთ საბჭოთა კავშირის ქალაქების ნაკრები გუნდების ტურნირზე, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა საკავშირო ჩემპიონატებს. 1965 წელს კი მე და ზურაბ საკანდელიძემ ევროპის ჩემპიონობა მოვიპოვეთ.

ერთი ეპიზოდიც მინდა გავიხსენო: ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩს უნგრელი მსაჯი კაშაი ემსახურებოდა. მისი სიმპათიები უფრო იუგოსლავთა მხარეს იხრებოდა, მაგრამ ის ორთაბრძოლა მაინც მოვიგეთ. იმავე წელს საკავშირო ნაკრებთან ერთად ამერიკაში გავემგზავრე ამხანაგური მატჩების გასამართავად. ერთ-ერთი შეხვედრის არბიტრად ისევ ის უნგრელი დანიშნეს. რატომღაც, მოსკოვიდანვე ვყავდი ათვალწუნებული და იქ — ოკეანისგაღმა ხომ საერთოდ გასაქანი არ მომცა. სრულიად უწყინარ სიტუაციაში, როცა ორთაბრძოლას ქულით ვიგებდით, დამაჯარიმა. წარმოიდგინეთ, რაჭველი კაცი წონასწორობიდან რომ გამოვა. მივვარდი კაშაის, ვუყვირე, ამიხსენი, რად მაჯარიმებ-მეთქი. მან ხელით ისეთი ჟესტი მაჩვენა, რომ ვერ მოვითმინე, პირიდან სასტვენი წავგლიჯე და ტრიბუნებისკენ მოვისროლე. უნგრელის რეაქციამაც არ დააყოვნა — ტექნიკური ჯარიმაც მომცა.

ის მატჩი ქულით წავაგეთ. გასახდელში თვალებს ვერ ვუსწორებდი ბიჭებს. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი რომ შემოვიდა, ფეხზე წამოვდექი და თავჩაქინდრულმა პატიება ვთხოვე. ამხანაგო სხიერელო, თქვენ არასპორტული საქციელისთვის კი არა, იმისთვის უნდა დაისაჯოთ, ის კაშაი ლურსმანივით რომ არ ჩაარჭვეთო იატაკში, — მითხრა ღიმილით და მხარზე ხელი მომითათუნა. ალბათ, საბჭოთა სპორტის ისტორიაში ეს იყო ერთ-ერთი გამონაკლისი შემთხვევა, როცა სპორტსმენი არასპორტული საქციელისთვის არ დასაჯეს.

**— გული თუ დაგწყვეტიათ რამეზე?**

— უკვე გითხარით, რომ მადრიდის „რეალთან" ფინალური მატჩი ვერ ვითამაშე ტრავმის გამო. იგივე განმეორდა 7 წლის შემდეგაც: მოსკოვში საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი შეხვედრისას ფეხი დავიზიანე და ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალში ვერ მივიღე მონაწილეობა, ის ორთაბრძოლა თბილისის „დინამომ" პრაღის „სპარტასთან" 6 ქულით დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა.

**— აქტიურ კალათბურთს როდის დაანებეთ თავი?**

— 1973 წელს. მერე „დინამოში" მეორე მწვრთნელად 8 წელიწადი ვიმუშავე. 1977 წელს საბჭოთა კავშირის II ახალგაზრდულ თამაშებზე საქართველოს ნაკრებს ვხელმძღვანელობდი. კარგი ბიჭები გვყავდა: ნიკოლოზ დერიუგინი, როლანდ გარუჩავა, ვლადიმერ ძიძიგური, კოკა ჯორჯიკია, გოჩა ბაბუნაშვილი, კახა ლომიძე და სხვები. ფინალში ტურნირის ფავორიტ უკრაინის ნაკრებს მოვუგეთ და ჩემპიონობა მოვიპოვეთ.

**— ახლა რას საქმიანობთ?**

— განათლებით იურისტი ვარ. ორ ათეულ წელზე მეტ ხანს შინაგან საქმეთა ორგანოებში ვიმუშავე. შარშან პენსიაზე გავედი. შინ ერთი წლის შვილიშვილი მყავს — სალომე და საღამოობით მას ვეთამაშები. დღე კი — ჯან-ღონეს არ ვუჩივი და ვცდილობ, ჩემი ასაკისთვის შესაფერის საქმეს მოვკიდო ხელი.

**— კალათბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ხშირად გხედავთ...**

— პროფესიული ინტერესია. გული შემტკივა ქართულ კალათბურთზე. ისიც ხომ გითხარით, რომ ჩემი ვაჟი ამირანი „დინამოს" კლუბის პრეზიდენტია. პატარაობისას „მართვეში" ვარჯიშობდა თამაზ ოქრუაშვილის ხელმძღვანელობით, „დინამოშიც" იყო, მაგრამ გამუდმებულმა ტრავმებმა ხელი შეუშალა, დიდი კალათბურთი ეთამაშა. ჩემგან განსხვავებით, ჯერჯერობით პროფესიას არ ღალატობს. ლევან მოსეშვილთან ერთად ცდილობს, უწინდელი დიდება დაუბრუნოს „დინამოს". დღეს ქართულ კალათბურთში კარგი თაობა იზრდება და, სათანადო დაფინანსება თუ იქნა, ჩვენი ბიჭები საერთაშორისო სარბიელზე გვასახელებენ.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**







**სურათებზე: უტევს ამირან სხიერელი; სათადარიგოთა სკამიდან ამირან სხიერელი (მარჯვნივ) და ლევან მოსეშვილი რჩევას აძლევენ შეგირდებს; რძალთან და შვილთან ერთად.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## მხოლოდ შედეგები

### კალათბურთი

<u>**საქართველოს ჩემპიონატი.**</u> **ვაჟები.** აკადემია — თსუ 89:87, „ბასკო" — სსუ 112:65, „დინამო" — „ქუთაისი" 91:46, სტუ — „მაქაბი" 102:78.

### ფეხბურთი

<u>**გერმანია.**</u> „ნიურნბერგი" — „ვოლფსბურგი" 1:1, „კოტბუსი" — „ბაიერნი" 0:2, „ლევერკუზენი" — „ვერდერი " 3:0, „ბოხუმი" — „ჰანოვერი" 1:2, „გლადბახი" — „შალკე" 2:2, „ბორუსია" — „ჰანზა" 2:0, „მიუნხენი" — „კაიზერსლაუტერნი" 0:0.

<u>**ინგლისი.**</u> „ნიუკასლი" — „ჩელსი" 2:1, „ფულჰემი" — „სანდერლენდი" 1:0, „მიდლსბრო" — „ევერტონი" 1:1, „ბლექბერნი" — „სიტი" 1:0, „ვესტ ჰემი" — „ტოტენჰემი" 2:0, „საუთჰემპტონი" — „ვესტ ბრომვიჩი" 1:0.

<u>**იტალია.**</u> „ბრეშია" — „ბოლონია" 0:0, „პარმა" — „მოდენა"" 1:1.

<u>**ესპანეთი.**</u> „ალავესი" — „რეალი" 1:5, „ესპანიოლი" — „მალიორკა" 2:0, „ბილბაო" — „უელვა" 2:3.

<u>**საფრანგეთი.**</u> „ბორდო" — „სოშო" 2:0, „აიაჩო" — „ლანსი" 0:0, „ჰავრი" — „ბასტია" 2:0, „ნიცა" — „ნანტი" 1:1, „მონპელიე" — „გენგამი" 2:0, „სტრასბური" — „მარსელი" 0:0, „რენი" — „სედანი" 1:0, „ლილი" — „მონაკო" 1:3, „პარი სენ-ჟერმენი — „ტრუა" 4:2.

<u>**შოტლანდია.**</u> „ჰართსი" — „მოზერუელი" 2:1, „დანდი იუნაიტედი" — „დანფერმლაინი" 3:0, „პარტიკი" — „დანდი" 1:3, „კილმარნოკი" — „აბერდინი" 2:0.

<u>**პორტუგალია.**</u> „ბელენენსეში" — „სპორტინგი" 1:1, „ლეირია" — „სეტუბალი" 1:1, „მარიტიმუ" — „სანტა კლარა" 1:1.

<u>**ჰოლანდია.**</u> „ჰერენვენი" — „ეინდჰოვენი" 0:1, „ტვენტე" — „ალკმაარი" 0:0, „ექსცელსიორი" — „ვალვაიკი" 1:2.

<u>**ჩეხეთი.**</u> „ბანიკი" — „სპარტა" 3:2.



<u>**ბელგია.**</u> „ლიერსი" — „გენტი" 2:1, „მონსი" — „მუსკრონი" 2:0, „ბერსხოტი" — „ვესტერლო" 1:1, „ლომელი" — „ბევერნი" 3:2.

<u>**ავსტრია.**</u> „ადმირა" — „ბრეგენცი" 1:0, „რიდი" „რაპიდი" 0:0, „კერნტენი" — „პაშინგი" 0:1, „აუსტრია" — „ზალცბურგი" 1:0.

<u>**შვეიცარია.**</u> „ქსამაქსი" — „ბაზელი" 3:1, „დელემონი" — „ლუგანო" 1:1, „არაუ" — „სიონი" 3:0.

<u>**საბერძნეთი.**</u> „იანინა" — „პანიონიოსი" 1:2, „ირაკლისი" — „ეგალეო" 2:1, „ქსანტი" — „არისი" 0:2.

<u>**თურქეთი.**</u> „ბურსა" — „ისტანბული" 1:2, „ალთაი" — „გაზიანთეფი" 0:0, „გენჩლერი" — „ტრაბზონი" 2:1, „ქოჯაელი" — „გალათასარაი" 0:1.

**საქართველოს თასის 1/8 ფინალის კენჭისყრა.**

<u>**5-9 მარტი.**</u> „დინამო" — „ბათუმი", „ლოკომოტივი" — „ოლიმპი", ვიტ ჯორჯია" — „მერცხალი", „კოლხეთი" — „სიონი", „ქობულეთი" — „დილა", „გურია" — „მილანი".

<u>**6-10 მარტი.**</u> ჭაბუკთა ნაკრები — „ტორპედო", დინამო 2" — „სპარტაკი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

**კონტაქტები**

# ქართულ-არგენტინული სამომავლო პროექტი

**ახლახან არგენტინიდან დაბრუნდა საქართველოს კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარე ნიკო პატარქალიშვილი, რომელმაც სამხრეთამერიკელ კოლეგებთან ერთად მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაიფიქრა და, მისივე თანხმობით, დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ.**

## ვაჭრობა

უპირველესად, მცირე ექსკურსი ახლო წარსულში: რამდენიმე ათეული წლის წინათ დიად საბჭოეთს მჭიდრო სამეურნეო ურთიერთობა აკავშირებდა ამ ქვეყანასთან. მეტიც, ზუსტად ნახევარი საუკუნე გვაშორებს იმ დღეს, როცა დედამიწის მეექვსედზე გადაჭიმულმა უზარმაზარმა სახელმწიფომ სწორედ არგენტინასთან, პირველ ქვეყანასთან შორეული კონტინენტიდან, ოფიციალურად გააფორმა ორმხრივად ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულება. ბუნებრივია, ეს კონტაქტები ქართულ ტრადიციებსაც ითვალისწინებდა და ისეთ მამაპაპურ დარგებზე აისახებოდა, როგორიცაა მეღვინეობა, კვების მრეწველობა და სხვ.

დაგვეთანხმებით, ჩვენთვის, დღეს უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის, კიდევ უფრო აქტუალურია აღნიშნული პარტნიორობის აღდგენა და განვითარება, რაშიც დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ფოთისა და ბათუმის პორტებს. აი, სწორედ ამ საშვილიშვილო იდეის განხორციელება დაუსახავთ მიზნად ბატონ ნიკოსა და მის კოლეგებს. თუ კონკრეტულად როგორ, ამას ახლავე შეიტყობთ: ეს გახლავთ ქართული კულტურისა და სპორტის დღეების ორგანიზება არგენტინაში, სავარაუდოდ, წლეულს ივლისში.

## სპორტი

მოგეხსენებათ, არგენტინელთათვის, ჩვენს მსგავსად, ფეხბურთი სპორტის საკულტო სახეობაა. ჰოდა, უკეთეს საბაბს ხიდის გასადებად ძნელად თუ ინატრებს კაცი. რაღა გასაკვირია, რომ მომავალ პროექტში განსაკუთრებული როლი ეკისრება საქართველოს ეროვნული ნაკრების ან რომელიმე კლუბის (ეს მოგვიანებით დაზუსტდება) ორ ან სამმატჩიან ტურნეს. სხვათა შორის, აღნიშნული საკითხის მოგვარებაში აქტიურად ჩაება არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისა და ფიფას ვიცეპრეზიდენტის ხულიო გრონდონას ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი და საქმიანი პარტნიორი.

სიამოვნებით შეგვიძლია გაუწყოთ, რომ ამ პროექტში მონაწილეობაზე თანხმობა უკვე განაცხადა ჭადრაკის ცოცხალმა ლეგენდამ ნონა გაფრინდაშვილმა, რომელიც ერთდროული თამაშის სეანსებს 20 დაფაზე გამართავს. მომავალი დღეების პროგრამაში სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლების ჩართვაცაა ნავარაუდევი.

## კულტურა

ჯერჯერობით მხოლოდ ისაა დაზუსტებული, რომ ქართული კულტურისა და სპორტის დღეების საზეიმო გახსნის ცერემონიალში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა ხალხური ცეკვის ანსამბლი „მამული“ იქნება. თუ ვის ხვდება პატივი, მასთან ერთად წარადგინოს სამშობლო სამხრეთ ამერიკაში, მალე გამოიკვეთება და ჩვენც სიამოვნებით მოგაწვდით ინფორმაციას.

სამაგიეროდ, უკვე გადაწყვეტილია, რომ ჩვენს სადარბაზო ბარათად ეროვნული სამზარეულოს, ქართული ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარდგენა იქცევა. საამისოდ აღიარებული ავტორიტეტიც არის შერჩეული — პროფესიონალი შეფ-მზარეული ბატონი გრიგოლ გაგნიძე. ვიმედოვნებთ, მას მხარს სახელოვანი ქართული ფირმების მესვეურებიც აუბამენ, რაც მათი პროდუქციის რეკლამის ბრწყინვალე საშუალებაც იქნება.

დასასრულ, დავძენთ, რომ მალე თბილისში აღნიშნული ღონისძიების საორგანიზაციო კომიტეტი შეიქმნება, რომელიც პრობლემატურ საკითხებს მოაგვარებს.

**სურათზე: ნიკო პატარქალიშვილი (მარჯვნივ) და მისი ერთ-ერთი საქმიანი პარტნიორი, არგენტინის საფეხბურთო მწვრთნელთა ასოციაციის გენერალური მდივანი ვიქტორიო ნიკოლას კოკო.**



**ჭადრაკი**



# დაბრუნება ათი წლის შემდეგ

იყო დრო, მოჭადრაკე დები — ნინო და ქეთევან მელაშვილები წარმატებით გამოდიოდნენ საქართველოს ჩემპიონატებში, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებშიც არაერთხელ უსახელებიათ თავი. მერე კი თვალს მიეფარნენ — მათ შესახებ არაფერი ისმოდა. და აი, უფროსი და — **ნინო მელაშვილი** კვლავ გამოჩნდა ასპარეზზე: წლის დასაწყისში მან საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში — II-IV ადგილები გაიყო და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

**სადარბაზო ბარათი.**

**დაიბადა 1961 წლის 4 ოქტომბერს თბილისში. ჭადრაკის თამაში დაიწყო 8 წლისამ შოთა ინწკირველის ხელმძღვანელობით. სხვადასხვა დროს ავარჯიშებდნენ იური ჩიქოვანი და ოთარ თურქესტანიშვილი. ეროვნული ოსტატია. 1977 წელს საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა ქალთა შორის, მომდევნო წელს II-IV ადგილები გაიყო, მოიგო ბრაშოვის საერთაშორისო ტურნირი. 1979 წელს სპორტსაზოგადოებების საკავშირო თასის გათამაშებაზე გუნდური მესამე ადგილი დაიკავა „დინამოს“ შემადგენლობაში. ამავე საზოგადოების ჩემპიონობა მოიპოვა 1980 წელს. არაერთხელ იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პრიზიორი, 1988 წელს კი სსრკ შეიარაღებული ძალების პირველობაზე III ადგილი დაიკავა.**

**ჰყავს ორი ვაჟიშვილი.**

— ათი წელიწადია, ტურნირებში არ მითამაშია, — მითხრა ქალბატონმა ნინომ, — ვიფიქრე, რაღა დროს ჩემი ჭადრაკია-მეთქი, მაგრამ დამ და მეგობრებმა შემაგულიანეს, მათ შორის — ნინო გურიელმაც. მე და ქალბატონი ნინო ბავშვობიდან ვმეგობრობთ, ინწკირველთანაც ერთად ვმეცადინეობდით. ასე დავბრუნდი და აღმოვჩნდი ეროვნულ ჩემპიონატში.

**— თქვენ საკმაოდ ძლიერ მოჭადრაკედ ითვლებოდით. რამ გამოიწვია ეს ხანგრძლივი პაუზა?**

— 1985 წელს გავთხოვდი, მერე ორი შვილი შემეძინა. ოჯახი და ბავშვები თავისას ითხოვდნენ და შეჯიბრებებში მონაწილეობას ვერ ვახერხებდი. თუმცა, ჭადრაკისთვის საერთოდ თავი არ მიმინებებია. აგერ, ხუთი წელიწადია, სკოლა-გიმნაზია „გორდაში“ (დირექტორი — ფიქრია აფხაზავა) ჭადრაკს ვასწავლი დაწყებითი კლასების მოსწავლეებს. ვგრძნობ მათ ინტერესს და მეც სიამოვნებით ვმუშაობ ნორჩებთან.

**— თქვენს შვილებსაც თუ უყვართ ჭადრაკი?**

— უფროსი ვაჟი ტატო წლეულს ამთავრებს სკოლას. მას ჭადრაკისკენ მიდრეკილება არასდროს ჰქონია. აი, ბექა კი, რომელიც ახლა მე-7 კლასშია, კარგი მონაცემებით გამოირჩეოდა. 5 წლის იყო, ერთ-ერთ ტურნირში ყველა მეტოქე რომ დაამარცხა, მათ შორის — უფროსებიც. მერე რატომღაც ფოლკლორული ანსამბლით დაინტერესდა...

**— ჩემპიონატში მონაწილეთა უმრავლესობა თქვენი უფროსი ვაჟის ტოლია, არ გეხამუშებათ მათთან თამაში?**

— საჭადრაკო დაფასთან რომ ვჯდები, მეტოქის წლოვანებაზე არ ვფიქრობ. ისე კი, მინდა ვთქვა, რომ ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს. თეორიებსაც კარგად იცნობენ. მართალი გითხრათ, დებიუტში საკმაოდ მიჭირს მათთან თამაში, სამაგიეროდ, ენდშპილში უკეთესად ვგრძნობ თავს. ეს კი ძველი სკოლის დამსახურებაა. უწინ, როცა პარტიების გადადება შეიძლებოდა, ზოგჯერ ღამეებსაც ვათენებდით მათ გარჩევაში, ვამუშავებდით სხვადასხვა ვარიანტს, რაც შემოქმედებით მხარეს ავითარებდა. ახლა სწორედ ეს აკლიათ ჩვენს ახალგაზრდებს. კარგი იქნება, მწვრთნელები ამ ნაკლის გამოსწორებას მეტ ყურადღებას თუ მიაქცევენ. იქნებ, მოზარდებისთვის ზოგჯერ ტურნირები ძველი წესებითაც გავმართოთ — პარტიების გადადებას ვგულისხმობ, რომ თეორიების დაზეპირებასთან ერთად ინდივიდუალური შემოქმედებითი მხარეც განავითარონ...

* * *

მრავალ პაექრობაში გამობრძმედილი ნინო მელაშვილი არა მარტო თავის შეგირდებს, არამედ ტურნირებისას მეტოქეებსაც ძალაუნებურად უზიარებს საკუთარ გამოცდილებას, რაც, იმედია, ახალგაზრდებს კარგ სამსახურს გაუწევს მომავალ ბატალიებში. თავად კი ყოველმხრივ ცდილობს, ამ ჩემპიონატზეც არ გააწბილოს შვილები და ახლობლები, რომლებიც, უეჭველია, მოჭადრაკეს და დედას დღევანდელ დღეს — 3 მარტს მიულოცავენ და ყვავილების თაიგულსაც უძღვნიან.

ჩვენც ვულოცავთ!

**ვაჟა დანელია,**
**ანზორ ბასილაია.**

**სურათზე: ნინო მელაშვილი.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

**ჩემპიონატი**

# თეთრები იწყებენ და იგებენ




**თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატი. გუშინდელ მე-5 ტურში გათამაშებული ექვსი პარტიიდან ხუთში წარმატებას თეთრებმა მიაღწიეს. შავები მშრალი ანგარიშით წაგებას ნანა ძაგნიძემ გადაარჩინა — ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელმა გუშინ სოფიო გვეტაძეს სძლია.**

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, შესაბამისად, 2001 და 2000 წლების საქართველოს ჩემპიონების — ლელა ჯავახიშვილისა და სოფიო ტერელაძის შეხვედრა, რადგან ისინი 3,5-3,5 ქულით ლიდერობდნენ. მეტოქეებმა ჰოლანდიური დაცვა გაითამაშეს. ჯავახიშვილმა დებიუტშივე მიაღწია პოზიციურ უპირატესობას (რაც შუა თამაშისთვის მატერიალურში გადაიზარდა) და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ბელა ხოტენაშვილი — ალა ვახანია 1:0, ნინო მელაშვილი — სალომე მელია 1:0, ანა გავაშელი — მაია ლომინეიშვილი 1:0, ნინო ბაციაშვილი — თამარ წერეთელი 1:0.

ხუთი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ძაგნიძე და ჯავახიშვილი — 4,5 ქულა (თითოეულს), ტერელაძე — 3,5, ლომინეიშვილი, ბაციაშვილი, წერეთელი, მელია — 2,5 (თითოეულს), გავაშელი, მათნაძე — 2 (თითოეულს), მელაშვილი — 1,5, ხოტენაშვილი, გვეტაძე — 1 (თითოეულს), ვახანია — 0 ქულა.

დღეს მე-6 ტურის პარტიები გაიმართება.

**ჩემპიონატის მონაწილეებს და საქართველოს ყველა მანდილოსან მოჭადრაკეს ვულოცავთ „დედის დღეს“ — 3 მარტს და ვუსურვებთ წარმატებებს!**

**ლევან ცინცაძე.**

**ევრიკა!**



# LFH, FP, EHSB= «ფუტზალი» რა დოზანაა?

გასული საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც საქართველოში ფართოდ გავრცელდა ჩეხეთის „სოკოლის“ სპორტული ორგანიზაციები, ქვეყნის პატრიოტმა ადამიანებმა ბრმად კი არ გადმოიღეს უცხოური სპორტული ტერმინი, მას ქართული შესატყვისი შეურჩიეს: „სოკოლი“ „შევარდენით“ დაამკვიდრეს. ამ საზოგადოების ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა ნიკო ნიკოლაძემ შესაფერისად „გადმოაქართულა“ ტანვარჯიშული იარაღების სახელებიც: ღერძი, ორძელი, რგოლები, ტაიჭი და სხვა. დამკვიდრდა სპორტის სახეობათა აღმნიშვნელი ტერმინებიც: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი და ა. შ.

მოგეხსენებათ, სპორტი ადგილზე არ დგას — ჩნდება ახალი სახეობები, ასე ვთქვათ, ქვესახეობები. მაგალითად, — მინიფეხბურთი, ქვიშის ფრენბურთი და სხვა მრავალი. ამ ბოლო წლებში გავრცელდა ტერმინი „ფუტზალი“ (მინიფეხბურთი), რომელიც ფართოდ მოედო ჩვენს ქვეყანასაც, შეიქმნა საქართველოს „ფუტზალის“ ფედერაცია, გაიმართა კიდეც ეროვნული ჩემპიონატი, მაგრამ ტერმინი „ფუტზალი“ ყურს გვჭრის, ორგანულად არ „ჯდება“ ჩვენს ტრადიციებში ისევე, როგორც თავის დროზე გვეხამუშა „არმრესტლინგი“. კიდევ კარგი, ამ ვაჟკაცურ სპორტის სახეობას მორგებული სახელი შეურჩია გამომცემლობა „სამშობლოს“ თანამშრომელმა, საქართველოს კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა თენგიზ თომაძემ, რომელმაც შემოგვთავაზა ტერმინი „მკლავჭიდი“, რაც სიამოვნებით გავითავისეთ და ოფიციალურადაც დავაკანონეთ.

რაც შეეხება „ფუტზალს“, იგი კვლავაც არ გვსიამოვნებს, რადგან უცხო სიტყვების ხელოვნური კომბინაცია გახლავთ, ამიტომაც გადავწყვიტეთ მინიფეხბურთის ეს ასპარეზობა მოვნათლოთ ჩვენებური ტერმინით: „დარბაზბურთი“.

ვფიქრობთ, აქ კარგად თავსდება თამაშის არსი და ჩვენი ტრადიციაც: ყველაფერი ეროვნულ ფუძეზე დავამყნათ.

მაშ ასე, გთავაზობთ სიახლეს, რასაც, იმედია, მოწონებით შეხვდებიან მკითხველები, დარბაზებში ბურთით მოასპარეზენი და მათი ოფიციალური სტრუქტურების თავკაცნი.

**ანზორ ბასილაია.**

**სპორტის რედაქცია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ირაკლი აბაშიძის შეხვედრა თბილისის ყოფილ 26 კომისრის სახელობის რაიონის აქტივისტებთან. 1972 წელი.

მოგვაწოდა სოფიო გველესიანმა.

## ღიმილის დოზა



ორი მორცხვი შეყვარებული 15 წლის განმავლობაში ხვდებოდა ერთმანეთს. ერთ მშვენიერ დღეს ქალიშვილმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა და ეუბნება შეყვარებულს:

— იცი რა, ალბათ, დროა, დაქორწინებაზე ვიფიქროთ.

— მე წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ვის ვჭირდებით?

* * *

აბრამმა სარას გაანდო:

— ამ ჩვენ ხაიმოვიჩს ცხოვრებაში ისე უმართლებს, რომ, მგონი, ნალი აქვს ნაპოვნი... სპილოსი.

## ხსოვნა



### თეა ხვიტია

მეშვიდე წლისთავი შესრულდა, რაც ხვიტიების ოჯახში დატრიალდა პირველი ტრაგედია — საყვარელი შვილი ბესიკი ტრაგიკულად დაეღუპათ 25 წლის ასაკში. შენმა სიყვარულმა, ჩვენო თეკუნა, გადაატანინა შენს უბედურ მშობლებს ის დიდი ტკივილი.

ამჟამად კი ულმობელმა სენმა შენი — 26 წლის ქალიშვილის — სიცოცხლეც წაგვარა მათ. ახლა რითი ვანუგეშოთ შენი უბედური დედიკო ზამირა, მამიკო რამინი, ძმა ბაჩანა, მეუღლე მალხაზი?

რა ვუპასუხოთ შენს პატარა, 3 წლის ანის კითხვაზე: „სად არის ჩემი ლამაზი დედიკო თეა?“

მართლა ლამაზი, კეთილი, თბილი და ტკბილი იყავი. მუდამ დარჩები ჩვენს გულში ისეთი, როგორიც იყავი. მსუბუქი იყოს შენთვის მიწა, იძინე მშვიდად შენს ძმა ბესიკთან ერთად და იქიდან ილოცე შენი პატარა შვილისთვის, ოჯახისთვის.

შენი მეგობრები.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

## სანთელი

# ზოსიმე ხოჯავა

დაბადებიდან 100 წელი შესრულდა საყოველთაოდ ცნობილი ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ღირსეული წარმომადგენლის, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის **ზოსიმე ხოჯავას** დაბადებიდან.

ზოსიმე ილარიონის ძე ხოჯავა დაიბადა 1903 წელს სოფ. გეგუთში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ფსიქოლოგიის სპეციალობას ეუფლებოდა უშუალოდ დიდი ქართველი მეცნიერის, განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ავტორისა და საქართველოში ფსიქოლოგიის მეცნიერების ფუძემდებლის დიმიტრი უზნაძის ხელმძღვანელობით. ზ. ხოჯავა დ. უზნაძის მიერ მომზადებული სპეციალისტების პირველ თაობას მიეკუთვნებოდა, თაობას, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში განწყობის ფსიქოლოგიის სკოლის ბირთვს შეადგენდა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხოჯავა ერთ ხანს მუშაობდა კაბინეტის გამგედ ბავშვთა ამბულატორიაში, ხოლო 1930 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრასა და ლაბორატორიაში. აქ იგი წლების განმავლობაში კითხულობდა რამდენიმე სერიოზულ კურსს და მიჰყავდა სპეცსემინარები. 1938 წელს ხოჯავა იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1952-ში — სადოქტოროს. 1941 წელს, დღიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნისა და მასში დ. უზნაძის თაოსნობით ფსიქოლოგიის ინსტიტუტის გახსნისა, იგი ინიშნება ინსტიტუტის ზოგადი ფსიქოლოგიის განყოფილების გამგედ, რომელსაც უცვლელად ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლომდე. ეს იყო ინსტიტუტის ერთ-ერთი ძლიერი ერთეული, სადაც შესრულდა ინსტიტუტის მრავალი მნიშვნელოვანი გამოკვლევა. საკუთრივ ბატონი ზოსიძეს ხელმძღვანელობით მომზადდა ოცზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია.

ინტენსიური კვლევითი მუშაობის გარდა, ხოჯავა ფართო პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა. თავისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე იგი ასწავლიდა ფსიქოლოგიას საქართველოს მრავალ უმაღლეს სასწავლებელში (თბილისის უცხო ენების ინსტიტუტში, ბათუმის, ქუთაისის და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში).

მეცნიერებაში ხანგრძლივი და ღირსეული მოღვაწეობისათვის პროფესორ ხოჯავას მიღებული ჰქონდა სხვადასხვა სახელმწიფო ჯილდო, ატარებდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებას.

დ. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური მოძღვრება — ეს იყო თეორიული პლატფორმა ქართული ფსიქოლოგიური სკოლისა. მისი დაცვა და განვითარება ამ სკოლის ყველა წარმომადგენლის ძირითად ამოცანას შეადგენდა. ბატონი ზოსიმეს მთავარი საზრუნავიც ეს იყო. მისი მეცნიერული შემოქმედების დიდი ნაწილი სწორედ განწყობის ფსიქოლოგიას ეხება. ამ მიმართულებით შესრულებული თეორიული შრომები უპირატესად განწყობის ფსიქოლოგიის დებულებების განმარტებასა და გაღრმავებას ემსახურებოდა. ასეთი სამუშაო განსაკუთრებით აქტუალური იყო გასული საუკუნის 50-60-იან წლებში, როდესაც განწყობის თეორიის გარშემო ფართო დისკუსია გაიშალა. სამწუხაროდ, იგი არ ატარებდა წმინდა მეცნიერულ ხასიათს და მის დამცველებს საბჭოთა იდეოლოგიის რეპრესიული აპარატის გამოყენების საშიშროების წინაშე აყენებდა. ბატონი ზოსიმე ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვინც ქართულ ფსიქოლოგიას ეს საფრთხე ააცილა.

პროფესორ ხოჯავას ყველაზე დიდი მიღწევები მაინც განწყობის ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიასთან არის დაკავშირებული. მას შესრულებული აქვს მრავალი გამოკვლევა ე. წ. განწყობის ეფექტების შესწავლის მიმართულებით და მოპოვებული აქვს მდიდარი ემპირიული მასალა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხოჯავას მიერ შექმნილი განწყობის ახალი, ორიგინალური მეთოდი. იგი დღეს უკვე კლასიკურადაა მიჩნეული. ცნობილია, რომ თავდაპირველად განწყობის ექსპერიმენტული კვლევა უზნაძისა და მისი თანამშრომლების მიერ „რაოდენობრივი გამღიზიანებლების (სიდიდეების) შეფასების მეთოდით“ მიმდინარეობდა. მაგრამ ამ მეთოდით შემოფარგვლა არ იძლეოდა განწყობის, როგორც შეგუებითი ქცევის აუცილებელი პირობის, ამომწურავ დახასიათებას. საჭირო იყო მისი კვლევა რომელობითი შინაარსის გამღიზიანებლებზეც გავრცელებული. ხოჯავამ შეძლო მნიშვნელოვნად შეევსო ეს ხარვეზი: მან შეიმუშავა, ექსპერიმენტულად შეამოწმა და გააფორმა ე. წ. ნეიტრალური შრიფტის მეთოდი, რითაც საფუძველი ჩაუყარა განწყობის ექსპერიმენტულ კვლევას რომელობითი მასალის აღქმის სფეროში და თვითონ ავტორსაც საშუალება მისცა მისი გამოყენებით ეკვლია რიგი ფსიქოლოგიური და პედაგოგიური საკითხები.

პროფესორ ხოჯავას ყველაზე გამორჩეულ და ფუნდამენტურ სამეცნიერო შრომას უდავოდ წარმოადგენს მონოგრაფია „ჩვევის პრობლემა ფსიქოლოგიაში“. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ქართულ ფსიქოლოგიაში. იშვიათია გამოკვლევა, სადაც ესოდენ საფუძვლიანად არის გაშუქებული კერძო ფსიქიკური პროცესი. შრომაში ჩვევა განხილულია ქცევის სტრუქტურის ანალიზის ფართო კონტექსტში, როგორც მისი ოპერაციული მხარის ძირითადი ერთეული. ყოველმხრივ არის გაანალიზებული ჩვევის შემუშავების პროცესი, მასში ვარჯიშის ადგილი, ამ პროცესის თავისებურებანი ცხოველთან და ადამიანთან; გააზრებულია მიმართებები ჩვევასა და ცოდნას, ჩვევასა და უნარს, ჩვევასა და ჩვეულებას შორის; გარკვეულია ჩვევის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები. ეს უკანასკნელი განწყობის და მისი ფიქსაციის სახითაა წარმოდგენილი. აღნიშნული წიგნი გერმანიაშიც გამოიცა და მის ავტორს ფსიქოლოგიის ამ სფეროს ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტის სახელი მოუტანა.

ზ. ხოჯავას კვლევითი მეცნიერული ინტერესები არ შემოიფარგლებოდა განწყობის და ზოგადი ფსიქოლოგიით. თავისი პირველი ექსპერიმენტული გამოკვლევები მან შეასრულა შრომის ფსიქოლოგიის, ან როგორც მაშინ ამბობდნენ, ფსიქოტექნიკის და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სფეროში. ეს უეჭველოდ დ. უზნაძის უშუალო მითითებით მოხდებოდა, რომელიც თავადაც დიდ ყურადღებას უთმობდა ფსიქოლოგიის ამ დარგების განვითარებას. ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში წმინდა იდეოლოგიური მოსაზრებებით ფსიქოტექნიკა განადგურებული იქნა და აიკრძალა. ცხადია, ხოჯავამაც შეწყვიტა მუშაობა ამ მიმართულებით და, სამწუხაროდ, აღარც შემდგომში განუახლებია, როცა ეს ყოვლად უგუნური აკრძალვა მოიხსნა. სამაგიეროდ, პედაგოგიური ფსიქოლოგიის სფეროში ბატონი ზოსიმე მთელი ცხოვრება აქტიურად მუშაობდა, რასაც ნაწილობრივ ის განაპირობებდა, რომ ჩვევის პრობლემატიკას, ზოგადფსიქოლოგიურის გარდა, აშკარად გამოხატული პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც გააჩნია. განსაკუთრებით ზედმიწევნით დაამუშავა ხოჯავამ წერა-კითხვის სწავლებისა და ქართული სკოლებისათვის „საანბანო წიგნის“ შედგენის ფსიქოლოგიური საკითხები. წერა-კითხვის სწავლება და საანბანო წიგნი უნდა აიგოს ბავშვის ფსიქოლოგიის, დიდაქტიკისა და ენათმეცნიერების, კერძოდ, ფონეტიკის მონაცემთა გათვალისწინებით. ეს მოთხოვნა საფუძვლად უდევს საანბანო წიგნის პროექტს, რომელსაც ავტორმა დიდი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ „ახალი რედაქცია“ უწოდა. მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვის მომზადებას მეტყველებაში, რომელიც წინა საანბანო პერიოდში იწყება და წერა-კითხვის სწავლების პროცესშიც გრძელდება. მეტყველებაში მომზადების ღონისძიებებად დასახულია: ვარჯიში ცოცხალ მეტყველებაში (საუბარში), ბავშვის მიერ წინადადების შემჩნევა, წინადადებებში ცალკეული სიტყვების გამოყოფა, სიტყვის მამრავლებად დაშლა და მისი ფონემური სტრუქტურის წვდომა.

ზოსიმე ხოჯავამ პედაგოგისა და მკვლევარის სახელოვანი გზა განვლო და საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შორის.

პროფესორი ზოსიმე ხოჯავა გარდაიცვალა 1990 წლის სექტემბერში.

ამხანაგთა და მეცნიერთა ჯგუფი.



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფესიონალი ბუღალტერი

მარია ბატაშევა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ძმა ჯემალ გურგენიძე, რძალი ნანი ხონელიძე, ძმისწული ელზა გურგენიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

რეზო გურგენიძე

პანაშვიდი 4, 5 III, დაკრძალვა 6 III, 4 სთ. მისამართი: თერჯოლა, სოფელი ტელეფა.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური სამძიმარს უცხადებს სახელმწიფო კანცელარიის პროტოკოლის სამსახურის უფროსის მოადგილეს ზურაბ დარჩიაშვილს დედის

ანა შალამბერიძე-დარჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.
ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge